ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№106 (167) 8-15 თებერვალი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეფტანაზია – სოციალური პრობლემის გადაწყვეტის ნაციონალური გზა

“არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა!” – ამ საბედისწერო ფრაზით ყველაფერია ნათქვამი: თუ არ არის ცოცხალი შენი მტერი, მაშინ ვერავინ “გაგიჩმახებს” და არც არანაირი პრობლემა არ გექნება გარდაცვლილი ადამიანისაგან.

ყველაზე კარგად ალღო ამ ფრაზას ქართველმა “ნაციონალებმა” და მათმა მუდამ სახეღიმილიანმა ნეტარმა ბელადმა სააკაშვილმა აუღეს, რომელთა დაუძინებელ მტერს დღეს საქართველო და ქართველი ხალხი წარმოადგენს.

ტელეარხებმა “რუსთავი-2”-მა და “იმედმა”, რომლებიც ყოველგვარი სიბილწისა და არაქართულის პროპაგანდისტები არიან საქართველოში, ახლა “პალიატიური მკურნალობის” (იგივე “პალიატიური მზრუნველობის”) ფართო პროპაგანდას დაუდეს სათავე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ “ჩვენზე ზრუნვას გადაყოლილი” ხელისუფლება მალე თავს მოგვახვევს მოხუცებული, უმწეო ადამიანების ძალადობრივი მეთოდებით თავიდან მოშორების წესს!

გაიხსენეთ აკუტაგავა რიუნესკოს ნაწარმოები, სადაც, იაპონიაში დამკვიდრებული წესის თანახმად ახალგაზრდა იაპონელმა თავისი მოხუცი დაუძლურებული დედა ფუძიამას მთაზე უნდა აიყვანოს და იქ დასტოვოს სასიკვდილოდ გასაწირად, რადგან ამ ადამიანებს უკვე სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლიათ არც საკუთარი ოჯახისა და არც იაპონიისათვის!

შვილი კი არის იაპონური ტრადიციების მიმდევარი, მაგრამ საყვარელი დედა მაინც არ ემეტება ყვავ-ყორნების საჯიჯგნად, და მის უკან წამოყვანას დააპირებს. მოხუცი დედა კატეგორიულად წინ აღუდგება გულთბილი შვილის განზრახვას, სახეს უკაწრავს მას და აიძულებს, რომ შვილმა იგი ფუძიამას დათოვლილი მთის ფერდობზე მიატოვოს. და, აი, მოხრილ ბებრულ ბეჭებზე თოვლდაფენილ დაუძლურებულ მოხუცს ნელ-ნელა უახლოვდებიან ლეშისმჭამელი ფრინველები, რადგან გრძნობენ სიკვდილის მოახლოებას...

მოხუცმა დედამ თავისი გაიტანა, რადგან იგი უფრო მკაცრი და ერთგული დამცველი გამოდგა იაპონური ნაციონალური ტრადიციებისა, ვიდრე მისი ახალგაზრდა შვილი, რომელსაც მშობლის სიყვარულმა ტრადიციული მოვალეობა დააავიწყა. ჩვენთან კი პირიქითაა ყველაფერი – ხელისუფლებას უნდა დაანგრიოს მოხუცი მშობლებისადმი ერთგულების, პატივისცემისა და სიყვარულის ტრადიცია და ჯერ უფროსი თაობის ადამიანებს უნდა ჩაუნერგოს იმის რწმენა, რომ დღევანდელ საქართველოში ტანჯვით ცხოვრებას, ლამაზად და უმტკივნეულოდ სიკვდილი სჯობია!

ასე ხომ უამრავ პენსიონერ და მიზერული შემწეობის იმედად მყოფ “მუქთამჭამელს” მოიშორებენ თავიდან ოჯახიცა და სახელმწიფოც.

მოკლედ, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა!

ხედავთ, სადამდე დავეშვით, უფრო სწორად, სადამდე დაგვიშვეს?

მიმდინარეობს ქართველი ადამიანის “გადასხვაფერების” მომდევნო ეტაპი: იმით დაიწყეს, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას თავს მოახვიეს უნარ-ჩვევების ქართველი ადამიანისათვის ყველაზე მიუღებელი კონცეფცია – თუ შენ ბილეთი აღებული გაქვს ტრანსპორტში, ხოლო უბილეთო მოხუცი კაცი ან ქალი თავზე გადგას, ადგილი არ უნდა დაუთმოო. სწორედ ეს გახლავთ უფროსი თაობისადმი უპატივცემულობის გამოვლენის კლასიკური მაგალითი, რასაც ქართულ საზოგადოებაში შესაშური მონდომებით ნერგავენ “ნაციონალები”. ამ თემის გაგრძელება კი ქვეყანაში მომძლავრებული სოციალური პრობლემის გადაწყვეტის “მთავარი გზაა”. თუ ადამიანი დაუძლურდა, მხოლოდ პენსიითა და მცირე შემწეობით არსებობს და ავადმყოფობისაგან თავის დასახსნელად სახელმწიფომ მასზე გარკვეული ხარჯი უნდა გასწიოს, სჯობია ეფტანაზიის გზით იგი თავიდან მოიშოროს ოჯახმაც და სახელმწიფომაც. ასე რომ, ჩვენი ხელისუფლების მცდელობით მალე მივიღებთ “ახალ ქართველს”, რომლისთვისაც მოხუცი, უმწეო მშობლების მოვლა-პატრონობა იქნება არა ეთიკური სიამოვნების მომტანი, არამედ უსარგებლო ტვირთის ტარებისა და წყალში გადაყრილი შრომის განცდა. ამით ხომ ჩვენს “აღმავლობის გზაზე მდგარ” სახელმწიფოს მოხუცებულთა და უმწეოთა შესანახი საკმაოდ დიდი ხარჯები დაეზოგება.

მოკლედ, როგორც ამბობენ: “არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა”!

ქართველი ხალხის გარდა ყველაფრის დარდი აქვს საქართველოს “ნაციონალურ” ხელისუფლებას! კინოფილმ “ვერის უბნის მელოდიებში” დოდო აბაშიძის მიერ განსახიერებული პოლიცმეისტერის არ იყოს, სიკვდილივით ეშინიათ მასობრივი ბუნტისა, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ბუნტი ხომ გადამდებია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა იმით, რომ ტუნისში დაწყებული მღელვარება მალე გასცდა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის საზღვრებს და წამის უმალ მოედო ლამის მთელ მუსულმანურ სამყაროს (მათ შორის ევროპულ ალბანეთსაც), სადაც ამერიკულმა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა ერთი მუჭა მათი პოლიტიკის მხარდამჭერი სისხლისმსმელების დიქტატურა ლამის ცხოვრების წესად აქცია. მაგრამ, ერთპიროვნული მმართველობით დატრიალებული უბედურებებითა და სიბინძურეებით ხალხი გადაიღალა და საპროტესტოდ გამოეფინა ქუჩებს. სწორედ ამ მოვლენებით დავრწმუნდით კიდევ ერთხელ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ჭეშმარიტ ოპოზიციას და მის მოუსყიდავ ლიდერს, რომლის სიცოცხლისეულ ინტერესს ხალხის კეთილდღეობა წარმოადგენს და არა ხელისუფლებასთან დანაშაულებრივ გარიგებაში შესვლა.

ქართველმა ხალხმა, მართალია გვიან, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას მაინც აუღო ალღო და, ახლა, მთავარია, ამ, ნამდვილად “მოუსყიდავი” ლიდერის ქვეყნის აბურდულ-დაბურდულ პოლიტიკურ მოვლენათა სათავეში დაყენება!

სწორედ მაშინ გაირკვევა: “ვინ მოყვარეა, ვინ არა...”

ეტყობა, სწორედ ქართველი ხალხის ძილქუშიდან გამოსვლის შიშმა და ეგვიპტეში მომხდარმა სახალხო მღელვარებამ აუშალათ კუჭი დიქტატურის შემოქმედ ქართველ “ნაციონალებს” და, ამას წინათ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა: “ის, რაც დღეს ეგვიპტეში ხდება, საქართველოში 2003 წელს მოხდაო”.

ნურას უკაცრავად, ბატონო ბაქრაძე! თუ თქვენ არ იცით, რა მოხდა საქართველოში 2003 წელს, ჩვენ აგიხსნით: 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის სავარძელი სულაბინძურებულმა ედუარდ შევარდნაძემ გარკვეული გასამრჯელოს ნაცვლად ჩაგიგდოთ ხელში თქვენ, “ნაციონალებს”, რითაც საკმაოდ ბოროტად სარგებლობთ, ხალხს გამოუვალ მდგომარეობაში ჰყრით და, ამიტომ, აქ რომ მალე ამბები დატრიალდება, ეგვიპტე მონაგონი იქნება. ეგვიპტის ისეთივე “დემოკრატი” მმართველი, როგორიც დღეს საქართველოს ჰყავს – ხოსნი მუბარაქი, კაიროდან გაიქცა და, დროებით, ეგვიპტის რომელიღაც პროვინციას შეაფარა თავი, თქვენ კი საქართველოს ვერცერთ რეგიონში ადგილს ვერ იპოვნით დასამალად, გარკვეული მიზეზების გამო. განა თქვენ არ იყავით, 2008 წლის აგვისტოში უკანმოუხედავად რომ გარბოდით საქართველოდან, არა რუსების, არამედ სწორედ ქართველი ხალხის რისხვის შიშით!

ხალხის რისხვას კი ვერსად გაექცევით, რადგან მთელი ქართველი ერი, დიდპატარიანად, განწირული გყავთ შიმშილით სიკვდილისათვის!

ვოლტერი ამბობდა: “უსამართლობას ან ებრძვიან, ან – ემსახურებიან”!

“ნაციონალების” მიერ თავსმოხვეულ უსამართლობას, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, – ემსახურებიან დღევანდელი ვაი-ოპოზიციონერები გაჩეჩილაძე-ბურჯანაძე-ალასანია-ხიდაშელი, ბიუჯეტის ძუძუს ასხლეტილი, დღეს პირადი ინტერესების გამო გაოპოზიციონერებული გუშინდელი ფუნქციონერები და ძმანი მათნი და დანი მათნი!

ჩვენ კი – ვებრძვით, და ვიბრძოლებთ, ვიდრე ამ ჭირს არ მოვაშორებთ ქვეყანას!

ვებრძვით, რადგან სააკაშვილმა და მისმა ჯიბის საინფორმაციო-პროპაგანდისტულმა მანქანამ ევროპელებიცა და ამერიკელებიც დაარწმუნა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიული სახელმწიფო ააშენა, მაგრამ ამაში ჯიუტად არ რწმუნდება ქართველი ხალხი. ან კი, როგორ დარწმუნდება, როცა საქართველოში მძვინვარებს სახელისუფლებო კორუფცია, როცა კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები წარმოუდგენლად ძვირია სხვა ქვეყნებთან შედარებით, როცა საქართველოში ლამის კატასტროფის ზღვარზეა მისული საწვავის ფასი (რის თაობაზეც დაწვრილებით ინფორმაციას იხილავთ ჩვენი გაზეთის ამ ნომრის მე-7 გვერდზე), როცა ქვეყანაში “ნაციონალებმა” გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური, რათა მოქმედების სრული თავისუფლება მიეცათ ხელისუფლებასთან კორპორატიული ინტერესებით დაკავშირებული კომერციული სტრუქტურებისათვის, რომლებიც ზრუნავენ არა პენსიონერთა და უმწეოთა უზრუნველსაყოფად, არამედ მათი თავიდან მოსაშორებლად, როცა ქვეყანაში განადგურების პირასაა მიყვანილი განათლება, მეცნიერება, კულტურა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა...

ავტორიტეტულ ექსპერტთა გათვლით, ხელისუფლებამ რომ წამლების ბიზნესიდან თავისი წილი გაითხოვოს, პრეპარატების ღირებულება 5-ჯერ მაინც შემცირდება, ბენზინის ბიზნესი რომ კლანჭებიდან გავაგდებინოთ (რომელსაც სააკაშვილის ოჯახი აკონტროლებს) საწვავის ფასი 30 პროცენტით მაინც შემცირდება, რაც მაშინვე აისახება კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების ფასზე!

მაინც რა უძღომელი სჭირთ ასეთი, რომ ვერაფრით ამოივსეს სტომაქები და უკანასკნელ კაპიკებს აცლიან ჯიბიდან ქვეყნის გაღატაკებულ მოსახლეობას?!.

მაგრამ, ძალიან მალე დამთავრდება თავგასულ ნაციონალთა პარპაში და მათი პოლიტიკური “რომაული არდადეგები”, რადგან, თუ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების თავხედურად გაყალბებისათვის მისგან პასუხს კი არა, მხოლოდ ფულსა და სარფიან თანამდებობებს ითხოვდა მოსყიდული ოპოზიცია, ახლა კი მას გატანჯული ხალხი მკაცრად მოსთხოვს პასუხს იმ მორიგი არჩევნების გაყალბებისათვის, სადაც ყველასაგან მოძულებული ნაციონალები ხმების მინიმუმსაც კი ვერ შეაგროვებენ.

სერგეი კრემლიოვი
ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ვინც ფულს იხდის, 5
მუსიკასაც ის უკვეთავს?!

9 კოკასა შიგან, რაცა დგას...

7 გატონი მირიან ჯალაღონია 85 წლისაა

მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა

ჩემს წინაშეა ცნობილი მკვლევარების **მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა** და **ვლადიმერ ვახანიას** ერთობლივი ნაშრომი **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, რომელიც კოლოსალური აზრისა და მნიშვნელობის დამტკიცია და რომელშიც სავსებით დამაჯერებლადაა ახსნილი მეგრული ენის ლექსიკური არსენალი და სიტყვათა წარმომავლობის ჭეშმარიტი საფუძვლები.

„მრავალნი არიან ჩინებული და მცირედნი რჩეულ“ (სახარება, მათე, 20,16)...
დიახ, მრავალი ეწვევა ამ წუთისოფელს, მაგრამ მხოლოდ რჩეულსა და ცის დანიშნულს ხელეწიფება ერის სამსახურში ჩადგომა და რაციონალურად კვლევა – საქმიანობის წარმართვა...

ეს წერილი არც სათანადო რეცენზიაა და არც მეცნიერული დასკვნა ავტორების შვიდტომეულისა, რომელიც, ვინ იცის, შესაძლოა ქართულ სინამდვილეში ჩვენი ეპოქის ენათმეცნიერების უკანასკნელი აფეთქებაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მალე რომელიმე ენათმეცნიერი გატეხს ქართული მეცნიერების ამ თითქმის ხელუხლებელ ყაპირს, რომელსაც მისი ავტორების მეცნიერული მემკვიდრეობა დაერქმევა.

ისეთ ცვალებად და უცნაურ ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, თვით საკვირველებაც არაა გასაკვირი. არის მოსაზრება, რომ ყველაზე უფრო ფანტასტიკური, მოულოდნელი და დაუჯერებელია თვით სინამდვილე – ხშირად სინამდვილის დაუჯერებლობა ახასიათებს გაკვირვებას გადაჩვეულ იმ ბრმა რწმენას, რომელსაც ყოველივე ამქვეყნიური სასწაულად მიაჩნია.

„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ (შვიდტომეული) ფანტასტიკურიცაა და საკვირველიც... ასეთი მაღალი მეცნიერული აზრისა და ვეებერთელა სულიერი ჰორიზონტის მასშტაბურობით აღვსილი გონით ნაღვაწი იშვიათობაა. მეჩვენება, თითქოს ეს წიგნები ჟანრის ჩარჩოებიდან გადმოდიან, მაგრამ ამით მეცნიერული ღირსება როდი აკლდებათ, ე. წ. მეცნიერული აპარატურა, რაც ფართო მკითხველისათვის მიუწვდომელიც არის და უინტერესოც, ამ წიგნში სულ სხვა ფუნქციას იძენენ. კერძოდ, მეგრული ენის უმდიდრესი ლექსიკის პრობლემებისადმი (ბგერათა კომპლექსების ხმამიბაძვის მიხედვით დაჯგუფება) მიძღვნილი თავების კომენტარები დამოუკიდებელ ნოველებად იკითხება და, ამდენად, საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან ერთად დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.

სათქმელის სიღრმე, აზრის ლოგიკურობა და სტრიქონებს შორის (მსჯელობისას) ნაგულისხმევი ქვეტექსტთა მრავლობა ხშირად ფილოსოფიური აზრებით იტვირთება და გაიძულებს მესამე თვალით შეხედო და გაანალიზო ესა თუ ის დებულება თუ არგუმენტი, ერთხელ კიდევ გადაამოწმო საკუთარი შეხედულებები.

მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრის, მის სიღრმეში წვდომის წყურვილი მეცნიერის თვალსაწიერს ყოფიერების იმ არქაულ ფორმებთან თუ შინაარსთანაც აბრუნებს, რომელთა თითქოს სამუდამოდ მიძინებული წიაღი ფარული იმპულსებითაა დაყურსული... – ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ის იძლევა ვრცელი ენათმეცნიერული ფიქრისა და განსჯის იმ მრავალწახნაგოვანი დისკუსიის შესაძლებლობას, რომლის ფერადოვან სივრცეებს აღტაცებაში მოჰყავს ქართული სიტყვის წარმომავლობის საფუძვლების სიღრმისეულ შრეებს მიყურადებული მკითხველი.

შვიდტომეულის უდიდესი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე მისი უმაღლესი ეროვნულ-საზოგადოებრივი ღირებულება, ის შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომელსაც უკვე ვერავითარი **„ღრმააზროვანი“** ეჭვები თუ თეორიული კონტრავერსიები ვეღარ შესცვლიან. ამ დამფიქრებელი წიგნების უდავო ღირსებებზე მე თითქმის არაფერი მითქვამს, წიგნის დიდ ღირებულებებზე ენეთმეცნიერები უთუოდ ფართოდ იმსჯელებენ. ამასთან, ჩემდათავად, აქვე მოკლედ უნდა აღვნიშნო, რომ წიგნებს მაღალ მეცნიერულ ფასეულობასთან ერთად აქვთ დიდი მხატვრულ-ესთეტიკური და ზნეობრივი ღირებულებები, რასაც დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეიგრძნობს.

ციალა მესხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფაზისისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი

წიგნი ენის წარმოშობის საფუძვლების შესახებ

ცნობილი ფილოლოგების მამა-შვილი **მამანტი** და **ცირა ძაძამიების**, მეცნიერებათა დოქტორ **ვლადიმერ ვახანიას** შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** ენეთმეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურ და საინტერესო საკითხთაგანს ეხება.

მოცემულ შვიდტომეულს წინ უძღოდა და საფუძვლად დაედო მამანტი და ცირა ძაძამიების 2600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 მონოგრაფია.

ვფიქრობ, წინამდებარე შვიდტომეული წარმოადგენს, ყველა ამ ნაშრომის შეჯამებას, ამჯერად უკვე მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას ავტორობით.

შვიდტომეული მეტად საინტერესოდაა დაწერილი. მასში ბევრი რამ, ალბათ, საკამათო იქნება, იგი არაერთგზის გახდება საჯარო მსჯელობის ობიექტი, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ჭეშმარიტებასთან მიახლოებას. შვიდტომეული სერიოზული, დიდი ფიქრისა და შრომის შედეგია და ნამდვილად იმსახურებს მასზე დაფიქრებას, მის ავტორთა აზრების კვალდაკვალ დაინტერესებული მკითხველის დინჯად გავლას, ამ გზაზე დანახული ღირსებისა და ნაკლის ერთმანეთთან შეჯერების მიზნით.

წიგნები იწყება ბგერათა რაობის, კერძოდ, სამეტყველო ბგერების არსისა და ფუნქციის საკითხებით.

წიგნის ავტორები წერენ: ბგერებს გამოსცემენ ბუნებაში არსებული როგორც ცოცხალი, ასევე არაცოცხალი საგნები. ეს საგნები ღრიალებენ, ღმუიან, ბღავიან, ჭიკჭიკებენ, ყიყინებენ; მოსწყდებიან რა მთებს, გამაყრუებლად ინთქმებიან ძირს თოვლის ვეება ზვავები. რახრახებენ ელმავლის ბორბლები, ტკაცუნობს ჭექა-ქუილი, მრავალრიცხოვან მელოდიებს აფრქვევენ ჩონგური, ფანდური, ჭიანური, „მღერის“ მაგნიტოფონის ლენტა.

რით ავხსნათ ყოველივე ეს, რა არის ბგერა, როგორც ასეთი? – სვამენ კითხვას ავტორები, რის საფუძველზე წარმოიშობა ბგერები? და იქვე პასუხობენ: დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ უსულო საგანთა მიერ ბგერათა გაღება ხდება საგანთა დაჯახების შედეგად, რაც ყოველთვის დაკავშირებულია საგნის მოძრაობასთან.

ამ დროს ბგერები ხასიათდებიან სხვადასხვა სიძლიერით და მრავალფეროვნებით შემოთავაზებულია ბგერის განმარტება: ბგერა არის მატერიალურ სხეულთა დაჯახების შედეგად წარმოშობილი ხმა, ანუ ხმიანობა. ბგერის სიძლიერე და ნაირფეროვნება დამოკიდებულია დაჯახებაში მყოფი მატერიალური მასების სიდიდეზე, მოძრაობის სიჩქარეზე დაჯახების მომენტში, მათს ნივთიერ შემადგენლობაზე, სიმყიფე-სიფაშარეზე, აკუსტიკურ მაჩვენებლებზე და ა.შ..

მაშასადამე, როგორც უსულო საგანთა მიერ გაღებული ბგერები, ასევე ბუნებაში არსებული სხვა სახის არსებათა (ცხოველთა, ფრინველთა) მიერ გაღებული ბგერებიც იგივე ბუნებისაა.

ცხოველური, მათ შორის, ადამიანური ზოგადბიოლოგიური ბგერების გაღება დაკავშირებულია სახმოსნო და სამეტყველო ორგანოების თავისებურ აგებულებასთან; ფილტვებიდან გამომდინარე ჰაერნაკადი შეარხევს სახმო სიმებს და გაიღება ბგერები, რომელთა გაძლიერება ხდება სხვადასხვა რეზონატორებში – პირისა და სხვირის ღრუებში (ცხოველებს არ გააჩნია საარტიკულაციო ბაზისი) ეს ბგერები წარმოიშობიან ფილტვებიდან მომდინარე ჰაერის მიერ საწარმოთქმო ორგანოების წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად და ვღებულობთ სხვადასხვა სახის ბგერებს, როგორიცაა, მაგალითად, კბილბაგისმიერი **ვ,** ბაგისმიერნი: **ბ, ფ, პ, მ** და ა. შ. საარტიკულაციო ბაზისი დამახასიათებელია ადამიანისათვის.

სამეტყველო ბგერებსა და ბუნებაში არსებულ ბგერებს შორის ის მსგავსებაა, რომ ყველა ისინი ნივთიერი, ანუ ფიზიკური წარმოშობისანი არიან. ამავე დროს, სამეტყველო ბგერებს, გარდა ნივთიერი წარმომავლობისა, ახასიათებთ დანიშნულებითი წარმომავლობა, ისინი სოციალური ბგერებია.

ცხოველური ბგერებისათვის უცხოა მიზნობრივი დანიშნულება, რაც სამეტყველო ბგერებს ახასიათებთ. სამეტყველო ბგერები მიზნობრივი, სოციალური დანიშნულების კონკრეტული ფუნქციის მატარებელი ბგერებია. საყურადღებოა დებულება, რომ „რა ბგერებიც ესმოდა ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, ისტორიულად, ბუნების საგნების მიერ გაღებულ ბგერებში, ბაძავდა რა ხმას, ადამიანი ცდილობდა ანალოგიური ბგერების გაღებას, რამაც განაპირობა სათანადო საწარმოთქმო ჩვევის, ანუ საარტიკულაციო ბაზისის ჩამოყალიბება, შესაბამისად, – ბგერების დანაწევრებულად წარმოთქმაც.

კვლევამ გვიჩვენა, ამტკიცებენ წიგნის ატორები, რომ მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ხმაბაძვით საფუძველს ემყარება. დადგინდა, აცხადებენ ისინი, რომ მეგრული ზმნური ფონდის ძირისეული თანხმოვნური ფორმების უდიდესი ნაწილი, – 85%, ხმაბაძვით საფუძველზეა მიღებული, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ხასიათდებიან მაღალი პროდუქტიულობით, მთელი ზმნური ფონდის დაახლოებით 99.2% ხმაბაძვითი წარმოშობისაა. ამავე საფუძველზე, იგივე პროცენტული შემადგენლობა მოდის ხმაბაძვით ფორმებზე მეგრულის მთელ ლექსიკაში.

ავტორთა აზრით, მეგრულში გვაქვს 75 პირველადი სუფიქსი, 120 მეორეული (ზოგადად) წარმოების სუფიქსი, 5 დერივატი პრეფიქსი, 5 ხმოვანი ინფიქსი (**ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები, რომელთა მიერ შიგაგახმოვანებითაც ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები, ჩვეულებრივ, ახალი მნიშვნელობის სიტყვებს გვაძლევენ). ქართულში გვაქვს 15 ზმნისწინი, მეგრულში – 85. ქართულში გვაქვს სტატიკური ზმნები **არის** და **ზის**: წყალში **ზის**, სკამზე **ზის**, კერიასთან **ზის**... მეგრულში კი გვაქვს: **გე-ხ-ე** – ზედ ზის, **მითო-ხე** – შიგ სიღრუეში, (მაგ. გამოქვაბულში) ზის, **მულა-ხე** (შიგ, შიგნით, მაგ. სახლში) ზის ... ასევე: **გე-რე** – ზედ დგას, **მითო-რე** – შიგ დგას და ა. შ. ამ ლოგიკით მეგრულის ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა რამდენიმე მილიონზეა სავარაუდებელი, – წერენ შრომის ავტორები და მოაქვთ სათანადო დოკუმენტური მასალები.

ჩვენი აზრით, უდავოდ მისაღებია ავტორთა მიერ შემოთავაზებული დებულებები:

1. ბგერები მოძრავი საგანთა შეჯახების შედეგად წარმოიშობა. როგორც სულიერ, ისე უსულო საგანთა გამოცემული ბგერები ერთნაირი ბუნებისაა.

2. სწორად ესმით ავტორებს საარტიკულაციო ბაზისის არსი და დანიშნულება.

3. სწორია დებულება, რომ რა ბგერებიც ესმოდა ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, ისტორიულად, ბუნების საგნების მიერ გაღებულ ბგერებში, ბაძავდა რა მათ ხმას, ცდილობდა ანალოგიური ბგერების გაღებას, რამაც განაპირობა სათანადო საწარმოთქმო ჩვევის ანუ სარტიკულაციო ბაზისის ჩამოყალიბება, შესაბამისი ბგერების დანაწევრებულად გამოთქმაც.

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ ყრუ-მუნჯები მუნჯობენ სწორედ მათი სიყრუის გამო; ვერ ამტყველდება ვერც ერთი ბავშვი ადამიანების წრეში მოხვედრის გარეშე.

საინტერესოა ავტორთა მსჯელობა, რომ მეგრული ენის ლექსიკის ესოდენ დიდი სიმდიდრე (102 747 879 სიტყვა პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ) 20 მილიონამდეა (შესაძლოა მეტიც).

შენიშვნები:

საჭირო იქნება ავტორების მიერ უარყოფილი, მაგრამ მეცნიერებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული დებულებების უკეთ არგუმენტირება:

1. მცდარია ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ თითქოს აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მოდიოდნენ.

2. მცდარია ენათმეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრება) ბგერის მეორეულობის შესახებ.

ნაშრომის ავტორები წერენ: „წარმოდგენილ ნაშრომს არ აქვს პრეტენზია საკითხის ამოწურვისა და უხარვეზობისა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, მან გარკვეული სიცხადე შეიტანოს ისეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი პრობლემის ახსნაში, როგორიცაა ენის წარმოშობის საკითხი“.

ნაშრომის ავტორთა ეს განზრახვა, ვფიქრობ, მიღწეულია. შვიდტომეულს ნამდვილად შეაქვს გარკვეული სიცხადე მასში დასმული პრობლემის – ენის წარმოშობის საკითხების ახსნაში.

ხმამიბაძვის თეორია ენათმეცნიერებაში ახალი არ არის, მაგრამ შრომის ავტორებმა ერთ-ერთი უმდიდრესი უმწერლობო ენის – მეგრულის შესწავლის შედეგად გააკეთეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომ ამ ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი მოტივირებულია, თანაც ფონეტიკური დასაბამიდანვე, ანუ სამეტყველო ბგერების წარმოშობისთანავე.

მეგრულ ენაში ავტორთა მტკიცებით, განსაკუთრებით უხვადაა შემონახული არქაული ენობრივი ფორმები პირველყოფილი თანხმოვნური ხმაბაძვითი ფორმების სახით. ამასთან ამ ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი აშკარად ხმაბაძვითია, ან ასეთ საფუძველზე მიღებულად აშკარავდება. ავტორთა დასკვნით, რაც ფრიად საყურადღებოა, მეგრული ენის ლექსიკის ესოდენი სიმდიდრე უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ამ და სხვა ქართველური ენების წინამავალი პირველყოფილი ენა უშორეულეს წარსულშია წარმოშობილი.

შემიძლია მოკრძალებით ვთქვა, რომ მეცნიერთა წინაშე დევს მეგრული ენის შესახებ სამი მეცნიერის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი შვიდტომეული. ღღეს მისი მოწონებაც ადვილია და დაწუნებაც. მთავარია, მისი შეფასება-დაფასების მსურველს ჰქონდეს ჭეშმარიტი დაინტერესება და, რაც მთავარია, ობიექტური მიდგომა ნიჭისა და სათანადო ცოდნის მიმართ, რომელიც ჩადებულია მის შექმნაში და, რომელიც ნებისმიერ კეთილმოსურნე მკითხველს, მით უმეტეს, მეცნიერს, შრომის შემქმნელთადმი უდიდესი პატივისცემით განაწყობს მათი ღვაწლის გამო. ღვაწლისა, რომელიც ნებისმიერ სოლიდურ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა.

აღნიშნული ნაშრომი, მისი ავ-კარგი, ვერ შეფასდება მისი რამდენიმედღიანი გაცნობის შედეგად. შესასწავლია ყველა დასკვნა, რომელთა მიღებასაც, უნდა ვივარაუდოთ, წლები დასჭირდა.

ნაშრომი (ტ. VII, გვ. 518) შეიცავს მტკიცებებს, რომ თანამედროვე მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს 102 747 879 სიტყვას, პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, ხოლო უამათოდ, სულ მცირე 20 მილიონამდე (შესაძლოა მეტსაც) სიტყვას. ეს კოლოსალური ციფრია. თუმცა ეს ყველაფერი შემოწმებადია. დაეჭვებულ მკითხველს ამ ფაქტმა უნდა გაუჩინოს სურვილი დარწმუნდეს მის ჭეშმარიტებაში და არამცდაარამც არ განეწყოს შრომისადმი ნიჰილისტურად, ამას მეცნიერების, ჩვენი ენებისადმი ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სიყვარული მოითხოვს.

არ არის გამორიცხული, რომ იმ თავისებურებათა, იმ ღირსებათა შეფასებისას, რომლებსაც ხედავენ და აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, ვინმემ სცადოს იხელმძღვანელოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და რომლის რეციდივები, თავს იჩენენ დღესაც. განსახილველი ნაშრომის ობიექტი ენაა, ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს. მეცნიერთა და მკითხველთა მიერ დანახული უნდა შეფასდეს ობიექტურად და არ იქნეს შეფასებული, როგორც მათთან დაპირისპირება, რამეთუ ყველა ენას, მითუმეტეს არასამწერლობო და, მაშასადამე, დიდი ისტორიის მქონეს, როგორიც მეგრულია, განვითარების საკუთარი გზა აქვს გავლილი და ამ გზის შესწავლა-ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ენის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, პირობებზე, რომლებშიც ჩამოყალიბდა აღნიშნული ენის დღევანდელი სახე მეზობელ ენებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების შედეგად.

ოთარ მიქიაშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტიტანური შრომა

კარგა ხანია კაცობრიობამ დაიწყო საუბარი კოლხური ცივილიზაციის შესახებ. იყო დრო, როცა ამ საკითხზე, გარკვეული მიზეზების გამო, კრინტსაც ვერავინ ძრავდა, შემდეგ – მოკრძალებულად ალაპარაკდა ზოგიერთი. დღეს კი სერიოზული და სოლიდური მეცნიერული გამოკვლევებიც გამოჩნდა, და მარადიული ბურუსიდან თანდათანობით ამოდის ძლევამოსილი ისტორია.

სრულიად აშკარაა, რომ კაცთა მოდგმის ყოველგვარი ცივილიზაციის საწყისი და ამ საწყისის საწყისიც, ენა გახლავთ... ენა რომლის წარმომავლობის დადგენა საუკუნეთა მანძილზე სანუკვარი ოცნება იყო კაცობრიობისათვის. ეს ყველას მიუწვდომელი ეგონა. ღღეს ჩვენს წინაშეა **მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა** და **ვლადიმერ ვახანიას „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, უდავოდ ტიტანური შრომა, რომელმაც გახსნა ენის წარმოშობის საიდუმლოება და ქვეყნიერებას ამცნო, რომ ადამიანს ბუნებამ თვითონ წარმოაქმნევინა საკუთარი ენა, სრულიად ბუნებრივი გზით. მეგრული სიმდერების ჯადოსნურობა და ღვთაებრიობაც, მსოფლიოს ასე რომ აოცებს, მეგრული ენის სიდიადეში მდგომარეობს.

რამდენი ხანია ქართველურ ენათა ეს ერთ-ერთი მარგალიტი, ულამაზესი და უტკბესი ენა, ელოდება დროს, როცა დაიწყება მისი უკიდეგანო სიდიადის შესწავლა. და ეს დროც დადგა.

ყინული დაძრულია...

დასახელებული შვიდფოლიანტელის ავტორებს სრულიად სამართლიანად სჯერათ, **„რომ ეს ნაშრომი, თავის მხრივ, კვლავაც იქნება საფუძველი ასობით და ათასობით სხვა ნაშრომების შესაქმნელად არა მხოლოდ ავტორების მხრივ, არამედ სხვების მხრივაც, და რომ იგი ამაში დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებსა და დარგის შემსწავლელებს, არა მარტო ქართველური, არამედ მსოფლიო ენების მასშტაბით“.**

ჯემალ ჯინჯიხაძე
ენათმეცნიერებისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

პროფ. ლევან სანიკიძე

(დასაწყისი "ილორი" №97, 98, 100, 101, 102, 103, 104)

ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებში ქასქ-მეგრულ ტომებს გვარსახელები ჰქონდათ

ცნობილია, რომ წინახეთურ მოსახლეობას შეადგენდნენ ქასქები. იგივე მეგრულ-ჭანური ტომები (გ. გიორგაძე, გ. ჭელიძე, კ. თოფურია, კ. შელია).

აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავს, რომ ძველი წელთაღრიცხვის XV-XII საუკუნეების დროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტოპონიმიკის, ქასქური საკუთარი სახელების, ცალკეული სიტყვების ანალიზი გვიჩვენებს ქასქების სამხრეთ კოლხურ წარმომავლობას. აფხაზი მეცნიერები 1991 წელს სოხუმში რუსულ ენაზე გამოცემულ **"აფხაზეთის ისტორიაში"** ამბობენ, რომ ქაშქები არიან ადიღეურ-ჩერქეზული ტომის ხალხი. მაგრამ საბუთების გარეშე, სურვილის მიხედვით, ისტორია არ იქმნება.

ხეთურ ტექსტში **"ქასქა"** ტერმინისაგან ნაწარმოებია **"ქასქას ტომი" ("ქასქა-ტომი"** ან **"ქასქას ტომები", "ქასქას ქვეყანა"** (ან ქვეყნები), **"ქასქელი"** (კაცი თუ ქალი), **"ქასქელები", "ქასქელი მეომრები"** ან **"ქასქის ქვეყნის მეომრები", "ქასქა-მტერი", "ქასქა-ღვთაებები"** და ა.შ.). (გრიგოლ გიორგაძე, **ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის,** ახალციხე, 2000წ. გვ.11, წიგნი გამოსულია სამ ენაზე – ქართულ, რუსულ და გერმანულზე).

გ. გიორგაძე განმეორებით წერს: **"ხეთურ ტექსტებში მრავალჯერ მოხსენებული ქასქების მდიდარი ტოპონიმიკის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქასქების ტომები განსახილველნი არიან როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ჭანური, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ, სამხრეთ-კოლხური წარმოშობის ტომები".** ასეთ შემთხვევაში მივიღებთ სრულიად ახლებურ დასკვნას: ქასქები არიან სამხრეთ-კოლხური წარმოშობის ტომები, მაშინ ასეთსავე ტომებად უნდა ჩავთვალოთ ასურული ტექსტების ქაშქებიც (**"ქაშქაია"**) და, მაშასადამე, აბეშლაელებიც, თუკი ასურული წყაროების **"ქაშქა"** და **"აბეშლა"** მართლაც სინონიმებია. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ხეთური და ასურული წყაროების ქასქები (ქაშქები) და ასურული წარმოშობის აბეშლაელები (საერთო ჯამში, აფსილებიც – აბეშლა და **"აფსილი"** ტერმინთა გაიგივების შემთხვევაში) ერთი და იგივე წარმომავლობის – სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებია. (გრიგოლ გიორგაძე, **ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის,** ახალციხე, 2000წ. გვ.163).

ამ პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომებიც, მათ შორის ქართველური წარმოშობის მუშქები (მესხები, იგივე მეგრული ტომებია), რომლებმაც მიიტაცეს ასურეთის ქვეშემრდომი ქვეყნები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში – ალიზი, ფურულუმზი, შემდეგ ქათხუმი და მრავალი წელი ბატონობდნენ მათზე.

ქაშქების ტომებს ჰქონდათ საკმაოდ ვრცელი ქვეყანა მთელი პონტოს ტერიტორიაზე, როგორც ამტკიცებენ, დაახლოებით იმ ადგილებში, სადაც გვიან ცხოვრობდნენ ქართველური კოლხური ტომები – ხალიბები, მოსინიკები, სანები და სხვა.

პროფესორი ნათელა ქუთელია წერს: **"ვინც ონომასტიკურ მასალას გაეცნობა, პირველი, რაც თვალში ეცემა, ეს არის ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და კოლხურს (ლაზურ-მეგრულს) შორის, განსაკუთრებით აფიქსთა იდენტურობა".**

პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე დარწმუნებით ამბობს: **"ქაშქების კოლხურ, ე.ი. დასავლურ-ქართველურ ეთნოსად მიჩნევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ეთნოსისა და ქართველური ენების ისტორიისათვის. კერძოდ, დასტურდება, რომ მეგრულ-ჭანური, ანუ "ზანური" ("კოლხური") ენა უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში გამოყოფილია ქართულ-ზანური ერთობლიობისაგან".**

ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმულ ტექსტებში. საინტერესოა გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მთავრდება – **ია** სუფიქსზე: აშხარფაია (აშხარბაია, ასხარბაია), ელურია (ილურია), გახარია, ქათხარია (ქაშქაია, ქასქაია), ფათადია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია), თახანთარია, თალიფაცია, თაქაშთურია (თაქასთურია), თალმალია, თიმია, თიფია, ვაშხაია (ვასხაია), ციხარია, ციხთახარია, ციხარცია და სხვა მრავალი ქასქური ტოპონომიკის – **ია** სუფიქსთან დაკავშირებით, შეადარეთ მეგრული გვარები, რომლებიც ბოლოვდებიან – **ია** სუფიქსზე: ქეცბაია, თოფურია, ქაარია, გახარია, გამახარია, პაჭკორია, ოდიშარია, ქუთელია, ფიფია და ასე შემდეგ...

გ. გიორგაძის მიერ მოხმობილი ქასქურ, აშკარად მეგრული სიტყვების მსგავს სიტყვებს, გამოთქმებს, შეიძლება ასეთი განსაზღვრაც მივცეთ: ისინი გვანან, თანხვდებიან თანამედროვე მეგრულ სიტყვებს, ზოგიერთი მათგანი დღეების სახელწოდებებია: მუნისქა (მუნიშხა) – **"ჯუმაშხა"** (ოთხშაბათი), თათისქა (თათიშა) – **"თახაშხა"** (სამშაბათი), თუთუსქა – **"თუთაშხა"** (ორშაბათი), ციანთისქა (ციანთიშქა) – **"ცაშხა"** (ხუთშაბათი) და ა.შ.

აშკარად ქასქური წარმოშობის სახელებია: ასაფლალა (აშაფალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (პაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფაციცი, სფალი, სიუსმელი (შუიშმელი), დადა (თათა, დათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და ა.შ. გარკვევით ჩანს, რომ ყველა ისინი მეგრული სიტყვებია.

ქართული მეცნიერების კორიფე დიდი ივანე ჯავახიშვილი ქასქებს თვლის **"მერმინდელი კოლხების წინაპრად"**, ამასვე ამტკიცებენ სხვა ცნობილი მეცნიერებიც, არა მხოლოდ ქართველები, არამედ ბევრი უცხოელი მეცნიერიც.

(გაგრძელება იქნება)

პატრიარქმა საქინფორმი დალოცა

2011 წლის 25 იანვარს, 12:00 საათზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი **არნო ხიდირბეგიშვილი** და საქინფორმის დამფუძნებელი – არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის"** თავმჯდომარე **ტარიელ გაგნიძე.** პატრიარქმა დალოცა მათი მოღვაწეობა და შეხვედრის დროს აღნიშნა:

„დიდი საქმეა, რომ ამას აკეთებთ, ნამდვილად ეროვნულია, ძალიან გამახარა თქვენმა წამოწყებამ. *მიმაჩნია, რომ იმ დროს, როცა ჩვენზე ძლიერად მოდის გლობალიზაციის პროცესი, და გლობალიზაციას , მოგეხსენებათ, აქვს სუბიექტი და ობიექტი, ამ შემთხვევაში ჩვენ, პატარა ერები, ობიექტები ვართ. და სუბიექტს უნდა, რომ გადაგვაკეთოს და ამით დაგვაკარგვინოს ჩვენი ეროვნული ფასეულობები.*

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ჩავიკეტოთ ჩვენს ნაჭუჭში. რაც კარგია ამ გლობალიზაციის პროცესში, უნდა მივიღოთ - ზოგადად საკაცობრიო ფასეულობები, მაგრამ ამავე დროს ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო ჩვენი ფასეულობების მიმართ.

ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა დასავლეთსა და უცხო ხალხს არ ესმის ჩვენი ფასეულობებისა. ჩვენთვის ესაა ძვირფასი, მათ კი სულ სხვა კატეგორიები აქვთ ფასეულობების. ***ამიტომ თქვენი საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან ძვირფასია და ჩვენ ყველაფერში მხარში ამოგიდგებით!***

რაც შეეხება რელიგიასა და რუსეთს – ეს ცოტა ფაქიზი თემაა, ამას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა რაიმე არ გამოგვეპაროს და გავითვალისწინოთ, რომ ***ეკლესია დღეს, ფაქტობრივად, ერთადერთი ხიდია, რომელიც ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებს, ურთიერთობებს ეკლესიის მეშვეობით ვაწარმოებთ და ეს ხიდიც თუ ჩავტეხეთ, ძალიან რთული პროცესები დაიწყება.*** *დაგლოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!"*

შეხვედრის დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა, მცხეთა–თბილისის არქიეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაგმო 2011 წლის 24 იანვრის ტერაქტი მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტში და რუსეთის ფედერაციის ყველა მოქალაქეს ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა.

„უარმიო გენერლისა" და „მტირალა დეპუტატის" ამბავი:– „გადი, ბი–ჭოო!"

ქართულ ოპოზიციურ სპექტრში თითქმის ყველა პარტიის ლიდერი თუ წარმომადგენელი იმას ღაღადებს, რომ ერთმანეთში ქიშპის ნაცვლად ერთად უნდა დადგნენ და საქმე აკეთონ, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ხელისუფლების შეცვლა სურთ, ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მორიგი **„მედიაკონფლიქტი"** ამჯერად პარტიაწართმეულ ოპოზიცონერს **ზურაბ ნოღაიდელსა** და სენტიმენტალიზმით ცნობილ დეპუტატს, **„თავისუფალი დემოკრატების"** წევრ **გია ცაგარეიშვილს** შორის გაღვივდა. ისინი ერთმანეთს გასულ კვირას დაუპირისპირდნენ.

ერთ–ერთ საგაზეთო ინტერვიუში ცაგარეიშვილმა ექსპრემიერი **„უარმიო გენერლად"** მოიხსენია, რაც თავისთავად გახდა ჟურნალისტების ინტერესის საგანი ნოღაიდელის მიერ გამართულ ბრიფინგზე. ექსპრემიერმა ეს ინფორმაცია იწყინა და ცაგარეიშვილს ურჩია, **„წავიდეს და იტიროს". „ცაგარეიშვილის საკრიტიკო არაფერი მაქვს. არმია 67 რაიონული ორგანიზაციის სახით მყავს, მაგრამ გენერალი ჯერ არ არის. ცაგარეიშვილის კრიტიკაღა მაკლდა! ვურჩევ, წავიდეს და იტიროს, როგორც ამას შიგადაშიგ აკეთებს ხოლმე",** - განაცხადა ნოღაიდელმა, თუმცა მომავალი **„გენერლის"** არმიის რეალურ სიდიდეს მისი ახალი პარტიის გაზაფხულზე დაგეგმილი პირველი ყრილობა გვიჩვენებს.

ნოღაიდელის ამ გამოსვლას კვლავ დეპუტატის კომენტარი მოჰყვა, რომელმაც **„უარმიო გენერალს"** ამჯერად **„დაღლილი ვირი"** უწოდა და აღნიშნა, რომ მისგან წიხლი არ სწყინს.

„ის დღევანდელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილია, წინააღმდეგ შემთხვევაში ან ციხეში უნდა იჯდეს, ან, ოქრუაშვილის მსგავსად, პარიზს აფარებდეს თავს", – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

დაპირისპირებულ მხარეებთან დაკავშირება და იმის გარკვევა, რატომ დაიწყეს ერთმანეთის ლანძღვა, საქინფორმმაც სცადა, თუმცა ნოღაიდელმა აღნიშნული საკითხის კომენტირებაზე უარი თქვა, ცაგარეიშვილთან დაკავშირება კი, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

ალბათ, ეს საკითხი მსგავს აქტუალობას არც უნდა იძენდეს, თუმცა ყველაზე სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ქართული საინფორმაციო მედიის პოლიტიკური განყოფილება **„ყვითელ პრესას"**, ქართველი პოლიტიკოსები კი იუმორისტული სერიალის **„შუა ქალაქის"** გმირებს ხშირად ემსგავსებიან. მიუხედავად ბევრი მოწოდებისა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებისგან და თავად პოლიტიკოსებისგან ისმის, ოპოზიცია შერიგების პოლიტიკას ვერა და ვერ დაადგა, რადგან მათი უმეტესობა ამის აზრსაც კი ვერ ხედვას – მათ იციან, რომ ნებისმიერ არჩევნებზე ერთმანეთთან დაპირისპირება და **„სკამების ომი"** მაინც მოუწევთ.

აქედან გამომდინარე, გვინდა თუ არა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ოპოზიციაზე ჭკვიანი აღმოჩნდა – როცა **„ოპო"** ერთმანეთს **„კენჭებს ესვრის",** ხელისუფლება საქმეს აკეთებს, თუნდაც ეს საქმე მოსახლეობის მოსყიდვა ან **„ტკბილი"** მუქარა იყოს, ბიზნესის დატერორება ან შეკვეთილი მკვლელობა და თუ მმართველ გუნდში რაიმე დაპირისპირებაა, რომელიც ხშირად ოპოზიციის დაპირისპირებაზე ბევრად მნიშვნელოვანია, საქმე კულისებს მიღმა გვარდება და არა **„დაღლილი ვირისა"** და, **„მტირალა დეპუტატის"** მსგავსად, პრესის მეშვეობით, რაც ზოგჯერ თვით პრეზიდენტ სააკაშვილის სატელევიზიო ხუმრობის მიზეზი ხდება ხოლმე.

ზუგდიდელი პაპუნა ქოჩუა საქართველოს მოქალაქეობის დატოვებისთვის გადასახდელი თანხის შესაგროვებლად დახმარებას ითხოვს

,,ენერგო-პრო ჯორჯიადან" უკანონოდ გათავისუფლებულმა ზუგდიდელმა პაპუნა ქოჩუამ ორი თვის წინ წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობაზე შესაძლო უარის თქმის შესახებ. ამის თაობაზე საქინფორმიც იუწყებოდა. ამ ორი თვის გასვლის შემდეგ პაპუნა ქოჩუამ გადაწყვიტა, უარი თქვას საქართველოს მოქალაქეობაზე, თუმცა ის მთელ რიგ წინააღმდეგობას წააწყდა. ,,გასული წლის 12 დეკემბერს მე მივმართე საქართველოს პრეზიდენტს განცხადებით, ვინაიდან და რადგანაც საქართველოს რესპუბლიკაში სამართალი არ არსებობს, ასევე არ არის არავითარი პირობები, რომ მუშა კაცმა თავი ირჩინოს; ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი განვაცხადო. მეგონა, რომ განცხადების შემდეგ მომაკითხავდნენ ან სამართალდამცავი ორგანოებიდან, ან სოცუზრუნველყოფის წარმომადგენლები ან, ყველაზე უარეს შემთხვევაში, ფსიქიატრს მომიგზავნიდნენ, მაგრამ ძალიან შევცდი. პასუხი მივიღე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან, მატყობინებდნენ, თუ რა საბუთები არის საჭირო იმისათვის, რომ დავტოვო საქართველოს მოქალაქეობა. განცხადების შინაარსი კი არავის აინტერესებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამისთვის გადასახდელი არის 400 ლარი," – განუცხადა საქინფორმს პაპუნა ქოჩუამ და ასევე დახმარებისთვის თხოვნით მიმართავს საზოგადოებას: ,,გთხოვთ, ჩემო დებო და ძმებო, ქართველებო და არაქართველებო, დამეხმაროთ, რათა ეს თანხა შევაგროვო, გადმომირიცხეთ, თუნდაც ერთი თეთრი, რათა თავი დავაღწიო ამ ჯოჯოხეთს. ამიტომაც გავხსენი ანგარიში ლიბერთი ბანკში ,,GE27LB0711135321657000" თქვენზე მლოცველი პაპუნა ქოჩუა".



სერგეი კრემლიოვი
ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

რაც შეეხება ლავრენტი ბერიას როლს გერმანელ ფაშისტთა შემოსევისაგან კავკასიის დაცვის საქმეში, აქ ამ პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი წარმოჩენილია მხოლოდ უარყოფით პლანში, რადგან **"სხვაგვარად არ შეიძლება – ბერია ხომ თვითნება, ჯიუტი და უმეცარი ტირანი იყო, რომელსაც სამხედრო და სამეურნეო საქმისა არაფერი გაეგებოდა..."** იგი სტალინმა, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა გააგზავნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლად ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში, სადაც ლავრენტი **"ხელს უშლიდა ყველანაირად საბჭოთა ჯარებს კავკასიის დაცვის საქმეში"**! მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. აი, თუნდაც **"დემოკრატ"** დიმიტრი ვოლკოგონოვის წიგნი დავიმოწმოთ, სათაურით **"ტრიუმფი და ტრაგედია"**:

"ბერიას მთელი მონაწილეობა დიდი სამამულო ომის სამხედრო მოქმედებებში შემოიფარგლება ორჯერ ჩასვლით კავკასიაში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წამომადგენლის ამპლუაში (სტალინმა იგი კავკასიაში გააგზავნა არა როგორც მხოლოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი, არამედ მთავარბანაკის წევრიც, ისევე, როგორც ჟუკოვი – ს.კ.), 1942 წლის აგვისტოში, სადაც იგი 1943 წლის მარტამდე დარჩა. არქივები მოწმობენ, რომ სტალინის სახელით იგი შიშს სთესდა სამხედრო მეთაურებს შორის, ხსნიდა თანამდებობებიდან მისთვის არასასურველ პირებს, ხვრეტდა უდანაშაულო ადამიანებს. მას თან ახლდნენ ქობულოვი, მამულოვი, მილშტეინი, პიაშევი, ცანავა, რუხაძე, ვლოძიმირსკი, კარანაძე, კაკუჩაია, მისი შვილი სერგო. მაშინ მაგრად მოხვდათ ტიულენევს, სარგაცკოვს, სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებს".

ვოლკოგონოვი საკუთარი ტყავიდან ძვრება, რათა თავი სამხედრო საქმის დიდ ანალიტიკოსად წარმოგვიდგინოს, თუმცა, თუ მწარე სიმართლეს ვიტყვით, იგი ჩვეულებრივი ვიგინდარა იყო, თანაც, საკმაოდ უტვინო, იმიტომ, რომ ჭკვიანი ვიგინდარები ცდილობენ მხოლოდ **"შეუმჩნევლად"** ჩაასწორონ ისტორია და არ ტყუიან ტოტალურად. ტოტალური ტყუილის მხილება კი ფრიად იოლი საქმე გახლავთ – ძალიან ბევრი თვალშისაცემი უზუსტობაა მასში!

რაც ამ წიგნში ყველაზე თავშესაქცევია, ვოლკოგონოვმა წინწკლებში არ მოათავსა სიტყვა **"სამხედრო მოქმედებებში"**, რომელშიც ლავრენტი ბერია ფორმალურადაც კი არ იღებდა მონაწილეობას – იოსებ სტალინს იგი საომრად არ გაუგზავნია კავკასიაში. მაგრამ, გერმანული ავიაციის დაბომბვის დროს ბერია ხშირად იგდებდა სიცოცხლეს საფრთხეში. უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკის რამდენიმე ოფიცერი, რომლებიც ბერიასა და პოლკოვნიკ შტემენკოსთან (რომელიც მთავარბანაკში კავკასიის მიმართულებაზე იყო პასუხისმგებელი და 1953 წელს ზურგი შეაქცია ბერიას, მაგრამ მასთან ახლობლობის გამო მაინც დაიჩაგრა) ჩამოვიდნენ კავკასიაში, დაიღუპნენ. თავში დაიჭრა ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ლაზარ კაგანოვიჩი, დაიჭრა ადმირალი ისაკოვიც, რომელსაც ფეხი მოჰკვეთეს...

მაგრამ, დავუბრუნდეთ ვოლკოგონოვის წიგნიდან მოხმობილ ციტატას... კავკასიის დაცვისას ბერიას მხარში მდგომებს შორის მას შეეძლო მოეხსენებინა მერკულოვი, სუდოპლატოვი, მასლენნიკოვი, ხომენკო, ორლოვი...

ვოლკოგონოვის მიერ ყველა ჩამოთვლილი პიროვნება, ამასთან მერკულოვიცა და მასლენნიკოვიც, ლავრენტი ბერიას თანამებრძოლები იყვნენ ჯერ კიდევ კავკასიიდან, რომლებიც ღრმად იყვნენ გარკვეული რეგიონში არსებულ სიტუაციაში და ყოველგვარი მომზადების გარეშე შეეძლოთ შესდგომოდნენ საქმეს. რაც შეეხება ჩეკისტ სუდოპლატოვს, მესაზღვრე გენერლებს პიაშევსა და ხომენკოს – ესენიც დიდი ხნის წინ საქმით შემოწმებული კადრები იყვნენ, მაგრამ უკვე სსრკ შინსახკომიდან. **"გუნდში"** შეყვანილი იყო სერგო ბერიაც, მაგრამ იგი შტემენკომ შეიყვანა **"ძირითად"** შემადგენლობაში და არა ლავრენტიმ, და თანაც, განათლებითა და ჭკუით სერგო ბერია მართლაც უნიკალური და შეუცვლელი გახლდათ.

მთლიანობაში, ის, რომ ბერიამ ამ უძნელეს გზაზე თავისი ახლობელი ადამიანები ამოიყენა გვერდში, კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ მას შეეძლო ნდობოდა ადამიანებს. მაგრამ მხოლოდ მათ, ვინც არაერთგზის იყო შემოწმებული საქმით.

აგვისტოში კავკასიაში სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ჰიტლერს განზრახული ჰქონდა 1942 წელს **"ცენტრის"** დაჯგუფებაში შემავალი არმიებით გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა მოსკოვისათვის, მაგრამ იგი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გეგმა **"ბლაუს"**, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის სწრაფად დაპყრობას, სტალინგრადის მიდამოებში მდინარე ვოლგაზე ფორსირებულად გასვლას და ბაქოს ნავთობის ძირითადი ხაზის გადაკეტვას, რაც სასიკვდილო საფრთხეს შეუქმნიდა საბჭოთა საჯარისო ნაწილებს.

სტალინგრადის ეპოპეას (სიტყვისათვის, უმაღლესი სარდლობის მთავარბანაკმა იქ გიორგი მალენკოვი მიავლინა) ჩვენ კარგად ვიცნობთ. კავკასიის ეპოპეის ნიუანსებს კი ბევრად ნაკლებად ვართ გაცნობილი. შეიძლება ეს იმითაც არის განპირობებული, რომ კავკასიის დაცვის საქმეში ბერიამ ნამდვილად დიდი როლი შეასრულა. აღმოჩნდა რა უშუალოდ ფრონტის ხაზზე, იგი აქაც ეფექტურად ამოქმედდა, ამიტომ, 1953 წლის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი ავანტიურისტი თანამზრახველების უბადრუკი მცდელობის შედეგად იმ პერიოდის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მოვლენათა გაცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მე არ მაქვს განზრახული ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთკავკასიის ფრონტებზე ოპერატიული მდგომარეობის განხილვა, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მინდა წარმოგიდგინოთ პოსპელოვის წიგნის **"დიდი სამამულო ომის ისტორიის"** ის ნაწილი, სადაც შეფასებულია აღნიშნული ეპოპეა. მეორე ტომის 461-ე გვერდზე ვკითხულობთ:

"გერმანული დაჯგუფება "ა"-ს არმიათა დაჯგუფების სარდლობას მიაჩნდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიამ, ეფექტური გერმანული სამხედრო ოპერაციების შედეგად, დაჰკარგა ბრძოლისუნარიანობა. ამიტომ, აგვისტოში გერმანიის სარდლობამ გადაწყვიტა გადაეჯგუფებინა ძალები, რათა ერთი დარტყმით აეღოთ ბათუმი და ბაქო. პირველი სატანკო არმია გაშლილი ფრონტით შეუტევდა გროზნო-მახაჩკალა-ბაქოს. მე-17 არმია განავითარებდა შეტევას კრასნოდარსა და ნოვოროსიისკზე, რათა სოხუმი და ბათუმი მოეწყვიტა ძირითადი საბჭოთა ძალებისაგან. 491-ე სამთო-მსროლელი კორპუსი კი დალაშქრავდა კავკასიის მთაგრეხილს და გადაკეტავდა იქ მდებარე უღელტეხილებს, შევიდოდნენ სოხუმში და გზას გაუხსნიდნენ შავი ზღვისაკენ მე-17 არმიას.

18 აგვისტოს დაიწყო ბრძოლები უღელტეხილებზე..."

აი, როგორი სიტუაცია იყო კავკასიაში, როცა მას ბერია კვლავ მოევლინა ხელმძღვანელად. იგი აქ ყველას იცნობდა, ისევე, როგორც მას იცნობდა ყველა, ამიტომ, ხალხმა დაუყოვნებლივ მიაშურა საბრძოლო ადგილებს. გარდა ამისა, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას გვერდს უმაგრებდნენ **"თავისი"** საქმის მცოდნე სამხედროები, ვისაც იგი ბრმად ენდობოდა – თუნდაც ივანე მასლენნიკოვი. და 1942 წლის 8 აგვისტოს, ვიდრე ბერია კავკასიაში ჩავიდოდა, აქ უკვე შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთ დაჯგუფება, რომლის სარდლად დანიშნა გენერალ-ლეიტენანტი მასლენნიკოვი.

ამ დანიშვნის სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, ლავრენტი ბერია გახლდათ. მაგრამ მასლენნიკოვი დაინიშნა მას შემდეგ, რაც 6 აგვისტოს ტიულენევთან მოილაპარაკეს საბჭოთა წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვასილევსკიმ და გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს კავკასიის მიმართულების უფროსმა, პოლკოვნიკმა შტემენკომ. მათ აცნობეს ტიულენევს, რომ მასლენნიკოვი **"ორ-სამ დღეში ჩამოვიდოდა"**.

მალე თბილისში ტიულენევთან ჩავიდნენ თვითონ ბერია და შტემენკო და დიდი მუშაობაც დაიწყო.

სასწრაფოდ გამაგრდა უღელტეხილები – აქ საქმეს დიდად წაადგა სუდოპლატოვისა და მერკულოვის გამოცდილება ალპინისტთა მობილიზაციის საქმეში, ჩასაფრების ადგილების მოწყობისას, სნაიპერთა ჯგუფების შექმნისას, ადგილების დანაღმვაში. სუდოპლატოვი იხსენებს, თუ როგორ გამოუცხადა სტალინმა საყვედური მერკულოვს **"დანაღმვითი ოპერაციების ჩატარების დროს დაშვებული გაუმართლებელი რისკისათვის, რადგან მან თავი ჩაიგდო საფრთხეში და შეიძლებოდა დაეტყვევებინათ გერმანელთა მოწინავე რაზმებს"**. მაშინ ბერიასაც მაგრად მოხვდა, მან კი სუდოპლატოვი გაიცხა იმისათვის, რომ ვერ შესძლო შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილის დაცვა.

რას იზამთ, მძიმე და სისხლისმღვრელ ომში სიმკაცრეც არაა გამორიცხული. დემოკრატთა **"საყვარელი"** გიორგი ჟუკოვი ასეთ სიტუაციებში დედას ბინძურად იგინებოდა და ხალხს შეუბრალებლად ხვრეტდა. ლავრენტი ბერია კი მხოლოდ მკაცრი იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ კონკრეტული დანაშაულის გარეშე გაეშვა ადამიანები ეშაფოტზე. ტყუილად კი არ არიდებს თავს ვოლკოგონოვი დახვრეტილი ხალხის სახელდობრ ჩამოთვლას და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ **"მაგრად მოხვდათ ტიულენევსა და სერგაცკოვს"...**

ორმოცდაათი წლის ასაკის მქონე არმიის გენერალი (უკვე 1940 წელს) ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი დიდ სამამულო ომამდე მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი იყო, ომის დაწყებიდან ცოტა ხანში კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშნეს, რომელიც 1942 წლის მაისიდან ამიერკავკასიის ფრონტად გადაკეთდა. ამ თანამდებობაზე ტიულენევი იმყოფებოდა 1945 წლის ივნისამდე. იგი არ იყო გამოჩენილი მხედართმთავარი და შესაძლებლობებით უფრო ქმედით სამხედროთა საშუალო კატეგორიას მიეკუთვნებოდა – ესე იგი, იყო საკმაოდ საიმედო ფიგურა, განსაკუთრებით თავდაცვის საქმეებში. მისგან კი სხვას არაფერს მოითხოვდნენ, რომ დაეცვა კავკასია და ბაქოს ნავთობი.

და მას ამ საქმეში ბერიაც მაგრად დაეხმარა. დაეხმარა იმაში, რაც ბერიაზე მეტად არავის შეეძლო კავკასიაში – ხალხის და რეზერვების მობილიზაციაში, ეკონომიკის გაძლიერებაში. კონკრეტულ მაგალითებს შემდეგ მოვიყვან, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ბერია **"კავკასიელებს"** მაგრად დაეხმარა სამხედრო საქმეებშიც! ტიულენევი მოგვიანებით წერდა (რა თქმა უნდა, ბერიას გვარის ხსენების გარეშე):

"ზოგიერთები, ჩვენ შორის, ჯარების მთავარ ამოცანად მიიჩნევდნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვას, სადაც განთავსებული იყო კიდეც 46-ე არმიის ძირითადი ძალები.

მხოლოდ მთავარბანაკის ჩარევამ გამოასწორა ჩვენი შეცდომა. მოსკოვიდან მოსული მითითების თანახმად ჩვენ შევიმუშავეთ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილთა დაცვის ახალი გეგმები: ძირითადი ძალებისაგან რამდენიმე ჯგუფი დაკომპლექტდა, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი მეთაურები და შტატები."

ტიულენევი აქ დაცვის ისეთ კონცეფციას აჟღერებს, რომელიც უდავოდ ლავრენტი ბერიას მიერ იყო შემუშავებული. ისიც სავარაუდოა, რომ 1942 წლის 1 სექტემბერს, სტალინმა, თავისი სპეციალური განკარგულებით, სწორედ ბერიას რჩევით გააერთიანა ჩრდილო-კავკასიის და ამიერკავკასიის ფრონტები ერთ, ამიერკავკასიის ფრონტად.

საჭირო იყო ღრმად ეშელონიზირებული დაცვითი ზღუდეების შექმნა. 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში ორჯონიკიძის, გროზნოსა და მახაჩკალის მიმართულებით შეიქმნა ხუთი-ექვსი დაცვითი ხაზი, ბაქოს მიმართულებით კი ათი ხაზი. ამ მშენებლობებზე მობილიზებული იქნა 90.000 ადგილობრივი მცხოვრები. და ყველაფერი ამის მოტივი გახლდათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი ბერია. მაგრამ იგი, როგორც წესი, არ ერეოდა ოპერატიული საკითხების გადაწყვეტის საქმეში – სად რომელი სამხედრო ნაწილი უნდა გადაესროლა, როგორ უზრუნველეყოთ საფრონტო დარტყმები და ა.შ. იგი თავისი საქმის დიდი პროფესიონალი იყო და ამიტომაც სცემდა დიდ პატივს სხვა საქმეთა პროფესიონალებს.

რაც შეეხება კადრების საკითხს, ამ საკითხში იგი მაღალპროფესიულად ერკვეოდა და ვიღაცეებთან ურთიერთობაში გაერკვა კიდეც... აი, ვოლკოგონოვმა სერგაცკოვი მოიხსენია. 1998 წელს დაბადებულმა სერგეი სერგაცკოვმა პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა მოასწრო – დასავლეთის ფრონტზე ომობდა პორუჩიკის ჩინით, იყო ასმეთაური. წითელ არმიაში მეთაურობდა პოლკს, დივიზიებს. 1941 წლიდან იყო გენშტაბის აკადემიის უფროსი მასწავლებელი.

1942 წლის 28 აგვისტოს ბერიამ თანამდებობიდან გაანთავისუფლა გენერალ-მაიორი სერგაცკოვი დამ ის ადგილზე დანიშნა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე. დავუშვათ, ბერია არ იყო ამ შემთხვევაში მთლად სამართლიანი სერგაცკოვის მიმართ. მაგრამ, რა უშლიდა ხელს ამ უკანასკნელს, რომ შემდეგ მაინც გამოეჩინა თავი სამხედრო ნიჭით. მაგრამ სერგაცკოვს არც შემდეგ **"მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები"** და 1944 წელს, როცა მე-11 გვარდიულ მსროლელთა კორპუსს სარდლობდა, **"ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო"** გადაიყვანეს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის საერთო ტაქტიკის კათედრის უფროსად. თუმცა, ამ **"გაუარესებული ჯანმრთელობით"** შემდეგ კარგა ხანს იცოცხლა – გარდაიცვალა 1975 წელს, მოსკოვში, 77 წლის ასაკში.

რაც შეეხება გენერალ ლესელიძეს... დაიბადა 1903 წელს, საქართველოში, წითელ არმიაში ჩაირიცხა 1921 წელს. ომის დაწყებისას იყო მეორე მსროლელთა კორპუსის არტილერიის უფროსი, მამაცურად იბრძოდა მოსკოვის მიდამოებთან. კავკასიის შემდეგ იბრძოდა ყუბანში, უკრაინაში. 1943 წელს გახდა გენერალ-პოლკოვნიკი, მძიმედ დაიჭრა და 1944 წლის 21 თებერვალს ჭრილობებისაგან გარდაიცვალა მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტალში. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. იბრძოდა საქართველოსათვის, დაიღუპა კიევში. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, შეეწირა საბჭოთა კავშირის გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლების საქმეს.

ბერიასთან ნათესლმირონით იყო დაკავშირებული ლესელიძის თანატოლი ანდრეი გრეჩკო, რომელიც 1942 წლის 8 სექტემბერს დაინიშნა 47-ე არმიის სარდლად. მოგვიანებით კი გრეჩკო კატეგორიულად უარყოფდა ბერიასთან ამგვარ ნათესაურ კავშირს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს?!

თურმე ეს ასე არაა. თბილისის რესტორნებში, მაგალითად, ეს ხალხური სიბრძნე ახლახან ანაქრონიზმად იქცა. არა, თქვენ უწინდებურად შეგიძლიათ შეუკვეთოთ ნებისმიერი მუსიკა, **მაგრამ... არა რუსული!** თუმცა, თუ მაინცდამაინც **„მოსკოვსკიე ვეჩერას“, „დენ პობედის“** ანდა ალა პუგაჩოვას რეპერტუარიდან რომელიმე სიმღერის მოსმენა გნებავთ, მაშინ, კეთილი ინებეთ და 500 ლარი გადაიხადეთ. აბა, თქვენი ახირების გამო ფულს რესტორნის მფლობელს ხომ არ გადაახდევინებთ, რომელიც, ისევე, როგორც ყველა მისი კოლეგა, **საქართველოს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა წინასწარ გააფრთხილეს, რომ მისდამი დაქვემდებარებულ ობიექტზე მტრის ნაწარმოებების შესრულებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ხუთასი ლარის ოდენობით?!** მერე რომ არ ეთქვათ, არ ვიცოდით, არც კი გაგვიგონია ამგვარი აკრძალვის შესახებო, **ვერდიქტის ქვეშ ხელი მოაწერინეს არა მარტო იმ რესტორნების მფლობელებს, სადაც „ცოცხალი მუსიკა“ ისმის, არამედ თავად მუსიკოსებსაც და მომღერლებსაც.**

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად ვინ მოახდინა **„დემოკრატიის შუქურა“** ქვეყანაში რუსული მუსიკის მავნე ხასიათის სანქცირება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს... ფინანსური პოლიციისგან არ უნდა მომდინარეობდეს. იდეა სადღაც ზემოთ იშვა. ცნობილია მეორე, რბილად რომ ვთქვათ, **ბოდვითი იდეის ავტორის სახელი, რომლის მიხედვითაც ქართული რესტორნების ,,მენიუში'' უნდა მიეთითოს, რომ ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია. ეს დეპუტატი შოთა მალაშხია გახლავთ და მისი ინიციატივა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტმაც მოიწონა!**

ქვეყნის თუნდაც ნაწილობრივი ოკუპაცია ნებისმიერი ნორმალური მოქალაქისთვის ტკივილია, რომელმაც გულის სიღრმემდე შეძრა და მას, მოქალაქეს, არ სურს, რომ ეს ტკივილი პოლიტიკურ თამაშებში გაცვლით მონეტად იქცეს, რომ ის შერყვნას ლხინის სუფრით დაპროგრამებულმა, რესტორნის სტუმართა გულგრილმა და წამიერმა მზერამ, ვისი ყურადღებაც გარკვეული ხნის განმავლობაში მხოლოდ კერძების ჩამონათვალსა და მათ ფასებზეა მიპყრობილი და არა ბოლო სტრიქონზე – ოკუპაციის შესახებ.

მაგრამ რა **გაეწყობა! საქართველოში რუსულ ენაზე გლობალური შეტევა ხორციელდება, რაც აბრებით დაიწყო – ყველა რუსული წარწერა ერთდროულად მოშალეს. შემდეგ მკვეთრად შემცირდა რუსული სკოლების რაოდენობა და რუსული ენის სწავლების საათებიც. ბოლოს კი ფაკულტატიურ მეცადინეობამდე დავიდა, ხოლო ინგლისური ენა სავალდებულო საგნად იქცა. ცვლილებები შეიტანეს ,,კინემატოგრაფიის შესახებ კანონშიც'', რომლის თანახმადაც, საქართველოს კინოთეატრებში აკრძალულია უცხოური ფილმების ჩვენება რუსული თარგმანით.**

და არავის ანაღვლებს, რომ რუსულ ენას ჩვენთვის ყველაზე მეტად აქვს კომუნიკაციური დატვირთვა, რომ **თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე 400 ათასი სომეხი, 300 ათასი აზერბაიჯანელი, 60 ათასი რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს და მათი ერთაშორისი ურთიერთობის ენა, ძირითადად, უწინდებურად რუსულია. რა ენაზე ვაპირებთ კონტაქტების დამყარებას ჩვენს ყოფილ ავტონომიებთან – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან?** ქართული იქ უკვე დაავიწყდათ, ხოლო ინგლისური მასობრივად ჯერ არ შეუსწავლიათ.

ჩვენს ქვეყანაში რუსული ენის ამჟამინდელ სტატუსზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ სიტყვებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომელიც მან ოკეანისგაღმიდან ჩამოსულ ინგლისურენოვან მასწავლებლებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ინგლისურად ალაპარაკდებიან, ისინი ჩინურის, არაბულის, თურქულისა და რუსულის სწავლასაც შეუდგებიან... ასე რომ, ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული – რუსულ ენას მომავალი აქვს, მართალია, შორეული, მაგრამ მაინც...

ჯერჯერობით კი, ჩვენთვის დამახასიათებელი მიზანმიმართულობით, აწმყოდან განვდევნით ენასაც და ყველაფერ დანარჩენსაც, რაც ჩრდილოელ მეზობელს უკავშირდება, რათა ღმერთი არ გაგვიწყრეს და იმ დროის ნოსტალგიამ არ შემოგვიტიოს, როცა ერთმანეთს იოლად ვსტუმრობდით, ვმეგობრობდით, ერთობლივ ფილმებს ვიღებდით, ოჯახები ვნათესავდებოდით. **ამოვძირკვავთ ფესვებს და ამით მორჩება!** ძნელია, მაგრამ – შესაძლებელი.

ამ **ნინო ჭავჭავაძესაც** რა ღმერთი გაუწყრა, რომ რუსი პოეტი შეუყვარდა და მის ძეგლზე წააწერა კიდეც: ***«Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя»***, ხოლო კვარცხლბეკის კიდეზე – ***«Незабвенному его Нина»!..*** მაგრამ გამოსავალს აქაც მოვძებნით: გულდასმით შევნიღბავთ ამ ეპიტაფიას და მის ნაცვლად მოკლედ წავაწერთ: **„ა. ს. გრიბოედოვი, იმპერიის კარის პოეტი“.** თანაგრძნობით გამსჭვალულებმა შეგვიძლია მის ნეშტს სამუდამო განსასვენებელიც ვუსურვოთ.

მაგრამ რა მოვუხერხოთ სახელოვან წინაპრებს, ერის შვილებს, რომლებმაც სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს და რუსეთისადმი სიმპათიები აშკარად გამოხატეს, რითაც თავიანთი შთამომავლები, მასში მტერს რომ ხედავენ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს? ერთის მხრივ, როგორ არ ვერწმუნოთ ქართველი ხალხის მოძღვრებსა და წინამძღვრებს, ადამიანებს, რომლებსაც მარტოდენ ეროვნული ინტერესები ამოძრავებდათ, ერთა შორის ურთიერთობებში კი მუდამ ჰუმანიზმის, სიკეთისა და სამართლიანობის სადარაჯოზე იდგნენ; მეორეს მხრივ – თანამედროვე პოლიტიკოსთა მოსაზრებები, რომლებიც, ასევე, ინტერესებზე ზრუნავენ...

ავიღოთ, თუნდაც, **ილია ჭავჭავაძის** სიტყვები:

„მძიმე განსაცდელის ჟამს ქართული დროშა არაერთგზის აფრიალებულა ბრძოლის ველზე რუსული ბაირაღის გვერდით და მისი წინამძღვრობით, ბაგეზე მისი სახელით არაერთხელ დაუღვრიათ ქართველებს სისხლი რუსებთან ერთად...“

„რუსული ენის ცოდნისკენ ვისწრაფვით და ეს ძალიან გვინდა არა მარტო იმიტომ, რომ ის ჩვენთვის აუცილებელია როგორც სახელმწიფო ენა, არამედ იმიტომაც, რომ რუსული ლიტერატურა იმდენად ძლიერია, განათლებული კაცის სულიერი წყურვილის დაოკების უნარი შესწევს. ყოველი ჩვენგანი აღზრდილია რუსულ ლიტერატურაზე, რომელიც ჩვენი მსოფლმხედველობის, რწმენისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველსა და ძალას წარმოადგენს არა მარტო ცოდნის გასამრავლებლად, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბრძოლისთვისაც“.

დღეს ეს ძალიან არააქტუალურად ჟღერს, უფრო მეტიც – მავნებელია მოზარდი თაობისთვის. რა ვიღონოთ, როგორ დავაღწიოთ თავი უხერხულ სიტუაციას? **ამაზე მარტივი რა უნდა იყოს: ამოვიღოთ ეს სტრიქონები!** ამოცანის გასამარტივებლად გიკარნახებთ: ციტატა აღებულია ილია ჭავჭავაძის 1957 წელს გამოცემული თხზულებებიდან (გვ. 490–500).

ასევე უნდა მოვექცეთ **გრიგოლ ორბელიანს,** რომელმაც ერთხელ ბრძანა: **„ღმერთო, ნუ მიიყვან რუსებს ისეთ სასოწარკვეთილებამდე, რომ იძულებული შეიქნენ, საქართველო დატოვონ, რომელიც უმალ არეულობის, ურთიერთშუღლისა და დაუძინებელი მტრების თავდასხმის მსხვერპლი გახდება!“.**

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ კრებულში შავი საღებავი დაუნანებლად უნდა გადავუსვათ შემდეგ სტრიქონებს: **„აწ განთქმულია რუსთა სახელი,/ ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,/ დიდი ხანია, გვაქვს ჩვენ ერთობა,/ მტკიცე კავშირი, – სარწმუნოება...“**

„ჩვენ გულითადად ვაფასებთ რუს ხალხთან ძმობასა და მეგობრობას. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არცთუ ცოტა არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ასეთი ძმური კავშირის აღიარება; არსებობს ახალგაზრდა რუსეთიც, რომელთანაც ხელიხელჩაკიდებულს გვსურს სიარული არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, რასაც ძმობა, თანასწორობა და ერთიანობა ჰქვია,“ – ეს სიტყვები **აკაკი წერეთელს** ეკუთვნის. ნუ დაუხრით თავს მისი ავტორის ავტორიტეტს და გავარვარებული რკინით ამოშანთეთ!

ნურც **იაკობ გოგებაშვილს** დაუწყებთ ცერემონიებს. მერე რა, რომ დიდი პედაგოგი, მწერალი და **„დედაენის“** ავტორია – პირველი წიგნის, რომლის საშუალებითაც, უკვე მრავალი ათწლეულია, ყველა მსურველი ქართულ ენას სწავლობს?! დაუფიქრდით, რამხელა **,,მკრეხელობაა''** მის ნათქვამში: **თვალსაჩინოა, რომ რუსული ენის ცოდნა დიდი სიკეთეა ყველა კავკასიელისთვის, რადგან ის საშუალებას გვაძლევს, დიადი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ვიყოთ, ვეზიაროთ რუსული ლიტერატურის საგანძურს და მის თვალუწვდენელ ველებზე, მთელი დედამიწის ერთ მეექვსედზე რომ გადაჭიმულა, თავი ისე ვიგრძნოთ, როგორც საკუთარ სახლში“.** ერთადერთი, რასაც მისი გამართლება შეუძლია, შემდეგი სტრიქონებია: **„თუმცა აქსიომაა ისიც, რომ ამ უძვირფასესი ცოდნის შესაძენად ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება მშობლიური ენა და წერა–კითხვაა...“**

თავი **ვაჟა ფშაველასაც** გამოუჩენია: **„ვფიქრობ, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ტურგენევზე დიდი დამსახურება არავის მიუძღვის...“** მოდი მივუტევოთ, მან ხომ არ იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ახალგაზრდობის საუკეთესო მოძღვრებად, სკოლების დირექტორებად ბოქაულები – **„მანდატურები“** იქცეოდნენ...

ნურც **ივანე ჯავახიშვილს** დავინდობთ! კარგად უნდა დაფიქრებულიყო, სანამ ხმამაღლა და კატეგორიულად განაცხადებდა: ,,**საქართველოს მოწინავე წრეებისთვის ნათელი იყო, რომ მძლავრი მოკავშირის დახმარებითა და მფარველობით ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა, გაძლიერებულიყო, გარეშე მტერი მოეგერიებინა და მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში მტკიცე ნაბიჯით ევლო წარმატებისა და აღორძინების გზაზე!“.**

არ ვიცი, რას ფიქრობდნენ მაშინდელი მოწინავე წრეები, მაგრამ ახლა ჩვენთან დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრისანი არიან. ასე რომ, იმ ავტორიტეტებს აინუნშიც არ ვაგდებთ. **„ თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს“!**

და როცა ბოლომდე ლაფში ამოვსვრით ჩვენს წარსულს, გავუსწორდებით კლასიკოსებს, მათ შორის, ჩვენსაც და მით უფრო – სხვისას, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი, მოქალაქეებო, და სიღერით გავწიოთ წინ – ვარძიისკენ! კლდეში ნაკვეთ ქალაქში თავშესაფარსაც გამოვძებნით. ამბობენ, იქ 20 ათასამდე კაცი ეტევაო. თუ ყველანი არ დავეტევით, ნაწილი შეიძლება მოშორებით, ვანის ქვაბებში, დავაბინაოთ. განა ცოტაა ჩვენში გამოქვაბული?! ოღონდ კოცონის დასანთებად ცივილიზებული სამყაროდან ასანთი უნდა გავიყოლოთ და კიდევ – პუშკინის თხზულებათა სრული კრებული... არა, წასაკითხად კი არა, – ცეცხლში შესაკეთებლად!

საქართველოში გამოვლენილი ადამიანთა უფლებების დარღვევები Human Rights Watch-ის ანგარიშში

Human Rights Watch-ის წლიურ ანგარიშში საქართველოს რამდენიმე გვერდი ეთმობა. მნიშვნელოვანი თავი ეძღვნება დევნილების გამოსახლების პროცესს, პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტებს, შეკრებების თავისუფლების უფლების განხორციელებას, მედიის თავისუფლების მხრივ არსებულ მდგომარეობას, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალდარღვევათა გამოძიების საკითხებს, ასევე ციხეებში არსებულ მდგომარეობას.

ხელისუფლებამ დევნილების გამოსახლებისას საერთაშორისო სტანდარტები უგულებელყო, ნათქვამია **Human Rights Watch**-ის წლიურ ანგარიშში, რომელშიც საქართველოს 5 გვერდი ეთმობა. განსაკუთრებული ადგილი უკავია ივნისში დაწყებულ დევნილების გამოსახლების პროცესს. აქ ვკითხულობთ, რომ ხელისუფლებას დევნილებთან მოლაპარაკება არ უწარმოებია და მათთვის ადეკვატური ალტერნატივა არ შეუთავაზებია. ზოგიერთმა დევნილმა ვერ მიიღო ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, ზოგიერთმა მიიღო, მაგრამ ცენტრიდან ძალზე დაშორებულ რეგიონში, სადაც, დევნილების განცხადებით, დასაქმების საშუალება არ არსებობს, მათთვის შეთავაზებულ საცხოვრებელ სახლებს სახურავი დაზიანებული ჰქონდათ, არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი.

Human Rights Watch-ის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, გიორგი გოგია ამბობს, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესი მთელი რიგი სამართალდარღვევებით განხორციელდა: **"დევნილთა გამოსახლების პროცესი მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა დარღვევებით. ისინი გაფრთხილებას იღებენ ძალიან მცირე დროით ადრე, მათი გადასახლება ხდება ადგილებში, სადაც, მათი განცხადებით, დასაქმების საშუალება არ არის და არ არის სოციალური ინფრასტრუქტურა, ანუ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მთელ რიგ დარღვევებს".**

ამ საკითხის გარდა, ანგარიშში საუბარია აზრის გამოხატვის შეზღუდვისა და სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გამოყენების გადაჭარბების შესახებ, მოყვანილია კონკრეტული მაგალითებიც, საუბარია იმაზეც, რომ დღემდე ხელისუფლების მხრიდან არ გამოძიებულა გასულ წლებში მომხდარი ფაქტები. ეს შეეხება 2009 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ დაკავებული იმ სამი ახალგაზრდის საქმეს, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკას აპროტესტებდნენ, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევასა და გასული წლის 19 ნოემბერს ჯორჯ ბუშის ქუჩის სახელის გადარქმევის მიზნით გამართული საპროტესტო აქციის დროს დაკავებული პირების საქმეს.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ადგილი ჰქონდა შეკრების თავისუფლების დარღვევასა და პოლიციის მხრიდან ძალადობის ფაქტებს, რომლებიც სათანადოდ გამოძიებული არ ყოფილა (ირაკლი კაკაბაძის, შოთა გაგარინის, ალექსი ჩიგვინაძის, დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანის, ირაკლი კორძაიასა და სხვათა საქმეები); საუბარია იმის შესახებაც, რომ ციხეების გადატვირთულობა კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება, რასაც, სხვა საკითხებს შორის, სასამართლოებში გამამართლებელ განაჩენთა დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს.

ერთი საღამო სანკტ-პეტერბურგში

1996 წლის ნოემბერში სანკტ-პეტერბურგში მომიწია ჩასვლამ. მეგობრებს გადავურეკე, თამაზ გახარიას შევხვდი, მერე ქართველთა საზოგადოების ოფისში მივედი, საუბრით ვიჯერე გული.

ქუჩაში გავედით, ციოდა, დაშლას ვაპირებდით.

თამაზმა, როგორც ყოველთვის, თავი გამოიდო, ამაღამ ჩემი სტუმრები ხართო.

ქალაქის ცენტრში საკმაოდ კარგ რესტორანში ამოვყავით თავი. **„ნემეცკი შჩოტიო“**, თქვა ვიღაცამ. უმეტესობა დავეთანხმეთ.

რესტორანი ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ ჩვენთვის ადგილი მალე მოინახა.

გადავწყვიტეთ არ დავმთვრალიყავით, ამიტომ მხოლოდ ორი ბოთლი არაყი შევუკვეთეთ ხუთ კაცზე.

შემდეგ კიდევ ორი გახდა საჭირო.

ქუხდა მუსიკა.

დარბაზის მეორე კუთხიდან ვიღაცას **„თბილისო“** შეუკვეთავს. ოფიციანტმა, რომელიც ასევე კავკასიური წარმომავლობის ჩანდა, ლამის ჩურჩულით თქვა: აფხაზებმა სიმღერა შეუკვეთეს და ეს გამოგიგზავნესო. **„ეს“** ხუთი ბოთლი შამპანური იყო, ჯერ კიდევ საბჭოური გაფორმებით. როგორც კი მუსიკა მიწყდა, წამოვდექით და დარბაზის მეორე ბოლოში მყოფებს აფხაზური სუფრა დავულოცეთ, ყურადღებისთვის მადლობა ვუთხარით.

ორკესტრმა ცნობილი რუსული სიმღერა დაუკრა, სმენა არ იყო. ჩვენ თითებით ვანიშნეთ ერთმანეთს 10 ბოთლის **„მობილიზაცია“**, სოხუმზე ცნობილი აფხაზური სიმღერის შეკვეთა.

70-ანი წლების მოდური მელოდია დაირხა. აფხაზები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს. ოფიციანტმაც თავისი საქმე გააკეთა. თავი სოხუმში მეგონა, თითქოს ზაფხული იყო, არაყიც თავის საქმეს აკეთებდა, პიჯაკები გავიძვრეთ, პერანგების და ჰალსტუხების ამარა დავრჩით.

ისევ აჟღერდა ქართული სიმღერის ჰანგები, ახლა **„სულიკო“**. დარბაზის სხვადასხვა კუთხეში თბილისელები და ზუგდიდელები ქეიფობდნენ თურმე. ოფიციანტმა თბილისელებისგან ხუთი ბოთლი **„შემოგვაპარა“**, მათ იმდენივე აფხაზებისთვის გაუგზავნიათ.

ისევ აჟღერდა აფხაზური მელოდია, ახლა ზუგდიდელები გვმასპინძლობდნენ თურმე.

მშვენიერმა ქერათმიანმა ქალბატონებმა ცეკვით აიკლეს იქაურობა. თბილისელები და ზუგდიდელები ჯიბრობდნენ ერთმანეთში.

აფხაზეთელი აფხაზები და ქართველები თავს ვიკავებდით, ჩვენ ხომ ომის შემდეგ ასე ახლოს პირველად აღმოვჩნდით ერთმანეთთან.

კალენდარული დღე მიილია, ახლა უკვე მორიგი დღის ორის ნახევარი იყო.

დარბაზი დაცარიელებულა. ქართველი ბიჭები მეგობარ ქალიშვილებთან ერთად ჯერ აფხაზებთან მივიდნენ, მერე ჩვენთან. სადღეგრძელოები და მისამართები გავცვალეთ.

ორკესტრმა აფხაზური საცეკვაო დაუკრა. ცაში აფრინდნენ ბიჭები. ჩვენგან წამოხტა ტანწერწეტა ზურიკო და აფხაზთა რიგები გაარღვია ცეკვით. ეს არაჩვეულებრივი იყო.

აფხაზებიდან რომელიღაცამ ორკესტრს ანიშნა ქართულ საცეკვაოზე გადასულიყო. ეს უკვე ჩვენი გამოწვევა იყო. ვიცეკვეთ რამდენი და როგორც შეგვეძლო უკვე კარგა ხნის მთვრალებს.

აფხაზებმა ვალი არ დაიდეს და ორ-ორი ბოთლით ხელში შემოუერთდნენ ჩვენს სუფრას.

ვიმღერეთ, ვიტირეთ, ისევ ვიმღერეთ. ვმღეროდით და ვტიროდით არა ჩვენ, არამედ ჩვენი წინაპრები, რომლებმაც ეს სიმღერები და ცეკვები შექმნეს ერთად, ერთმანეთის სადიდებლად, გულის გასახარად.

თენდებოდა როცა დავიშალეთ. კავკასიელ ოფიციანტს გაგზავნილი და გამოგზავნილი შამპანურის გაუხსნელი ბოთლები დაუთვლია და ფულის დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა ვისთვის მიეცა. ჩვენც გადახდაზე გამოვიდეთ თავი და იმდენი ვიდავეთ ოფიციანტთან, რომ პოლიციელის ყურადღება მივიქციეთ.

აფხაზებთან, როგორც სოხუმში, მეორე დღის შეხვედრაზე მოვილაპარაკეთ. მეორე დღეს აფხაზი ბიჭები არ მოვიდნენ.

დამწვარი და დანგრეული აფხაზეთი, პეტრეს ქალაქიდან ისე შორს იყო, როგორც ჩვენ და ისინი ომისშემდგომი სამწუხარო რეალობიდან.

რაშიელ ბელანტია
სანკტ-პატერბურგი-თბილისი, ივნისი, 2004 წ.

ხელისუფლების შესანარჩუნებლად „ნაციონალები“ საქართველოს ახლო აღმოსავლეთიდან სარაკეტო იერიშის მიზნად აქცევენ

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების რადარების საქართველოში განთავსებასთან დაკავშირებით რესპუბლიკელი სენატორების იდეას საქართველოს ვიცე-პრემიერი **გიორგი ბარამიძე** მიესალმება. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პატრნიორია და თუ ეს საკითხი ოფიციალურად დადგება დღის წესრიგში, ქართული მხარე ამას სერიოზულად და ადეკვატურად განიხილავს.

„საინტერესო იდეაა და ნებისმიერ იდეას მივესალმებით, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას. თუ ეს საკითხი ოფიციალურად დადგება დღის წესრიგში, ჩვენ ამას ყურადღებით და ადეკვატურად განვიხილავთ“, - აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

ოთხი ამერიკელი სენატორის ინიციატივა საქართველოს ხელისუფლების სრულ კმაყოფაზე მყოფ ექსპერტ-პროპაგანდისტებსაც მოეწონათ. კერძოდ, ექსპერტმა **კახა გოგოლაშვილმა** საზოგადოებას შეახსენა, რომ რუსეთი სარაკეტო სისტემებს დგამს ცხინვალსა და აფხაზეთში და ამ პირობებში **აშშ**–მა აუცილებლად უნდა განათავსოს რადარები საქართველოში. მას მიაჩნია, რომ საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო რადარების განთავსება მის თავდაცვიუნარიანობას გაზრდიდა. ამავე აზრისაა **„ექსპერტი“ ნიკა ჩიტაძეც,** რომელიც იმედოვნებს, რომ ოთხი სენატორის ინიციატივას მხარს დანარჩენებიც დაიჭერენ.

„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს საკითხი ოთხმა ამერიკელმა სენატორმა წამოჭრა. არჩევნების შემდეგ რესპუბლიკელების გავლენა საკანონმდებლო ორგანოში გაიზარდა, აქედან გამომდინარე, იმედი ვიქონიოთ, რომ თანაპარტიელების იდეას მხარს სხვა რესპუბლიკელებიც დაუჭერენ“, – განაცხადა ჩიტაძემ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2004 წლიდან **„ვარდების რევოლუციური“** ხელისუფლების მიერ არანგაჟირებულმა ექსპერტებმა, **– პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ, პოლიტოლოგმა და პუბლიცისტმა არნო ხიდირბეგიშვილმა** და ზოგიერთმა სხვამ – თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციასა და ინტერვიუში არაერთხელ გააფრთხილეს ქართველი საზოგადოება საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების **ან/და** აშშ-ის სამხედრო ბაზის განთავსების საფრთხის შესახებ. გთავაზობთ რამდენიმე ციტატას:

ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის მოკავშირედ (შესაბამისად, მთელი ისლამისტური ფუნდამენტალიზმის მტრად!) ქცეული საქართველო განადგურებას დაქვემდებარებულ საბრძოლო მიზნადაც იქცა - რაკეტებით მოხდება ეს თუ ტერაქტებით - სუვერნიტეტ- და ტერიტორიებ დაკარგული პატარა ქვეყნისთვის, უმწეო ეკონომიკითა და ძალზე მცირერიცხოვანი მრავალეროვანი მოსახლეობით – დიდი მნიშვნელობა არ აქვს... (ა. ხიდირბეგიშვილი, ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი **„საქართველო და მსოფლიო“**, პუბლიკაცია **„აქეთ მოიხედეთ, სულელებო!“**, 19.08.2009 წ.)

“რისთვის სჭირდებათ საქართველო ამერიკელებს? სამი ინტერესია. პირველი - მილსადენის გაყვანა; მეორე - საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენება ირანთან ომის შემთხვევაში, რაც დღის წესრიგში დგას, რადგან ახლომახლო სხვა არავინ დაუთმობს ინფრასტრუქტურას; მესამე - რუსეთის სამხრეთით ნეგატიური პროცესების, ყველანაირი ექსცესის ინსპირირება... ამ როლის შესრულებას აიძულებდა საქართველოს შევარდნაძე და აიძულებს სააკაშვილი...

ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც პროამერიკული არ იქნებოდა.

ამერიკელების ნებართვით, შევარდნაძის დამხობისას სააკაშვილი აკრიტიკებდა მას ყველაფრის გამო, გარდა საგარეო პოლიტიკისა!

დღევანდელი ოპოზიციონერებიც გაჰყვირიან “ძირს!” მაგრამ არ ეხებიან საგარეო პოლიტიკურ კურსს!

ამერიკელები აკონტროლებენ საქართველოში მთელ პოლიტიკურ სპექტრს, საერთაშორისო ორგანიზაციების 90 % მათი ფულით ფუნქციონირებს” (ა. ჭაჭია, ონლაინკონფერენცია **«Аргументы и Факты»** -ში 2009 წლის 7 აგვისტოს).

„ჩვენი წინდაუხედავი პოლიტიკოსები და მოღალატე **პროქტოპოლიტოლოგები** (წარმოდგება სიტყვა **„პროქტოლოგისგან“**, ანუ პოლიტ-ჰემოროის სპეციალისტები) უწინდებურად დაყრუება-დაბრმავებას ამჯობინებენ, რადგან საზოგადოების გათვითცნობიერება და მისთვის თვალის ახელა მათ ინტერესებში არ შედის! თითქოსდა არ იციან, რომ:

სანამ აშშ და ნატო ემუქრებიან ირანს, ომობენ ავღანეთსა და ერაყში (ვერც იმარჯვებენ და ვერც მიდიან...), უნებლიეთ ერთვებიან პაკისტანის შიდაკონფლიქტში **(რომელმაც 7000 კმ რადიუსის მოქმედების ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტების დამუშავება დაიწყო!), ჯიჰადის ვექტორი** - მილიარდობით მუსლიმანის სიძულვილი, რომლებიც დიად ისლამისტურ რევოლუციასა და შარიათის კანონების გამარჯვებაზე ოცნებობენ – **მიმართული იქნება ნატოს წევრი ქვეყნებისა და მათი ერთგული მოკავშირის ერაყსა და ავღანეთში - საქართველოსადმი,** რომელიც, **ა. ჭაჭიას** თქმით, **“ირანზე იერიშის შემთხვევაში, გადაიქცევა საომარ პლაცდარმად აშშ-ისთვის, რომელსაც თავის ინფრასტრუქტურას დაუთმობს”. შესაბამისად, აქ რადარების ან რაკეტების («Standard-3» или MIM-104 «Patriot» ტიპის სახმელეთო კომპლექსების) განთავსების მოსურნე ან შეშლილია, ან მოღალატე;**

- არც ავღანეთს, არც პაკისტანს, არც ირანს და საუდის არაბეთს, ისრაელს ან სამხრეთ კორეასაც კი **არ გააჩნია** საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, **რომელთა მოქმედების რადიუსი 1200 კმ-ს აღემატება და ამრიგად, შეუძლებელია, საფრთხეს წარმოადგენდეს ევროპისა და, მით უმეტეს, ამერიკისათვის! სამაგიეროდ, გააჩნია რაკეტები, რომლებიც იოლად მიაღწევენ ამერიკის მოკავშირე საქართველომდე!** მარტო პაკისტანს **80** ბირთვული ქობინი აქვს;

ვაშინგტონის ახალ ადმინისტრაციას ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტის განხორციელება რომც არ შეეწყვიტა და საქართველო მისი მოქმედების ეფექტიანობის ზონაში მოხვედრილიყო, **სარაკეტო იერიშის შემთხვევაში - რაკეტა მის საჰაერო სივრცეში რომც გაენადგურებინათ - ის მაინც განადგურებული იქნებოდა!** ამგვარი რაკეტების ნამსხვრევი, რომელიც სულ რაღაც **100** გრამს იწონის, **ხუთსართულიან** შენობის საძირკვლამდე ჩაიტანს (!), მიწაზე კი, ცხადია, ამაზე დიდი ნამსხვრევებიც ცვივა... **მაშ, რაღა მნიშვნელობა აქვს – თავზე ისლამისტ ტერორისტთა რაკეტა დაგვეცემა, თუ მისი ნამსხვრევი ამ რაკეტის “წარმატებით” გზად დაჭერის შედეგად?!** (ა. ხიდირბეგიშვილი, ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი **„საქართველო და მსოფლიო“**, პუბლიკაცია **„პროსკენ გაქვთ საქმე, თქვე პროვოკატორებო!“**, 2009 წლის 23 სექტემბრის ნომერი).

ახლა კი იმისათვის, რომ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის მკითხველს ცოტა გულზე მოეშვას (რაც უნდა იყოს, უქმეებია!), შემოგთავაზებთ აბზაცს დღეს გვიან გამოფხიზლებული, იმაჟამად კი **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის** მიერ 2008 წლის 13 თებერვალს **რია ნოვოსტისთვის** მიცემული ინტერვიუდან:

კორ. – ქალბატონო ნინო! საერთაშორისო **„კვარტეტის“** – გაერო, ევროკავშირი, აშშ და რუსეთის გარანტიის პირობებში სახელმწიფო ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის მითია თუ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც ფინეთის, შვეიცარიის და შვეიცარიისთვის? ნატოს წევრობის შემთხვევაში ხომ არ გადავიქცევით ისლამური ფუნდამენტალიზმის სამიზნედ?

ნ. ბ. „არა მგონია, რომ ვინმეს სამიზნედ გადავიქცევით, რადგან, მაგალითისათვის ისლამური ქვეყნა – თურქეთი ნატოს წევრია, ძალიან ბევრი ისლამურ ქვეყანასთან ნატოს ნორმალური ურთიერთობები აქვს, ხოლო ფუნდამენტალიზმი არა მარტო ნატოს წევრი-ქვეყნების, არამედ თვით მუსლიმანური სახელმწიფოების პრობლემაცაა, რომელთაგან ბევრს ეს შესანიშნავად ესმის და შებრძოლებასაც ლამობს. ნებისმიერი ფუნდამენტალიზმი რა მიმართულებითაც არ უნდა ვითარდებოდეს, 21-ე საუკუნეში საშიში და მიუღებელია!

საქართველო ნატოს წევრი გახდება, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია არა მარტო წევრი-ქვეყნების უსაფრთხოებაზე ზრუნავს, არამედ ხელს უწყობს მათ დემოკრატიულ განვითარებასაც!

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, ეს გამოსავალი არაა. გადახედეთ იმ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ისტორიასა და რეალობას, რომლებიც თავად მოიყვანეთ მაგალითად და მიხვდებით, რომ **ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის არარეალურია, რადგან მის წინაშე წამოჭრილ ვერც ერთ პრობლემას ვერ გადაჭრის!**

ყოველთვის, როცა საუბარი საქართველოს ნატოში გაწევრებას ეხება, რუსეთში ოპონენტები ცდილობენ ნატოსგან საფრთხობელა შექმნან და ავიწყდებათ, რომ რუსეთის უახლოესი მეზობლები – ბალტიისპირეთი, პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები ნატოს წევრები არიან, თუმცა რუსეთს არაფრით ემუქრებიან! ეს ამ **„შეშფოთების“** ემოციურ–პროპაგანდისტულ ხასიათზე უფრო მიუთითებს, ვიდრე რეალობაზე. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ:

საქართველოს ნატოშ გაწევრება რუსეთს არაფრით ემუქრება, პირიქით – უკეთესიცაა, რადგან საქართველოს სახით უფრო სტაბილური და დემოკრატიული მეზობლის ყოლა ყველასთვის მომგებიანია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი მირიან ჯალაღონია 85 წლისაა

სიყვარულით, პატიოსნებით და სიკეთით განვლილი გზა

ბატონ მირიან ჯალაღონიას 85 წელი შეუსრულდა, მაგრამ მაინც აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოების ყოველდღიურობაში.

იგი აფხაზეთში ცხოვრობდა და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. არის დვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი, 6 წიგნის ავტორია. იგი გახლავთ აფხაზეთის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, მოძრაობა **"შერიგების"** და უხუცესთა საბჭოს წევრი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მწერალი, გორგასლის ორდენის კავალერი.

ამჟამად თბილისში ცხოვრობს და მშობლიურ კუთხეში დაბრუნებაზე ოცნებობს.

ცნობილ მეცნიერს, პედაგოგს, პუბლიცისტს, ღირსეულ მამულიშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ბატონი მირიანი მუხლჩაუხრელი შრომით, უშრეტი ენერგიით, წრფელი გულით, მადალი პედაგოგიური სინდისით 52 წელი ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და სწავლის მამაშვილურ საქმეს ემსახურებოდა.

მირიან ფილიპეს ძე ჯალაღონია დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში (სარაქონი), გლეხის ოჯახში. მისი ცხოვრების გზის დასაწყისი არ გახლდათ მთლად მარტივი. 3 წლის ასაკში დედა გარდაეცვალა, მაგრამ მამა და ბებიამ – სელემხან ჯოლოგუამ სხვა და-ძმებთან ერთად ისე გაზარდეს ბატონი მირიანი, რომ მას უდედობა არ უგრძვნია, თუმცა, ყმაწვილის სიჭაბუკიდან დღემდე განვლილი გზა იყო ეკლიანიც, მწარეც და მძაფრტკივილიანიც, მაგრამ ეს გზა მან სიყვარულით, პატიოსნებით და სიკეთით განვლო.

ბატონმა მირიანმა შვიდწლიანი განათლება მიიღო თავის სოფელში, საშუალო განათლება კი ჯიხასკარში (ზუგდიდის რაიონი). სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მონაწილეობას იღებდა მეორე მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ კი ორი წელი იმუშავა კოლმეურნეობნის ბრიგადირად.

ბატონი მირიანი 1946 წელს შევიდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1950 წელს, ხოლო 1956 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ამავე ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1950-1966 წლებში მუშაობდა გაგრაში მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, 1966-1990 წლებში ქალაქ სოხუმში ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები, ერთდროულად მუშაობდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) უცხო ენების კათედრაზე ლექტორად.

1993 წლის 28 სექტემბერს იძულებით დატოვა ქალაქი სოხუმი, გახდა დევნილი და თავი შეაფარა ქალაქ ბათუმს.

1993-2000 წლებში მუშაობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტის კათედრის გამგედ.

2002 წლიდან ცხოვრობს ქალაქ თბილისში.

სადაც კი უმუშავია, ყველგან დიდი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

ბატონი მირიანი გამოირჩევა შესაშური თავმდაბლობით, მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებით. იგი აქტიური საზოგადო მოღვაწეა.

ბატონი მირიანი ბუნებით ტკბილხმიანი და ენაწყლიანი მოსაუბრეა.

ბატონი მირიანი სტუდენტობის წლებიდან დაწყებული სისტემატიურად ბეჭდავს წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1996 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი **"სარაქონი"**, სადაც აღწერილია თავისი სოფლის ისტორია, ადათ-წესები, მცხოვრებლები და მათი შთამომავლობა, რომელმაც მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

1998 წელს ბათუმში, გამომცემლობაა **"აჭარამ"** გამოსცა მისი მეორე წიგნი **"მოლოდინი"**. წიგნში აღწერილია ბათუმში მცხოვრებ დევნილთა ავტობიოგრაფიები და მათი უმწეო მდგომარეობა შინ დაბრუნების მოლოდინში.

2002 წელს გამოიცა მისი მცირე რომანი **"აკრძალული სიყვარული"**. წიგნი მოგვითხრობს აფხაზ და ქართველ ახალგაზრდა შეყვარებულებზე, რომლებმაც ომამდე ვერ მოასწრეს დაქორწინება, მერე კი ხელი შეუშალეს და სიყვარულიც აეკრძალათ.

2004 წელს გამოქვეყნდა **"სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში"**. მოთხრობილია ამ ორი ერის ზნე-ჩვეულებათა თაობაზე.

2008 წელს გამოვიდა მისი ბიოგრაფიული წიგნი **"შთამომავლობის წიაღში"**, სადაც აღწერილია ნათესავთა შვიდი თაობა.

2009 წელს გამომცემლობა **"ცოტნემ"** გამოსცა მისი წიგნი **"მეგრული ხალხური პოეზია"**, სადაც შეტანილია მეგრული ხალხური სასიმღერო ლექსები, რომელიც თავის დროზე მოუსმენია ბატონ მირიანს და რომელიც ქართულ ენაზეა თარგმნილი.

ყოველი დარგის მუშაკის წარმატება, მით უმეტეს შემოქმედის, დიდად არის დამოკიდებული ოჯახზე.

ბატონი მირიანის პირველი მეუღლე პედაგოგი მადაშა კაკულია გარდაიცვალა 27 წლის ასაკში, რამაც დაღი დაასვა მის შემოქმედებით საქმიანობას.

ამჟამად ბატონ მირიანს აქვს შესანიშნავი ოჯახი. მისი მეუღლე – ქალბატონი თალიკო წარია, როგორც პედაგოგი, 50 წელი ემსახურა ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. წლების განმავლობაში დევნილობამდე, ხელმძღვანელობდა ქალაქ სოხუმის მე-7 საშუალო სკოლას. ვაჟიშვილი – რეკვიზიტმცოდნეა, ქალიშვილი – მაყვალა კი ეკონომისტი. ბატონ მირიანს ჰყავს 4 შვილისშვილი და 3 შვილთაშვილისშვილი.

85 წელი სოლიდური ასაკია, მაგრამ ბატონი მირიანისნაირი შრომისმოყვარე პიროვნებისათვის ცოტად გვეჩვენება. ის დღესაც, როგორც ახალგაზრდობაში, მუდამ მოძრაობაშია, უჭირს ერთ ადგილზე გაჩერება. მან 85 წელი იცხოვრა კაცურად და მის მიერ განვლილი გზა სამაგალითო და მისაბაძია ყველასთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 17 წელია ის დევნილობაში იმყოფება, მას არასდროს უძებნია აფხაზებში მტრის ხატი. მისი ცხოვრების მიზანს და ოცნებას აფხაზეთში დაბრუნება წარმოადგენს. ამისთვის ურთიერთმიტევება და ორი ერის შერიგებაა მთავარი.

გულწრფელად ვულოცავთ ღირსახსოვარ თარიღს და ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას მეგობარს, პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს მზეგრძელ სიცოცხლეს და აფხაზეთში დაბრუნებას, ცხოვრების ღირსეულად გაგრძელებასა და დიდ წარმატებას შემოქმედებაში.

მეგობრების სახელით,

ნაპოლეონ ლემონჯავა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთ "ილორის" რედაქცია, არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობა", გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია, ჟურნალ "ისტორიული მემკვიდრეობის" რედაქცია და ჟურნალ "აიას" რედაქცია, მეგობრები და თანამოაზრეები გულითადად ულოცავენ ბატონ მირიან ჯალაღონიას იუბილეს, უსურვებენ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, რაც მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება ყველასათვის, ოჯახურ ბედნიერებას, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე საქმიანობის ჩვეული ენერგიითა და პატრიოტული შემართებით გაგრძელებას და შესაშურ ჯანმრთელობას!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე: „განსაკუთრებით უნდა ვილოცოთ აფხაზეთისა და ცხინვალისთვის!"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს სრულიად საქართველოს გამთლიანებისთვის ლოცვისკენ მოუწოდა.

როგორც 2011 წლის 23 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, **განსაკუთრებით უნდა ვილოცოთ აფხაზეთისა და ცხინვალისთვის:** ***„ღმერთმა ჩვენც გვაპატიოს და მათაც, რაც ერთმანეთს გავუკეთეთ... შევთხოვ უფალს – მალე შედგეს ჩემი ჩასვლა აფხაზეთში. ილოცეთ ამისთვის! აფხაზები ძმები არიან ჩვენი, ისევე, როგორც ჩვენ ვართ მათი ძმები. ილოცეთ არამარტო აფხაზებისთვის, არამედ ბერძნებისთვის, რუსებისთვის, სომხებისთვის, აზერბაიჯანელებისთვის და ეს მადლი ჩვენვე დაგვიბრუნდება!"*** - ბრძანა უწმინდესმა.

საკვირაო ქადაგების დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მღვდლები დეკანოზის ხარისხში აიყვანა და გამშვენებული ოქროს ჯვრების ტარების უფლებით დააჯილდოვა.

.

მადლობა საქინფორმს!

ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის – როლანდ მაქაცარიას განმარტებით, საქინფორმის მიერ გავრცელებული კრიტიკული ინფორმაციის შემდეგ, რომელიც საფეხბურთო კლუბ **„ბაიაში"** შექმნილ მძიმე მდგომარეობას ეხებოდა, გუნდში სასიკეთო ძვრები დაიწყო. პირველად ექვსი თვის განმავლობაში ფეხბურთელებს დაურიგდათ იანვრის პირველი ნახევრის ხელფასები და გუნდის ხელმძღვანელობამ დადო პირობა, რომ ამ მხრივ პრობლემები არ იქნება. გუნდს დაუბრუნდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი: სომხიშვილი, აქუბარდია, კვესეიშვილი, წურწუმია, ამდენად, შესაძლებელი გახდება გუნდის დაკომპლექტება.

ამჟამად **„ბაია"** ინტენსიურად ემზადება მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის. ორი ამხანაგური მატჩიც გამართა: ფოთთან ფრედ დაასრულა შეხვედრა, ხოლო სამტრედიას 5:0 მოუგო.

გალელებს მიხედვა სჭირდებათ

გავრცელებული ვერსიით, გალში აქტიურად მოქმედებს რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია **"რუსსკაია ობშინა"**. ისინი ყოველგვარ დახმარებას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას, ეწევიან ჰუმანიტარულ საქმიანობას, ურიგებენ სურსათს და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს, რასაც მოსახლეობა მიესალმება.

ქართული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები კი სდუმან. **"ჩვენ ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ ვახსენდებით, როცა არჩევნებია. არადა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს, რომელთაც აქ რისკის ფასად გვიწევს ცხოვრება, მიხედვა გვჭირდება,"** – აღნიშნა გალის რაიონის მკვიდრმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.

საქართველოში საწვავის ფასმა ისევ მოიმატა

საცალო ქსელში ფასმა 5 თეთრით მოიმატა. კომპანია **„ვისოლის"** ბენზინგასამართ სადგურებში **„აპი სუპერის"** ფასი 2,20 ლარი, ხოლო **„აპი პრემიუმი"** 2,15 ლარი ღირს. 5 თეთრით გაიზარდა ევრო **„რეგულარის"** ფასიც და, დღეის მონაცემებით, 2,05 ლარით განისაზღვრება, ხოლო **„რეგულარ ენერჯი",** 1,95 ლარის ნაცვლად, უკვე 2,00 ლარი ღირს.

ერთი კვირის განმავლობაში 10 თეთრით გაძვირდა **„ევრო სუპერის"** ფასი **„რომპეტროლის"** ქსელში. კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებში 22 იანვარს **„ევრო სუპერი"** 2,10 ლარი ღირდა, ხოლო დღეს 2,20 ლარი ღირს. **„Efix ევრო პრემიუმის"** ფასი 2,15 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო **„ევრორეგულარ 93"**-ის ფასი – 1,92 ლარიდან 2,02 ლარამდე. კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებში **„ევრო დიზელი"** უკვე 2,05 ლარი ღირს, ხოლო **„Efix ევრო"** დიზელი - 2,20 ლარი.

5 თეთრით გაიზარდა **„ევროსუპერის"** ფასი **„ლუკოილის"** ქსელში და 2,20 ლარით გახდა. 2,15 ლარი ღირს კომპანიის ქსელში **„პრემიუმ ავანგარდი"**, 2,08 ლარი – **„ევრო პრემიუმი",** 2,00 ლარი – **„ევრო რეგულარი",** ხოლო **„ევროდიზელი"** – 2,15 ლარი.

რაც შეეხება აზერბაიჯანული **„სოკარის"** ქსელში ფასებს, კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებში Euro Diesel 5 10 PPM–ი 2,25 ლარი ღირს, Super Unleaded 98 – 2,20 ლარი, Premium Unleaded–ი - 2,15 ლარი, Regular Unleaded–ი - 2,00 ლარი, Diesel L62 – 2,05 ლარი.

საქართველოში საწვავი ბოლოს 22 იანვარს გაძვირდა.

შვიდი შვილის მამა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თვითმკვლელობით იმუქრება

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრები შვიდი შვილის მამა ალექსანდრე მამუკელაშვილი, პროტესტის ნიშნად, სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილებასთან თვითმკვლელობით იმუქრება. ალექსანდრე მამუკელაშვილის თქმით, უკიდურესად მძიმე სოციალურ - ეკონომიკური პირობების მიუხედავად, სააგენტომ, გადამოწმების მიზნით, საარსებო შემწეობა 7 თვის წინ შეუწყვიტა და ოჯახი ამ დრომდე არ გადაუმოწმებია.

ალექსანდრე მამუკელაშვილს 7 შვილი ჰყავს, აქედან 6 მცირეწლოვანია. მათ შორის 3 ბავშვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი აქვს. თავად ალექსანდრე მამუკელაშვილიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. მამუკელაშვილების ოჯახი 2 პატარა ავარიულ ოთახში, რთულ პირობებში ცხოვრობს. **„არაერთხელ მივედი სააგენტოში და ვთხოვე მათ, ყურადღება დროულად მომაქციონ, მაგრამ მხოლოდ ბავშვების გაშვილობილების პროგრამაში ჩართვას მთავაზობენ. ადგილობრივ ხელისუფლებასაც მივმართე, მაგრამ ყურადღება არც მათ მომაქციეს. წამლები რომ ვიყიდო იმის ფულიც არ მაქვს და 5 ბავშვი ავად არის. უნდა მივიდე და სააგენტოსთან თავი მოვიკლა. იქნებ, მერე მაინც დაუნიშნონ ჩემს ოჯახს დახმარება და ბავშვები შიმშილით სიკვდილისგან ვიხსნა"**, - განუცხადა ალექსანდრე მამუკელაშვილმა.

P. S. საარსებო შემწეობის გარეშე დარჩენილი მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ფოტორეპორტაჟი 4 თებერვალს მოამზადა. მაშინ სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების ხელმძღვანელმა თამარ ნოღაშვილმა განაცხადა, რომ სოციალური აგენტი ოჯახს დაუყოვნებლივ გადაამოწმებდა, თუმცა უშედეგოდ.

Китайцы объедают несчастных грузин

Как показало недавнее выступление Михаила Саакашвили в прямом эфире телеканала "Первый информационный кавказский", общение тбилисского лидера с народом столь же виртуально, как и все остальное в общественно-политической жизни страны. Рядовых граждан интересовали ответы на наиболее болезненные вопросы, прежде всего - стремительное подорожание продуктов питания. Отрицать это не смог даже оторванный от реальности грузинский президент. Он назвал раскручивающуюся в стране инфляцию главным экономическим вызовом своему правительству. А виноваты в ней, по мнению Мишико, китайцы.

"Правительство Грузии, как и правительства других стран, не располагает рычагами для остановки инфляции. Мы должны понимать, что инфляция происходит потому, что в каких-то странах мира стали жить лучше. Лучше стали жить люди в Китае, они хотят лучше питаться и покупают больше продуктов питания. У многих появились машины и им нужно заливать в них больше бензина. Все это и вызывает рост цен и инфляцию", - так, по мнению президента Грузии, обстоят дела на мировом продовольственном рынке. Но нет худа без добра: пусть китайцы объедают грузин, но зато гиперинфляции в стране не будет. Граждане могут спать спокойно.

Одной репликой Мишико продемонстрировал все свое дремучее невежество в вопросах мировой экономики. Судя по всему, он считает, что количество продовольствия в мире - это такая неизменная величина. И если где-то прибыло, то в другом месте убыло. Даже если допустить этот детский взгляд на проблему, возникает вопрос, почему убыло именно в Грузии.

На самом же деле, в мире наблюдается избыток продовольствия, и проблема массового недоедания в Африке, к примеру, обусловлена во многом тем, что производители продуктов питания не заинтересованы в понижении их стоимости. Конечно, цены подвержены влиянию инфляции и под влиянием конъюнктуры могут вырасти довольно сильно, как это было в прошлом году, когда из-за засухи в России подскочили цены на зерно. Но, как правило, это касается отдельных видов продукции и носит временный характер. Но китайцам, в отличие от соотечественников Мишико, это почему-то не мешает "лучше питаться". Причем ВВП в КНР на душу населения лишь немногим больше, чем в Грузии - 3550 долларов.

რატომ გარბიან ქართველები?

(მართლაც "ავაჰმე, ჩემო მამულო!..")

უცხოეთში ქართველთა მიგრაციის, ანუ გადასახლების პროცესმა კარგა ხანია კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა. ამის თაობაზე წინა წერილშიც ვწერდი და აქვე მომყავდა გაეროს სპეციალური კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ქართველი ერი დემოგრაფიულად მომაკვდავ ეთნოსად არის გამოცხადებული.

ამ მეტად შემაშფოთებელი ინფორმაციის შესახებ, ცხადია, სახელისუფლებო წრეებშიც კარგად იციან, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ყველანი დუმილს არჩევენ. მათ არ სურთ განგაშის ატეხვა და საგანგებოდ მოპირკეთებული ფასადის დაჩრდილვა. უფრო მეტიც: **ისინი ყოველი ღონით ცდილობენ ამ უმწვავესი პრობლემის შენიღბვას.** პრეზიდენტი სულ უფრო და უფრო ემსგავსება თავის დროზე საბჭოეთში გავრცელებული ე.წ. **"უკონფლიქტობის თეორიის"** ტყვეობაში მოქცეულ წითელ აგიტატორს, რომლის ერთადერთ ფუნქციას პრობლემათა მიჩქმალვა და შელამაზება წარმოადგენდა. გამორიცხული არაა, რომ მას საერთოდ ხელს აძლევდეს საქართველოდან ქართველთა მასობრივი მიგრაცია, რადგან ამით არაერთ თავსატეხს აიცილებს თავიდან. **"არ არის ადამიანი? – არ არის პრობლემა"**, – ეს ფორმულა, როგორც ჩანს, ერთგვარ შვებას ჰგვრის სააკაშვილს და ამიტომაა, რომ იგი მუდამ არაადექვატურად პასუხობს ქართული საზოგადოების მიერ დასმულ მტკივნეულ შეკითხვებს. **იგი კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში არათუ იკლო, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო იმატა საქართველოდან წასვლის მსურველთა რაოდენობამ.** სულ ცოტა ხნის წინ პრეზიდენტი მისთვის ჩვეული უხეირო არტისტულობით გვიქადაგებდა, რომ უკვე დაიწყო უცხოეთში მყოფ ჩვენ თანამემამულეთა უკან დაბრუნების პროცესი, და რომ ამ პროცესში, თურმე, ჩართულნი ყოფილან ორმაგი მოქალაქეობის მსურველი უცხოელებიც. გახსოვთ, ალბათ, შარშან ისრაელიდან დაბრუნებული, რაღაც ქაღალდებით ხელდამშვენებული პრეზიდენტი: ქართველი ებრაელები საქართველოში ცხოვრებას ნატრობენო, – თავს იწონებდა თითქმის დაცარიელებული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ საქართველოში ჩამოსული და დამკვიდრებული არავინ გვინახავს, აქედან აყრილი და გასაქცევად გამზადებული კი – რამდენიც გნებავთ!

არ გჯერათ?

მაშინ ჯერ საელჩოებს მიაკითხეთ, შემდეგ კი – სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზეც შეიარეთ და უმალ დარწმუნდებით, რომ ლამის მთელი საქართველო ერთ გრძელ და დაუსრულებელ რიგშია ჩამდგარი!

ანუ ქართველები საქართველოდან გარბიან!

რატომ? რატომ გარბიან ქართველები საქართველოდან?

ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში დასმულ ანალოგიურ შეკითხვაზე ბატონმა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ნიშნისმოგებით განაცხადა: – საქართველოდან ადამიანები შევარდნაძის დროსაც გარბოდ- ნენო (?!).

არადა, ბატონ მინისტრს, ალბათ, **"დაავიწყდა"**, რომ **"შევარდნაძის დროსაც"** მას იგივე საპატიო თანამდებობა ეჭირა, რაც ახლა უკავია! უფრო მეტიც: მაშინ სააკაშვილი, ბურჯანაძე, ნოღაიდელი და მათი პარტიული კოლეგებიც შევარდნაძის ერთიანი და განუყოფელი გუნდის ყველაზე პრივილიგირებულ წევრებს წარმოადგენდნენ და ქართველთა დაქცევაში მამობილს ტოლს არ უდებდნენ!

ამიტომ ეს ადამიანები ვერაფრით გაექცევიან პასუხისმგებლობას! თავის დროზე მათ თავად აირჩიეს შევარდნაძე და მის მხარდამხარ განვლეს საქართველოსათვის მეტად საბედისწერო ათწლიანი მონაკვეთი.

ამის შემდეგ, საცა სამართალია, ისინი ერთობლივად უნდა გაქცეულიყვნენ საქართველოდან, მაგრამ ბედის ირონიის გამო დღეს სხვებს ისტუმრებენ უცხო ქვეყნებში...

ზოგადი თვალსაზრისით ქართველთა საყოველთაო ემიგრაციის ძირითადი მიზეზები უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ქვეყანაში დატრიალებულ მოვლენებში უნდა ვეძიოთ.

იგი დაიწყო 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებით და დღემდე გრძელდება. საგულისხმოა, რომ ამ დროის პირველი იძულებითი ემიგრანტ საქართველოს დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო. ყველაზე ადრე სწორედ მას, მის ოჯახსა და თანამებრძოლებს მოუწიათ სამშობლოს დატოვება, შემდეგ ემიგრანტის ხვედრი გაიზიარეს სხვადასხვა მოტივით შევიწროებულმა ადამიანებმა.

მათ მიჰყვნენ გაუსაძლის პირობებს ვერშეგუებული, არსებულ ვითარებას მორალურად და პოლიტიკურად დაპირისპირებული მოქალაქეები, რომელთაც, როგორც იტყვიან, სული სამშობლოში რჩებოდათ, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით სტოვებდნენ სანუკვარ საქართველოს.

მალე მიგრაციის პროცესმა მასობრივი ხასიათი შეიძინა და საერთო-სახალხო მოძრაობის სახე მიიღო. მან ყველა სოციალური ფენის, სქესისა და ასაკის ადამიანები მოიცვა.

ქართველთა მიგრაციას არაფერი არა აქვს საერთო ჩვენთვის ცნობილ **"ოქროს ციებ-ცხელების"** პერიოდთან, არც ბედის მაძიებელთა რომანტიკულ თავგადასავლებთან და არც ახალი ეკონომიკური სივრცეების დაპყრობასთან. მიგრაციის პროცესი ჩვენში არც კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო დაწყებულა და არც მარტოოდენ დროებით შექმნილი პრობლემებით არის განპირობებული. **იგი ქართული სახელმწიფოსადმი მასობრივმა უნდობლობამ და ნიჰილიზმმა შვა.**

არასახელმწიფოებრივმა, არაეროვნულმა, სამშობლოს ინტერესების უარმყოფელმა ხელისუფლებამ, რომელიც მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, ანუ ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში მართავს ქვეყანას, – საზოგადოება ისეთ დეპრესიასა და აპათიაში ჩააგდო, რომ საქართველოდან გაქცევის გარდა სხვა გზა არ დაუტოვა.

შეხედეთ ჩვეს სოფლებსა და ქალაქებს. დააკვირდით იქ მცხოვრებ ადამიანებს. ისინი სრული უიმედობითა და უსასოობით არიან შეპყრობილნი. ყველანი შიშითა და შეშფოთებით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. მთავარიც ესაა: ხვალინდელ დღეს ისინი ისე ელოდებიან, როგორც გარდაუვალ წარღვნას!

ყველაზე დამორგუნველი კი ისაა, რომ სახელმწიფო, ხელისუფლება რეალურად უარს აცხადებს მათ დაცვაზე. **საქართველოს მოქალაქენი საქართველოში ყოველმრივ დაუცველნი არიან და მათზე არავინ ზრუნავს, არავის მათი ბედი არ აღელვებს.** უფრო მეტიც: ისინი დღენიადაგ მოძალადე ხელისუფლთა აღვირახსნილობას აწყდებიან და არსებობისათვის აუცილებელ მინიმალურ პირობებსაც ჰკარგავენ. უსაფრთხოდ არც თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეა: ეგზეკუტორებს ყოველ წუთს შეუძლიათ შინ შემოგვივარდნენ, დაგვარბიონ, აგვაწიოკონ, სასიკვდილოდ გაგვიმეტონ...

დღეს ალბათ, დედამიწაზე არ მოიძებნება ცივილიზებული ქვეყანა, სადაც ხელისუფლება ისე რადიკალურადაა გამიჯნული მოსახლეობისაგან, როგორც ეს საქართველოშია დამკვიდრებული...

ამას წინათ ტელევიზიით რაღაც შეხვედრას აჩვენებდნენ. შეხვედრაზე ათი სახელმწიფო იყო წარმოდგენილი, მათ შორის – შეერთებული შტატებიც. სახელმწიფო მოღვაწეები დინჯი, შეიძლება ითქვას, ოდნავ შეცბუნებული სახეებით დგებოდნენ ტელეკამერების პირდაპირ. თვით სვებედნიერი ვიცე-პრეზიდენტიც კი ფრიად დაფიქრებული ჩანდა. მაგრამ აი, ტელეეკრანზე საქართველოს პრეზიდენტმა გაიელვა და შეხვედრა მოულოდნელად ცუდად დადგმულ შოუ-პროგრამას დაემსგავსა: **არანორმალურად სახეგაბადრული სააკაშვილი ისე გაერია ცივ და რესპექტაბელურ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, გეგონებოდათ, ამ კაცს სადარდელი არაფერი აქვსო...**

დიახ! საოცარი ისაა, რომ შეხვედრაზე **ყველაზე ბევრს და ყველაზე გულიანად რატომღაც სწორედ მიხეილ სააკაშვილი იცინოდა!**

მერე როგორი ლაღი და უდარდელი ღიმილი აქვს გაჭირვებული საქართველოს პრეზიდენტს!

ეს ჭარბი და ყოვლად უადგილო ჭკუამხიარულება კი იქიდან წარმოსდგება, რომ მას საერთოდ არ გააჩნია აუცილებელი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ მხრივ ვერც მისი მინისტრები დაიკვეხნიან და მით უფრო, ვეღარც საკუთარ კეთილდღეობაზე სადღეღამისო ზრუნვით დაკავებული პარლამენტარები...

აი, თავი და თავი, თუ რატომ გარბიან დღეს ქართველები საქართველოდან! ჩვენს წინაპრებს არაერთი ვაება დასტყდომიათ თავს, მაგრამ ღვთისა და მეფის წყალობით სამშობლოდან ფეხს არ იცვლიდნენ. მათ მუდამ სწამდათ მოგვიანებით ილიას მიერ გაცხადებული რწმენის ჭეშმარიტება: – **"აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია"...** მაგრამ ახლა ქართველ ერს აწმყო კი არა, მომავალიც საეჭვოდ და სახათაბალოდ გაუხადეს, დედა-სამშობლო დედინაცვლად უქცეს და შინიდან გააძევეს.

ღმერთო, წაღმა ატარე ყოველი მათგანი!

თემურ ქორიძე,
ჟურნალ "ისტორიული მემკვიდრეობის" მთავარი რედაქტორი

ბოლო იმედი – პირველი ლედი!

საქართველოს პირველი ლედი ევროპელ ტურისტებს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს. სანდრა ელისაბედ რულოვსმა ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გამართულ ტურისტულ გამოფენაზე მათ პირადად მიაწოდა ინფორმაცია ქართული კულტურისა და საქართველოს საკურორტო ზონების შესახებ.

გამოფენაზე მოგზაურობისმოყვარული ჰოლანდიელების მთავარი მასპინძელი სწორედ სანდრა ელისაბედ რულოვსი იყო.

დამთვალიერებლებმა ზაფხულისა და ზამთრის კურორტებზე, მათ შორის, ახალგახსნილ მაღალმთიან კურორტ მესტიაზე, რომელიც უკრაინული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით გამართული პომპეზური კონცერტის შემდეგ, მიუხედავად ხელისუფლების დიდი ძალისხმევისა, მთლიანად დაცარიელდა, დეტალური ინფორმაცია საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლის პრეზენტაციასა და ჰოლანდიაში ჩასული ქართული ტურ-ოპერატორებისგანაც მიიღეს. წელს საქართველოში უთოვლობაა, მის გარეშე კი სათხილამურო ტრასები ტურისტების ყურადღებას ვერასგზით მიიპყრობს.

(ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლებამ გასულ უქმეებზე დაავალდებულა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ჩინოვნიკები, ბანკების მაღალანაზღაურებადი თანამშრომლები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები, მესტიაში ჩასულიყვნენ!).

გამოფენაზე ქართულ კუთხესთან მისულ უცხოელებს სამუალება ჰქონდათ ქართული კერძები და ღვინო დაეგემოვნებინათ. სტუმრებს ბუკლეტებიც დაურიგდათ.

საინტერესოა, იყო თუ არა ამ ბუკლეტებში ჩანართები იმის შესახსენებლად, რომ საქართველო ამჟამად რუსეთის მიერაა ოკუპირებული? საქართველოს პარლამენტმა ხომ ახლახან მიიღო დადგენილება, ნებისმიერი ბეჭდური პროდუქცია ამგვარი „ფლაერებით" აღეჭურვათ... ნუთუ ტურისტებს „ოკუპირებულ ქვეყანაში" სტუმრობა მიიზიდავთ?! სავარაუდოდ, არა, თუკი რასაკვირველია, ეს ექსტრემალური ტურიზმი არაა...

რუსეთში ხელფასებს და პენსიებს გაზრდიან

რუსეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს მიმდინარე წელს პენსიებსა და ხელფასებს გაუზრდიან. ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის დამოუკიდებელი პროფკავშირების ფედერაციის ყრილობაზე განაცხადა. მთავრობის მეთაურმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ სამუშაო კვირა შესაძლოა 60-საათიანი გახდეს და პირობა დადო, რომ ზემოქმედებას მოახდენს იმ კომპანიების ხელმძღვანელებზე, რომელთა თანამშრომლებსაც ხელფასები უგვიანდებათ. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რთული ეკონომიკური სიტუაციისას ქვეყნის ხელისუფლებამ არამც თუ არ შეამცირა სოციალური დანახარჯები, არამედ გაზარდა კიდევაც. **"ჩვენ ხალხზე არ გადაგვიტანია კრიზისის მთელი ტვირთი, პრობლემებთან და სიძნელეებთან ერთი ერთზე არ დაგვიტოვია ისინი, მოვძებნეთ საჭირო რეზერვები და გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, რომ მხარში დავდგომოდით ჩვენს მოქალაქეებს"**, - განაცხადა პუტინმა.

ფოთის საზღვაო აკვატორიაში უკრაინული გემი ჩაიძირა

ფოთის საზღვაო აკვატორიაში უკრაინული გემი **„გრიგორი პეტროვსკი"** ჩაიძირა. ბორტზე ეკიპაჟის 11 წევრი იმყოფებოდა, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნია. ცნობილია, რომ მშრალტვირთმზიდი გემი, ტვირთის გარეშე ფოთის პორტის გარე რეიდზე იდგა, მან კონტროლი დაკარგა, რის შედეგადაც აკვატორიის დამცავ ქვაყრილს შეეჯახა და შუაში გადატყდა. სამართალდამცავები გამომწვევ მიზეზად ძლიერ ღელვას ასახელებენ. სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობდნენ სასაზღვრო პოლიციის, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციის მართვის თანამშრომლები და ფოთის პორტის კონტროლის სამსახური. როგორც პორტში აცხადებენ, ეკიპაჟს საფრთხის შესახებ წინასწარ ეცნობა, მაგრამ რეაგირებამ დააგვიანა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

გურამ მაქაცარია ედუარდ შევარდნაძის მიერ დანიშნულ თანხას შეგნებულად არ იღებს

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, გურამ მაქაცარია 10 წელზე მეტია არ იღებს დეპუტატისთვის კუთვნილ ყოველთვიურ თანხას – 600 ლარის ოდენობით. **„მე ვარ საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარე. დღემდე შენარჩუნებულია უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ქვორუმი, შენარჩუნებულია ასევე 1991 წლის პოლიტიკური და ტერიტორიული სივრცე. 2000 წელს ედუარდ შევარდნაძის დადგენილებით დანიშნული თანხა – 600 ლარამდე არ ამიღია და არც ავიღებ, რადგან მე ვარ მოქმედი დეპუტატი, ხოლო უზენაესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებიც იღებენ ამ თანხას არიან ყოფილი დეპუტატები" – აცხადებს გურამ მაქაცარია.**

პროფესიით კიბერნეტიკოსი, მართვის თეორიის სპეციალისტი, სსრკ-ს 1989 წლის საუკეთესო გამომგონებელი გურამ მაქაცარია ამჟამად არსად არ მუშაობს. ამ გაუსაძლის პერიოდში, პოლიტიკური რწმენის გამო 600 ლარზე უარის თქმა – მისი მხრიდან გმირობის ტოლფასია. მას ახლაც უამრავი გამოგონება აქვს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ამ გამოგონებათა რეალიზება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკასა შიგან, რაცა დგას...

(ანანია ჯაფარიძეს, ფუტკარაძეს, გამცემლიძეს, ტაბიძეს და სხვა მეგრელთმოძულეებს...)

მკითხველს წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ჩვენ არ ვეხებით წამიდათაწმიდა საეკლესიო სფეროს, თუნდაც იმიტომ, რომ ტესტამენტებში არა ვართ კომპეტენტურები, და რომც ვიყოთ, იმდენად ზნედაცემულები და ამპარტავნები არა ვართ, რომ აქ დადგენილ წესებსა და კანონებს თუნდაც გრამატიკული კორექტირება შევბედოთ. ამიტომ, მივმართავთ არა მეუფე ანანიას, არამედ მოქალაქე ანანია ჯაფარიძეს, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს უმაღლესი მღვდელმთავარი, ზიზღს თესავს საქართველოს უერთგულესი კუთხის სამეგრელოს მიმართ, რაც შეიძლება საშიში განხეთქილების საბაბად იქცეს. ამრიგად, ჩვენ მხოლოდ ეკლესიას თავშეფარებული იმ არაქართული ძალის გამოაშკარავებას ვეცდებით, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ ებრძვიან ძირძველ ქართულ კულტურას და ამით მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. ჩვენი ბრალი არ არის, თუ ამ საძრახის საქმეში აქტიურადაა ჩართული ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწე, კერძოდ, რელიგიურ სფეროში დასაქმებული მოქალაქე ანანია ჯაფარიძე. ვინაიდან ეს ადამიანები სცილდებიან საეკლესიო ცხოვრების ფარგლებს და თავიანთი მცდარი თუ მტრული მსოფლმხედველობის თავზე მოხვევას ცდილობენ ქართველი ერისათვის, ამიტომ დავისახეთ მიზნად მათი სააშკარაოზე გამოყვანა, რადგან ამ საქციელს მხოლოდ მათ უმეცრებას ვერ მივაწერთ და ამიტომაც ვერ მივუტევებთ ქრისტესმიერი ყოვლისმპატიებელი სიტყვებით "...რამეთუ, არა იციან რასა იქმნენ!".

დიახაც რომ, კარგად იციან, ამ ავკაცებმა, თუ რა სიბოროტესაც სჩადიან!

რაც შეეხება ამ წერილის ხალხურიდან ნასესხებ სათაურს, ესეც სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რადგან, როცა კოკა სიბინძურითაა სავსე, დიდი მიამიტობა იქნება იმის იმედი, რომ იქიდან ოდესმე რაიმე სიწმინდე გადმოიქუხებს!

სწორედ რომ სიბინძურე გადმოჰქუხს თქვენს ბაგეთაგან და ინსტრებით კალამმომარჯვებული მარჯვენით, რადგან თქვენი პასქვილებიდან ჟონავს სიძულვილი ყოველივე მეგრულისადმი.

მოკლედ, თითო მეგრელთმოძულე მურმანი არ დაელია საქართველოს, მყრალი ლაფანივით ახალ-ახალ შხამისმფრქვეველ მრავალყლორტიან ნაყარს იკეთებს მათ მიერ დარგული სიძულვილის ხე და ამ შხამს გამუდმებით აყროლებს ოდითგან საქართველოს ხერხემლად და სახელმწიფოებრიობის ფორპოსტად აღიარებულ სამეგრელოს.

მას შემდეგ, რაც ქუჯიმ საქართველო გააერთიანა და სამეფოს ტახტი ფარნავაზს უძღვნა, არასოდეს მომხდარა, რომ სამეგრელო სრულიად საქართველოს განდგომოდეს. მაშინაც კი, როცა საქართველო ექვს სამეფოს იყო დაშლილი, სამეგრელო მაინც სამთავროდ რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ცალკე სამეფოდ გამოცხადების ყველა ატრიბუტი გააჩნდა – დაწყებული ტერიტორიის სიფართოვით და დამთავრებული მოსახლეობის ოდენობით. მაგრამ მეგრელ კაცს აზრადაც კი არასოდეს გაუვლია საქართველოსაგან ცალკე სამეფოდ გამოყოფა, რადგან კარგად უწყოდა, რომ ეს სრულიად საქართველოს საბოლოო აღსასრული იქნებოდა!

აი, რა უნდა გახსოვდეთ ყოველთვის, ანანია ჯაფარიძევ და ანანიას თანამზრახველებო, ვიდრე კალამს ხელს მოჰკიდებთ და სამეგრელოს თაობაზე ჩხრეკას, ესაობას და გაუგონარი სიბილწეების ჩმახვას შეუდგებით. ეს ადამიანის ზნეობრივი ვალია, მაგრამ როგორ შეიძლება, ზნეობაზე გესაუბროთ თქვენ, უზნეო და ანგაჟირებულ ხალხს, რომლებიც საქართველოს მტრების შეკვეთით მოქმედებთ, ყოველი საძრახისი მეთოდების გამოყენებით ებრძვით დიდი ტრადიციების მქონე მეგრულ და სვანურ ენას და იმასაც კი კადრულობთ, რომ ცილისმწამებლური სტრიქონები შეიტანოთ ეპისტოლეებში და ვერაგულად შეუცუროთ იგი ხელმოსაწერად უწმინდესსა და უნეტარესს!

ასეთ ადამიანებს საქართველოში გველებად მოიხსენიებენ!

იმიტომ, რომ მხოლოდ საქართველოს ერთიანობის დაუძინებელი მტერი, ყოვლად უზნეო ადამიანი თუ იკადრებს ამას!

იმერული პეწით დაყენებულ აპრეხილ ულვაშებზე გეტყობა, რომ შენ სარკესთან ტრიალსა და გარეგნობაზე ზრუნვას უფრო მეტ დროს ანდომებ, ვიდრე შინაგან სილამაზეზე რუდუნებას!

ჩვენ ძალიან კარგად ვერკვევით საეკლესიო იერარქიაში, და თუ მეუფეს არ გიწოდებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მეუფება სამწყსოს სულიერ მფარველობას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, რა სულიერი მფარველობა უნდა გაუწიოთ თქვენ მორწმუნეებს, როცა თავად მოგმძლავრებიათ სატანური სიძულვილი საქართველოს ძირძველი კუთხისადმი და არაფერს იშურებთ მის დასაწიხლად.

ამიტომ, თქვენ ჩვენთვის მეუფე კი არა, მავნე წერილთა ერთი ჩვეულებრივი მჯღაბნელი ხართ, რომელმაც ვერც საერო ცხოვრებაში იპოვნა თავისი ადგილი, ვერც საეკლესიოში და ახლა **"ჰეროსტრატეს მონდომებით"** ცდილობს შეატოვოს თავისი უბადრუკი სახელი თქვენივე თანამოზრეთა მის დასაღუპად განწირული საქართველოს ისტორიის უკანასკნელ ფურცლებს.

ვერ ეღირსებით!

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით თავი შეგვეკავებინა თქვენს ცილისმწამებლურ და სიძულვილმოჭარბებულ პასკვილებზე პასუხის გაცემისაგან, მაგრამ, იძულებული გავხდით ამ ნაბიჯზე წავსულიყავით, რადგან ვხედავთ, რომ ვერ ისვენებთ და ალბათ ვერც მოისვენებთ, ვიდრე დანიერული მუშტი არ მოგხვდებათ მაგ სიბილწისმფრქვეველ ყბაში.

თქვენ, ცილს რომ სწამებთ მეგრულ ფენომენს და მეგრული ენის შენარჩუნება საქართველოს დაშლის წინაპირობად რომ მიგაჩნიათ, ერთხელ მაინც თუ ჰკითხეთ მიხეილ სააკაშვილს, რატომ ასწავლეს **"ვარდების რევოლუციამდე"** სანდრა რულოვსს მეგრული ენა ასეთი დაჩქარებული ტემპებით. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონ სანდრას მეგრელებთან მათ ენაზე ესაუბრა, ხალხი აღეფრთოვანებინა და ამით დიდი როლი ეთამაშა საკუთარი მეუღლის საქართველოს პრეზიდენტად აღზევების საქმეში?

რა ვქნათ ახლა, ვაღიაროთ მიხეილ სააკაშვილი მეგრელ სეპარატისტად და საქართველოს დაშლის უპირველეს მსურველად? (თუმცა, სამწუხაროდ, მას არც ეს ცოდვა აკლია!).

ან იმან თუ დაგაინტერესათ, როგორ მოხერხდებოდა კოლხური ოქროდამწერლობის თვალსაჩინო ნიმუშის **"ფესტოსის დისკოს"** გაშიფვრა, მსოფლიოს უდიდეს ენათმეცნიერთა ასწლიანი უნაყოფო მცდელობის შემდეგ, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერ-მათემატიკოს, პროფესორ გია კვაშილავას მეგრული ენა რომ არ სცოდნოდა?

მაგრამ, ყრუები და ბრმები ხართ თქვენ, ჭეშმარიტებათან მიმართებაში, ანანიავ და ანანიას ზურგს ამოფარებულო ანანისტებო!

მაშინ თუ მოგეძალათ პროტესტის გამოთქმის სურვილი, როცა მხედრიონის ტყიბულის ბატალიონის **"მებრძოლები"** (უფრო სწორად – პირსისხლიანი ბანდიტები) გადამთიელი ბარბაროსებივით იყვნენ შესეული სამეგრელოს, ადგილობრივ მოსახლეობას მხეცურად უსწორებდნენ ანგარიშს იმიტომ, რომ ისინი მეგრელები იყვნენ, მცირეწლოვან გოგონებს აუპატიურებდნენ, მათ დასაცავად შემართულ მამებს კი ავტომატებით ხვრეტდნენ, როცა სახლებს ცეცხლის უკიდებდნენ და ხელერთპირად ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას? ერთხელ მაინც თუ გადაიხადეთ პარაკლისი ამ არაკაცთა ხელით დაღუპული სამეგრელოს მოსახლეობის სულების მოსახსენებლად? ერთხელ მაინც თუ მოუწოდეთ არაკაცებს, რომ მოენანიებინათ თავიანთი მძიმე დანაშაული, რაც მათ ჩაიდინეს კონკრეტულად – სამეგრელოს, ზოგადად კი სრულიად საქართველოს წინააღმდეგ?

არ გაგიკეთებიათ, და არც გააკეთებთ, რადგან თქვენშიც საკმაოზე მეტად მძლავრობს მეგრელთმოძულეობის სინდრომი, რაც აშკარად გამოსჭვივის თქვენს ნაჩხრეკ-ნაჯღაბნში!

როგორ გგონიათ, შევარდნაძისა და მისი თანამზრახველების მიერ სამეგრელოში ამგვარი სისხლიანი კალოს დატრიალება არ იყო მიმართული საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ. განა ფაქტი არ არის, – სამეგრელო რომ ძლიერი ყოფილიყო, აფხაზეთი არასოდეს დაიკარგებოდა და სწორედ იმიტომ დაწიხლეს სამეგრელო მაშინ შევარდნაძემ და მისმა თანამზრახველებმა, რომ იქ მომძლავრებული ეროვნული მოძრაობის მუხტი მოესპოთ და აფხაზეთი მტერთან ბინძური გარიგების ფასად მოეწყვიტათ საქართველოსაგან!

დავიჯერო, რომ ერთხელ მაინც არ გიფიქრიათ ამ უმსგავსოებაზე?

იქნებ თქვენი მცდელობა, თქვენს ზურგს უკან მდგარი ანტიქართული ძალების მიზანდასახული პოლიტიკის ნაწილია, რათა უკმაყოფილება გამოიწვიონ საქართველოს მოსახლეობის მეგრულ და სვანურ ნაწილში, მათი პროტესტი სეპარატიზმად მონათლონ და საბოლოოდ მოსწყვიტონ რეგიონი საქართველოს, რითაც დაიწყება კიდეც საქართველოს მსოფლიო გეოპოლიტიკური რუქიდან გაქრობის **"საიმედო"** შეუქცევადი პროცესი?

ამაზე თუ დაფიქრებულხართ ოდესმე, თქვე მართლა უბადრუკო დიდ-პატარა ანანიებო?

ნუთუ თქვენ, ქართული გვარ-სახელების მატარებელო არაქართველო არარაობებო, მართლა მიგაჩნიათ, რომ მეგრული და სვანური ენების მოვლა-პატრონობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქართულ სახელმწიფოებრიობას? ნუთუ სეპარატიზმად მიგაჩნიათ იმის მოთხოვნა, რომ ქართულ სკოლებში მოისმინებოდეს მეგრული ენა, რათა საქართველოს მოსახლეობას თუნდაც ელემენტარული წარმოდგენა გააჩნდეს ამ პრეისტორიული ხანის ენასა და კულტურაზე.

საქართველომ რომ მის ერთ-ერთ საყვარელ შვილს – მეგრულ ენას სათანადო პატივი მიაგოს, ესაა სეპარატიზმი? თქვენი აზრით, სეპარატისტები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი ან გრიგოლ რობაქიძე, რომლებიც ღირსეულ ადგილს მიუჩენდნენ მეგრულს ენას და საქართველოს საუნჯედ მიიჩნევდნენ? ან იქნებ დიდი ქართველი ენათმეცნიერები ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი და იოსებ ყიფშიძე იყვნენ სეპარატისტები, რომელთაც სპეციალურად შეისწავლეს მეგრული ენა და უნიკალური ნაშრომები დაგვიტოვეს! ან იქნებ დიდი ენათმეცნიერი და ქართველი პატრიოტი აკაკი შანიძე იყო სეპარატისტი, რომელსაც საქართველოს ძირად და ფესვად მეგრული ენა მიაჩნდა?

დავიჯერო, რომ ასეთი ყრუები და ბრმები ხართ?

მაგრამ თქვენ ეს არ გესმით, იმიტომ, რომ ტურებივით ხართ შესეული რელიგიურ სულიერებაზე არანაკლებ წმინდა საქართველოს ტანჯულ, მაგრამ გმირულ წარსულს, ვიღაცეების საამებლად ანგარებით მოქმედებთ და არა სინდისის კარნახით!

შე დალოცვილო, ანანია, თუ ერისკაცობაში ხანჯლითა და კალმით ტრიალის სურვილს ვერ ამოიშანთავდი საკუთარი სულიდან, ეკლესიაში რას მიდიოდი. ნუთუ მხოლოდ უზრუნველი ცხოვრების პერსპექტივა გიტაცებდა? ან, რატომ გგონია, რომ სულიერ მოძღვარს გარანტირებული აქვს უზრუნველი ცხოვრება? შენ ხომ ფხიზლად უნდა იყო მაშინ, როცა საწმყსო ისვენებს, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველთყლაპია მტერს არ სძინავს? მაგრამ, შენ ისეთივე სამართლიანი სულიერი მოძღვარი ხარ, როგორი სამართლიანობითაც ირჯები ენათმეცნიერებაში. სწორედ შენნაირი სულის მცველების **"წყალობაა"** ის ხელშესახები პრობლემები, რაც დღეს ქართულ ეკლესიაში მძლავრობს! იქნებ იეღოველებისა და სხვა საძრახისი სექტების მავნე მოღვაწეობის წინააღმდეგ ამოგეღოთ საპროტესტო ხმა, გულმუცელს რომ უღრღნიან ქართულ ეკლესიას, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესიის დაკნინება საქართველოს არაქართული ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილი გახლავთ, შენ კი არასოდეს წახვალ იმ ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, რომლისაგანაც გარკვეულ სარფს მოელი და ამიტომაც უვლი ბუქნას მის დაკრულზე!

ნუთუ ბავშვობაში მაინც არ გასწავლეს, რომ ჩექმები ხარაზმა უნდა შეკეროს, პური კი ხაბაზმა გამოაცხოს. მაგრამ, შენ, ანანია ჯაფარიძევ, და შენს ზურგს ამოფარებული არარაობები, არც ხარაზები ხართ და არც ხაბაზები – თქვენ მავნე წერილების მჯღაბნელები, ხელმოცარული ვაიმწერალები ხართ, რომლებიც ვერც ერისკაცობაში იპოვნიან თავის ღირსეულ ადგილს და ვერც რელიგიურ სივრცეში.

ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი არქიმანდრიტი (მის ვინაობას არ ვაკონკრეტებთ, რათა თქვენნაირმა ავისმქმელებმა საკუთარ სამიზნედ არ გაიხადონ ეს ჭეშმარიტად მაღალი სულიერების მქონე მოძღვარი), რომელიც ერისკაცობაში მაღალინტელექტუალური მეცნიერი გახლდათ და არა მეცნიერებას მიტმასნილი წიგნის ჭია. უცხო ენის ამ უბადლო სპეციალისტმა დიდ გერმანელ პოეტ ბუდენზიკს **"ვეფხისტყაოსნის"** აწკარედი გაუკეთა გერმანულ ენაზე, მისი თარგმანისათვის. შემდეგ, როცა საქართველოს სულიერი სიბილწე მოეძალა, მან თავისი ადგილი სამწყსოს ზნეობრიობისათვის ბრძოლის ფრონტზე დაინახა და ბერად ეკურთხა. იგი დღესაც დიდი ინტერესით ეცნობა თანამედროვე ქართველ მეცნიერთა და ლიტერატორთა პუბლიკაციებს, მაგრამ გამორიცხულია, რომ საერო საკითხებზე საკუთარი აზრი გამოაქვეყნოს. იცით რატომ? იმიტომ, რომ სიცოცხლე ეკლესიას მიუძღვნა და საკუთარ თავს საერო საქმეებში ჩარევის უფლებას აღარ აძლევს. ეს დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის, რადგან იგი თქვენზე ბევრად კვალიფიციურ და ობიექტურ პუბლიკაციებს გამოაქვეყნებდა, მაგრამ ამ დანაკლისს, ამ ხარვეზს მხურვალე ლოცვითა და სამწყსოზე ზრუნვით ავსებს... მოკლედ რომ ვთქვათ, ის, რაც დაჰკარგა საერო სფერომ, შეიძინა საეკლესიომ! ამიტომ, სრულიად საქართველოს არაფერი დაუკარგავს!

აი, როგორი უნდა იყოს სულიერი მოძღვარი!

თქვენ კი რაღაც მჯღაბნელთა ბანდას მოუყარეთ თავი, მავანთა საამებლად და მომავალი აღზევების იმედით მავნებლობთ და ეკლესიის სახელით მართლაც დიდ ბოროტებას ჩადიხართ!

თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელიც სოფელს თოხის მუშად დააკლდა, ეკლესიას კი სულიერების განსამტკიცებლად ვერაფერი შესძინა! წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მღვდელმთავარი, სამწყსოს არ მიაგდებდი უპატრონოდ და კვლავ საერისკაცო ორომტრიალში არ გადაეშვებოდი!

ჩვენ რომ გაპატიოთ, ამგვარი მავნე წერილების ჯღაბვნა, უფალი არ გაპატიებთ!

სიმართლე გითხრათ, გასაგები (მაგრამ, არა თქვენთვის) მიზეზის გამო, დიდ ხანს ვიკავებდით თავს ამ წერილის გამოქვეყნებისაგან, მაგრამ, როცა შენი და შენს ბოროტ **"მეცნიერ"**-თანამზრახველთა თავხედობა ყოველ საზღვრებს გასცდა, მაშინ გადავწყვიტეთ, რომ სათანადო ადგილი მიგვეჩინა მჯღაბნელთა ხროვისათვის!

გულდასმით, დაკვირვებით წაიკითხეთ ეს წერილი და დაფიქრდით, რათა ახლა მაინც შეიგნოთ, თუ სად არის თქვენი ადგილი!

უკეთილშობილეს სულიერ მამებს კი დიდ ბოდიშს მოვუხდით წინამდებარე წერილის მწვავე ტონისათვის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ერთიანობის დაუძინებელ მტრებთან სხვა ენაზე საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია!

გვეგონა მიხვდებოდით, რომ მხოლოდ თქვენი მაღალი საეკლესიო სტატუსის გამო იკავებდნენ ოპონენტები თავს თქვენთვის საკადრისი პასუხის გაცემისაგან, მაგრამ, როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: **"არ გასწორდების კუდი ძაღლისა, არცა კირჩხიბი მართლად ვლის..."**

ამიტომ, ანანია ჯაფარიძე, ჯერ ამ პასუხს დაჯერდით, მაგრამ აქვე კატეგორიულად გაფრთხილებთ, გაანებეთ თავი ენათმეცნიერებაში ჩხირკედელაობას და საკუთარ საქმეს მიხედეთ, რომელიც ბევრად უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე თქვენთვის უცხო სფეროში ანგარების მიზნით ცოდვილობა და უაზრო სენტენციების ესვა!

ენათმეცნიერების საქმეს კი თქვენზე ბევრად კომპეტენტური ადამიანები მიხედავენ!

ანანია ავისმქნელო, არ იფიქრო, რომ ეს ბოლო პუბლიკაციაა, ჭორად გავიგეთ, რომ უამრავ ბოროტ საქმის ჩადენასა და ავკაცობას გაბრალებენ, რასაც მალე გადავამოწმებთ და დაწვრილებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველს.

ასეა, არცერთი არამზადა არ უნდა დარჩეს დაუსჯელი, თუნდაც იგი ანაფორას და მაღალ საეკლესიო ტიტულს იყოს ამოფარებული!

გაზეთი "ილორი"

აშშ: თავისუფლების გარყვნა. სხვა ქვეყნების მიმართ აშშ-ის ფარისევლური და ამორალური მოქმედება მისი პოლიტიკური ელიტის მოქმედების ტოლფარდია.

(აღნიშნული წერილი, რომელიც საქინფორმმა უცვლელად თარგმნა, 2010 წლის 30 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა აზერბაიჯანის საპარლამენტო გაზეთმა "აზერბაიჯანმა").

"ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია".

უკანასკნელი ათწლეულის მოვლენები გარკვევით გვიდასტურებს, რომ **აშშ** სისტემატურად **"აწარმოებს"** ინფორმაციას პოლიტიკური შანტაჟის მიზნით.

ბოლო ორი ადმინისტრაციის მმართველობის წლები, რომლებიც გამოირჩა ერაყში კანონსაწინააღმდეგო შეჭრით, კლიმატის ცვლილების შესახებ **"კიოტოს ოქმის"** რატიფიკაციაზე უარის თქმით, აბუ გრეიბსსა და გუანტანამოს პატიმართა წამებით, ავღანეთში შეჭრითა და შემდგომ ნარკოტიკების წარმოების აყვავებით ამ ქვეყანაში, დაბოლოს, **"უოლსტრიტელი"** ფინანსისტების უსირცხვილობით, რომლებმაც განახორციელეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის პროვოცირება, აშშ-ს მსოფლიოს მორალური და პოლიტიკური ლიდერობის უფლება აღუკვეთა.

აშშ-ის ე. წ. მცდელობა – შეექმნა **"მსოფლიო დემოკრატიის საზოგადოება"**, რომელიც მისეულის მსგავსი იქნებოდა – წარუმატებელი გამოდგა **"ექსპორტირებული საქონლის"** დეკლარირებულ ფასეულობებთან შეუთავსებლობის გამო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის უმეტესმა ნაწილმა არ მიიღო იდეა **"ამერიკული"** დემოკრატიის თაობაზე, რომელიც მაგალითი უნდა იყოს დანარჩენი მსოფლიოსთვის. არადა, სწორედ ამ იდეის მისთვის თავსმოხვევას მონდომებით ცდილობდნენ. ამერიკის მომხრეებსაც კი ეეჭვებოდათ, ჰქონდა კი უფლება აშშ-ს უფლება, თავისი შეხედულება თავს მოეხვია სხვებისთვის?

აშშ რჩება ლიდერად ისეთი **"დემოკრატიული გამოყენების საქმეში, როგორებიცაა "რადიო თავისუფლება", Amnerty International, Freedom Hous, Human Rights Watch და Transparency International**, რომლებიც **"ფილანტროპ"** ჯორჯ სოროსის, აშშ კონგრესისა და სახელმწიფო დეპარტამენტის სახსრებით ფინანსდება. ამ ორგანიზაციების ანგარიშებში ჩამოთვლილია ყველა ქვეყანა, მაგრამ მთავარ ბოროტმოქმედებად გამოყოფილი არიან აშშ-ის გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგენი და მათი მეგობრები. იმათი სიტუაცია, ვინც **"არ დაუწვა"** ვაშინგტონს, წლიდან წლამდე უარესდება.

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ 1950-70-იან წლებში **"რადიო თავისუფლების"** ინფორმაცია აშშ-ში კარგა ხნის მანძილზე აკრძალული იყო, დიდი ოდენობით აშკარად ცრუ პუბლიკაციების გამო, რომლებსაც შეიძლება ნეგატიურად ემოქმედა ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე. იურიდიული აკრძალვების მოხსნის მიუხედავად, აშშ-ის საინფორმაციო ქსელი(?) არანაკლებ მკაცრად კონტროლდება.

"ცივი ომის" დაწყებისთანავე (40-იან წლების ბოლოს) ცენტრალურმა სადაზერვო სამმართველომ დაიწყო ოპერაცია Moskingbird, რომლის მიზანი უმსხვილეს მედიასტრუქტურებზე ზემოქმედება და წამყვანი ჟურნალისტების გადაბირება იყო. ეს ოპერაცია წარმატებით განვითარდა. გადაბირებული მედიასტრუქტურების სიაში აღმოჩნდა ABC, NBC, CBS, ისეთი ბეჭდური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საინფორმაციო სააგენტოები, როგორიცაა Time, Newsweek, Associated Press, VPG, Reuters, Washington Post, Los Angeles Times და სხვები, აგრეთვე 400 ჟურნალისტი, რომლებიც ცენტრალური სადაზერვო სამმართველოს საიდუმლო დაავადებებს ასრულებდნენ.

იმ ჟურნალისტებს, რომლებიც **"დუმილის საიდუმლო აღთქმას"** გატეხდნენ სპეცსამსახურები დაუსჯელს არ ტოვებდნენ. სტივენ კანგასი, საქმეში ჩახედული ჟურნალისტთაგან ერთ-ერთი, რომელმაც ცენტრალური სადაზერვო სამმართველოს შესახებ რამდენიმე გულახდილი მასალა გამოაქვეყნა, პისტოლეტიდან ნასროლი ტყვიით მოკლული იპოვეს.

სისტემის მეორე მსხვერპლი აღმოჩნდა ჟურნალისტი რალფ მაკგი, რომელიც 25 წლის განმავლობაში ცენტრალური სადაზერვო სამმართველოს აგენტი იყო და რომელიც 2000 წელს დაუნდობლად სცემეს იმიტომ, რომ გამოაქვეყნა ამ სტრუქტურასთან დაკავშირებული მასალა **"ვიეტნამური პროგრამა ფენიქსის"** შესახებ.

აშკარაა, რომ ტროცკისტული იდეის **"მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის"** (დედანში საბჭოთა იდეად არის მოხსენიებული, რაც აშკარა შეცდომაა. – მთარგ.) მსგავსად, **"ამერიკული ლიბერალიზმი"** მშვიდობის თეორია კი არ არის, არამედ - **"ჯვაროსნული ლაშქრობის"** თეორია. ხოლო აშშ გლობალური სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ლიბერალურ იდეებს, წარმოგვიდგება არა მშვიდობის სტრატეგიად, არამედ კონფლიქტების სტრატეგიად. ლიბერალიზმი, რომელიც შემოსილია ამერიკის მე-6 ფლოტის ჯავშნით, ასაზრდოებს შეერთებული შტატების იმპერიულ ამბიციებს, რომლებიც ამერიკული ლიბერალიზმის პოლიტიკური ფილოსოფიის მიერ სხვა პოლიტიკური იდეოლოგების მიუღებლობითაა განპირობებული.

ამასთან, აშშ-მა, რომელიც მიისწრაფვის **"გლობალური ლიბერალური იმპერიის"** შექმნისკენ, აშკარად გადაამეტა გამოყენებული მეთოდების თვალსაზრისით. **"ამერიკის მსგავს"** სახელმწიფოებს აშშ რაიმე განსაკუთრებული თეორიის გამოყენებით კი არ ქმნის, არამედ, ფაქტობრივად, ძალით, თავისებურად გაგებული დემოკრატიულ ფასეულობათა გარშემო აერთიანებს მსოფლიოს. მაგრამ აშშ-დან ათასობით დაშორებულ ქვეყნებში, ხელისუფლებას რომ ცვლიან, ამერიკელები ისეთ შლეიფს ტოვებენ, რომელიც ჩრდილს აყენებს ე.წ. ამერიკულ მაღალ იდეალებს.

"იგი ძუკნის შვილია, მაგრამ ჩვენი ძუკნისშვილია"

პრეზიდენტი ფ.დ. რუზველტი ნიკარაგუის დიქტატორ სამოსას შესახებ

დროა, გავახსენოთ ამერიკელების შეჭრა ერაყში, რასაც სახელმწიფოს მეთაურის დამხობა და სახელმწიფოებრიობის ნგრევა მოჰყვა, გამოაშკარავდა მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებაში ამ ქვეყნის დადანაშაულების უსაფუძვლობა და ბრალდების ფალსიფიცირება. მამის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებით ბუშმა-უმცროსმა შეცვალა ძალთა გეოპოლიტიკური განლაგება და გამოიწვია ვითარების დესტაბილიზაცია ახლო აღმოსავლეთში. სიკვდილსიცოცხლესთან თამაში ამერიკული ჯარისკაცებისთვის გართობად იქცა, რაც ამერიკის პრეზიდენტების აზარტულ საყვარელ "რულეტკის თამაშსა" ჰგავს.

აქვე უპრიანია ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტისა და ამერიკელი ჯარისკაცების მიერ სააგენტო Reuters-ის რეპორტიორების მოკვლის შეხსენებაც. არანაკლებ სამარცხვინოა აშშ-ისთვის, რომელიც უფლებათა დაცვის ციტადელად არის მიჩნეული, წამებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა აბუ გრეიბის ციხეში.

2004 წლის აპრილში ტელეარხ CBS-ის პროგრამა "60 წუთის" ეთერით გადაიცა სიუჟეტი ამ ციხის პატიმართა აბუჩად აგდების შესახებ. ამერიკელი ჯარისკაცები აწამებდნენ მათ, აჭენებდნენ ცხენებივით, ძაღლებივით აყეფებდნენ, აიძულებდნენ, ტუალეტებიდან ამოეღოთ საკვები, აუპატიურებდნენ. წამების ფოტოსურათები რამდენიმე დღის შემდეგ გამოაქვეყნა გაზეთმა New York Times-მა CBS ტელეარხით გადაცემული რეპორტაჟის კვალზე. მოგვიანებით აშშ მთავრობამ აკრძალა ამერიკული სამხედრო ბაზებიდან ავღანეთსა და ერაყში წამების ფოტოსურათების გამოქვეყნება. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შესწორება კანონის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც კრძალავს პუბლიკაციას, თუ ეს შეიძლება დაემუქროს ვინმეს სიცოცხლეს ან უსაფრთხოებას (ამ შემთხვევაში გულისხმობდნენ ავღანეთსა და ერაყში ამერიკელი მოძალადე ჯარისკაცების უსაფრთხოებას. – რედ.). აშშ ხელისუფლება იყენებს ნებისმიერ ცენზურას იმ შემთხვევაში, როცა ეს მის ინტერესებშია, რითაც მნიშვნელოვნად ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევათა გამო პასუხისგებაში მიცემულ 12 სამხედრო მოსამსახურეს შორის არც ერთი იყო პენტაგონის მაღალი რანგის თანამშრომელი.

2004 წლიდან ერაყში ექვსწლიანი ომის შედეგად დაიღუპა 100 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთა შორის 66 პროცენტზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იყო. ამრიგად, ერაყში ომის თითოეულ დღეს 31 მშვიდობიანი მცხოვრების სიცოცხლე ეწირება.

ამერიკელი ჯარისკაცების ანალოგიური ქცევა დაფიქსირდა ავღანეთის ომის დროსაც, რაც მიმდინარეობს **"დემოკრატიული იდეალების"** გამარჯვების დროშით. ბრიტანული Guardian-ის მიხედვით, აშშ შეიარაღებული ძალები ბაგრამში - მთავარ ციხეში, რომელიც ქაბულისა და ყანდაგარის მახლობლად მდებარეობს, იყენებდნენ აბუ გრეიბში გამოყენებული წამების სტილსა და მეთოდებს.

პატიმრებს წამების პროცესში უტრიალებდნენ მკლავებს, პირში ჩრიდნენ დაუტენავ პისტოლეტს და გამოჰკრავდნენ ჩახმახს. ამასთან, ამერიკელი ჯარისკაცები ყელზე უჭერდნენ თოკს ისე, რომ პატიმარი გრძნობას კარგავდა, და ბეისბოლის **"ბიტებით"** სიცოცხლეს უსწრაფებდნენ. პატიმრებს მიუსევდნენ ძაღლებს, სცემდნენ, უმტვრევდნენ ძვლებს და უსაზიზღრესად აუპატიურებდნენ.

ამერიკის მიერ დემოკრატიულ ფასეულობათა სასტიკ და უმოწყალო **"დამკვიდრებას"** დიდი ხნის ისტორია აქვს, რომლის ფესვები გასული საუკუნის შუა პერიოდშია გადადგმული.

1953 წელს აშშ ცენტრალურმა სადაზერვო სამმართველომ გადატრიალების გზით დაამხო ირანში დემოკრატიულად არჩეული მუჰამედ მოსადიკი, რომელიც დიქტატორ მუჰამედ რეზა ფეხლევით შეცვალა. მოსადიკი მხოლოდ იმიტომ დაამხეს, რომ იგი ინგლისურ-ირანული ნავთობის კომპანიით ნაციონალიზაციას ცდილობდა.

ანალოგიური მოვლენები დაფიქსირდა გვატემალაშიც, სადაც ცსს-მ დაამხო დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ჰაკობო არბენსი, რადგან იგი აპირებდა კომპანია United Feuit Company-ის ნაციონალიზაციას, რომელიც ეკუთვნოდა როკფელერს და რომლის აქციონერი იყო, აგრეთვე, ცსს დირექტორი ალენ დალესი (ოპერაცია **"ეშმაკი"**). შედეგად არბენსი შეცვალეს **"მემარჯვენე"** დიქტატორებმა, რომლებმაც ბოლო 40 წლის განმავლობაში 40 ათასზე მეტი გვატემალელი დახოცეს.

შემდეგ და შემდეგ უარესი მოხდა. 1957-დან 1973 წლამდე ცსს პრაქტიკულად ყოველ წელიწადში ერთხელ განახორციელებს გადატრიალებას და ცდილობს, გააქარწყლოს დემოკრატიული არჩევნების შედეგები ლაოსში. თავისი გეგმების განსახორციელებლად ცსს ჯერ აყალიბებს **"საიდუმლო აზიელი დაქირავებულების არმიას"**, მთელი რიგი წარუმატებლობის შემდეგ აშშ იწყებს დაბომბვებს და ლაოსს იმაზე მეტ ბომბს დააყრის, ვიდრე მთელი მსოფლიო ომის განმავლობაში საერთოდ ჩამოაგდეს ამერიკელებმა.

1964 წელს ცსს-მ სამხედრო გადატრიალების მეშვეობით დაამხო ბრაზილიაში დემოკრატიულად არჩეული ჟოაო გულარტის მთავრობა. ხუნტა, რომელმაც იგი შეცვალა, ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სისხლისმსმელ რეჟიმად ჩამოყალიბდა – გენერალმა კასტელო ბრანკომ შექმნა ლათინურ ამერიკაში პირველი **"სიკვდილის ესკადრონები"**, რომელთა ძირითადი მიზანი პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება, წამება და ლიკვიდაცია იყო.

უფრო მასშტაბური შედეგები ჰქონდა გადატრიალებას, რომელიც ცსს-მ განახორციელა ინდონეზიაში 1965 წელს, როცა თანამდებობიდან გადააყენეს ქვეყნის დემოკრატიული მმართველი სუკარნო. მისმა შემცვლელმა გენერალმა სუხარტომ სისხლში ჩაახშო სხვადასხვა ანგარიშით 500 ათასიდან 1 მილიონამდე სამოქალაქო პირი.

ამერიკული **"დემოკრატიის ექსპორტის"** კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს კლასიკური გადატრიალება, რომელიც 1973 წელს ჩილეში განხორციელდა და რომლის დროსაც მოკლეს დემოკრატიულად არჩეული სოციალისტი ლიდერი – პრეზიდენტი სალვადორ ალიენტე. აშშ-სა და ალიენდეს შორის პრობლემები გაჩნდა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ამერიკელების კუთვნილი კომპანიების ნაციონალიზაცია გადაწყვიტა. შედეგად ცსს-მ ალიენდე შეცვალა ადამიანით **"თეთრი მუნდირით და შავი სულით"** – გენერალ აუგუსტო პინოჩეტით, ვინც მრავალი წლის განმავლობაში დიქტატურის სინონიმად იქცა. შემდგომში აშშ ხელისუფლებამ თითი თითს არ დააკარა თავისი დაყენებული კაცის სისხლის სამართლის დევნისაგან გადასარჩენად.

ანალოგიური შედეგი ჰქონდა გადატრიალებას კამბოჯაში, სადაც ცსს-ს მიერ პრინც საუნეკის გადაყენების შემდეგ 1970 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ლონ ნოლის მარიოტენული მთავრობა, რომელმაც თავისი არაპოპულარული მოქმედებით ხელი შეუწყო 1975 წელს ხელისუფლებაში **"წითელი ქხმერების"** მოსვლას პოლ პოტის მეთაურობით. საქვეყნოდ ცნობილია, რომ პოლ პოტისა და იანგ სარის რეჟიმმა სიცოცხლე მოუსწრაფა მილიონობით საკუთარ მოქალაქეს.

"დემოკრატიის ექსპორტი" ცსს-ს რეცეპტით განხორციელდა, აგრეთვე, ბოლივიაში, ეკვატორში, დომინიკის რესპუბლიკაში, ზაირში, ჰონდურასში, პანამასა და სალვადორში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ოპერაცია სალვადორში, ელბაზოტში 1980-დან 1992 წლამდე, სადაც სამხედრო მთავრობამ ცსს-ს მხარდაჭერით სპეციალურ საკონცენტრაციო ბანაკებში, დღევანდელ **"ოსვენციმებში"**, სიცოცხლეს გამოასალმა თავისი ქვეყნის 63 ათასამდე მოქალაქე.

1983 წელს ცსს–მ ჰონდურასის სამხედრო ხელისუფლებას გადასცა **"ადამიანური რესურსების ექსპლოატაციის სახელმძღვანელო"**, რომელიც, ფაქტობრივად, იყო მითითებული წამების საწარმოებლად. მოგვიანებით ავადსახსენებელმა **"ბატალიონმა 316"**-მა გამოიყენა ეს დამხმარე სახელმძღვანელო ათასობით მემარცხენე დისიდენტის საწამებლად.

გასულის საუკუნის 80-იანი წლებისთვის **"ლიბერალურ ღირებულებათა ექსპორტის"** ტექნოლოგიამ სრულიად ახალ დონეს მიაღწია. მაგალითად შეიძლება საიდუმლო ოპერაცია **"ციკლონის"** დასახელება, რომელიც 1979-1989 წლებში ავღანეთში საბჭოთა შეჭრის პერიოდში ხანგრძლივ პროგრამად წარმოგვიდგა მოჯაჰედების დაფინანსების, შეიარაღებისა და მომზადების თვალსაზრისით. პროგრამა უზრუნველყოფდა იმ ისლამისტური ჯგუფების ყოველმხრივ მხარდაჭერას, რომლებიც მეზობელ პაკისტანთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ცსს-ის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი საიდუმლო ოპერაცია აშშ-ის საზღვრებს გარეთ, რომლის ბიუჯეტი პირველ წლებში 30 მლნ აშშ დოლარს არ აღემატებოდა, მაგრამ 1987 წლისთვის 630 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. პროგრამის ფარგლებში გამოიწრთო ავღანელ საველე მეთაურთა მთელი თაობა, მათ შორის იყვნენ ჯამალუდინ ჰაკანი და გულბეგდინ ჰიქმ-თიარი. პირველს ებარა საუდის არაბეთიდან მოხალისეთა მომზადება, რომელთა შორის იყო ცნობილი უსამა ბინ ლადენი.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ანალოგიური ბედი ეწია ცენტრალური სადაზერვო სამმართველოს მიერ დაყენებულ კაცებსაც. ასე იყო გენერალ ნორიეგას შემთხვევაში, რომელიც პანამის სათავეში 60-იანი წლებიდან იდგა და ხელფას ცსს-დან იღებდა. 1972 წლიდან, ცსს-ს ფარული თანხმობით, ნორიეგა ნარკოტრაფიკით იყო დაკავებული და მხოლოდ მისი მზარდი დამოუკიდებლობის გამო ვაშინგტონმა 1989 წელს დაამხო იგი.

ამერიკელი და უცხოელი ჟურნალისტები და პუბლიცისტები, რომლებიც ცდილობდნენ, ემხილებინათ ამერიკული დამსჯელი მანქანის დანაშაულებანი, სასტიკი ცენზურის ზემოქმედებას განიცდიდნენ, მათი ხვედრი იყო დამცირება, წამება, არცთუ იშვიათად სიცოცხლის ხელყოფა. ამგვარი რიტუალური სისასტიკის, პირფერობისა და ცინიზმის უამრავი მაგალითი XX საუკუნის ისტორიაში, აშშ-ს **"წყალობით"**, უამრავია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

დავითის საქმეთა აღნუსხვა. სხვა და სხვა მოგონებანი.

ამ წიგნის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ სხვა და სხვა დროს სხვათა და სხვათა პირთაგან განაგონი ცნობები დავით დადიანის მთავრობის შესახებ ერთად მოაქუჩავოს და რამდენადაც შეიძლება ეს ცნობები სისტემაში მოიყვანოს.

ნამდვილი ისტორია კი დავით დადიანის მთავრობისა, ვიცი, ამ ცნობების გამოქვეყნებით არ დაიწერება, რადგან ზეპირგადმოცემა, თუ ეს გადმოცემა არ არის განმტკიცებული წერილობითი საბუთებით, არ შეიძლება არ ასცდეს ჭეშმარიტებას. მხოლოდ მაშინ, როცა წიგნში მოყვანილი კერძო პირთაგან განაგონი ამბები შეუფარდება იმ წერილობით მასალებს, რომლებიც ჯერ კიდევ გამოურკვევლად განისვენებენ მთავარ-მართებლის კანცელარიის და ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს არხივებში, შესაძლებელი იქნება დაიწეროს უტყუარი ისტორია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრისა. მაგრამ არხივების გადახედვას და მით შეცდომის გასწორებას ყოველთვის მოესწრება კაცი და ზეპირად გადმოცემული ისტორია კი გაიფანტება დროთა მიმდინარეობისაგან.

როცა მე ვთხოვე დავით დადიანის მინისტრად ნამყოფს სახლთ-უხუცესს დათა ჩიქვანს ჩემთვის ჩამოეთვალა თუ რა გააკეთა დავით დადიანმა სამეგრელოს სასარგებლოდ, მან პასუხად მითხრა შემდეგი:

დავით დადიანმა: გაანთავისუფლა მებატონეთა მონობიდამ სამღვდელოება;

აკრძალა კაცის სულის გაყიდვა სამთავროს გარეშე;

აკრძალა გამზითვება, ან როგორც ის ამბობდა მოთხრა;

ჩამოართვა ბერებს უფლება უკანონოდ-შობილ ბავშვებზე. ეს ბავშვები დავითის წინათ, ბერებს მიყავდათ და დავითმა დედებს დაუტოვა. თუ ეცოდინებოდათ მამა ვინ იყო, იმას წილს ადებინებდნენ ბავშვის აღსაზრდელად;

მკაცრად აღკრძალა გლეხების დატყვევება და გალახვა მებატონეთაგან. დამნაშავეთ სასტიკად სჯიდა;

მოშალა მემკვიდრედ დარჩენილის ქალის მამულის ჩამორთმევა მებატონისაგან. თუ მამას მარტო ქალი დარჩებოდა მემკვიდრედ და ამ ქალს უნამუსობა დაუმტკიცდებოდა, მამული მებატონეს მიჰქონდა.

სხვებმა მითხრეს:

ყოველ წლივ ათ-თორმეტ მეგრელს აგზავნიდა თბილისში სხვა და სხვა ხელობის სასწავლებლადო;

ტყვეთა ყიდვა და ქურდობა ალაგმაო;

მიწის მეურნეობას და ვაჭრობას ხელი შეუწყოო;

სასამართლო და ადმინისტრაცია ფეხზე დააყენაო.

სულ ყველა ამაებზე, რაც რამ ზეპირი გადმოცემით გამიგონია, ან სხვადასხვა ნაწერი წყაროებიდამ შემიტყვია, ამ წიგნის შემდეგ თავებში წაიკითხავს მკითხველი.

აქ კი რამდენიმე ჩემგან შეკრებილი მოგონება უნდა მოვათავსო დავით დადიანის ცხოვრებიდამ, რომ შემდეგში, უადგილობის გამო, ეს მოგონებანი წიგნის გარეშე არ დამირჩეს დაუბეჭდავად.

მთავარ დავით დადიანზე სახთუხუცესმა **დათა ჩიქვანმა** მიამბო:

სეფიეთში რაღაც ჭირი გაჩნდა და როდესაც ამაზე ამბავი მოუვიდა მთავარს, მიბრძანა მივსულიყავი იმ სოფელში, დამეთვალიერებინა მანდაურობა და გარემოება მომეხსენებინა მისთვის. **"თუ მართლა ჭირია, მე საჩქაროდ მოვალ იქ. უნდა ზომები მივიღოთ რამე, ხომ ხედავ რუსები როგორ მუშაობენ, ფოჩტიდამ დაჩხვლეტილი წიგნები მოგვდისო"**, – მიბრძანაო მთავარმა.

(აქ უეჭველია, ხოლერაზედ არის ლაპარაკი. 1847 წელს 26 ივნისიდამ 1-ლ ნოემბრამდის სულ გახდა ავად სამეგრელოში ხოლერით 1.385 კაცი, რომელთაგან გარდაიცვალა 508, იმავე წელს მუცელ-კეთილით გახდა ავად 8.012 კაცი; ამათგან გარდაიცვალა 4.032).

მღვდელმა შამსონ თვალავაძემ მიამბო:

დავით დადიანი ყურადღებას აქცევდა, რომ არ შეხებოდნენ მის დროში ისტორიულ ნაშთებს ძველის დროებისა, მეტადრე ძველ ეკლესიებს და მონასტრებს. არ ვიცი, ვისი განკარგულებით, მაგრამ ეს კია, რომ ბერძნის კალატოზებს შეულესიათ წალენჯიხის ეკლესიაში ზოგიერთი ადგილები და კირ-ქვეშ მოუყოლებიათ ამ ეკლესიის ძველი მხატვრობა. ეს რომ დაუნახავს დავით დადიანს, ის განრისხებულა და გაურეკნია მანდედან ბერძნები. ბერძნებს დადიანის კაცებმა ფოთამდის მისდიეს.

სხვა წვრილმანები:

თავადმა ნიკო ფაღავამ მიამბო:

დავით დადიანს ვაჟკაცები უყვარდა.

ბაკიჩია გეგელია, რომელიც შეკვეთილის ბრძოლას გამოქცევია, მთავარმა ვირზე შესვა პირუკუღმა, თავზე ლეჩაქი დაახურა და ისე არონინა სახალხოდ. მას აქეთ იმას და მისიანებს **"გირინიში გიმახვენჯის"** (ვირზე შემჯდომი, უფრო კი ვიროსანი) ეძახდნენო სამეგრელოში.

ცნობილმა მღვდელ-მონაზონმა ბენედიქტემ, ათონის მონასტრის ვექილმა, მიამბო:

დავით დადიანი ხშირად თურმე იმეორებდა გურულის მოსწრებულ სიტყვას.

ომის დროს სოჭის მახლობლად ერთი გურული გაქცევია გაცხელებულ სროლას.

– აჰ, შე ჭაკო გურულო, სად მიიპარები, არა გრცხვენიან ტყვიას გაექეციო, – უთხრეს გურულს.

– თუ კაი ულაყი ხარ, იქ მიბრძანდი და დაინახავ შენს სეირსო, – უპასუხა უკან მიხედვით გურულმა.

მერაბია გრიგოლიამ მიამბო.

ერთხელ გორდში შინაყმებმა სიმღერა გააბეს ხის ქვეშ, სანამ მზარეულები ძროხას მოუხარშავდნენ იმათ. ეს რომ დაინახა მთავარმა, უქმად დროს ტარების მტერმა, ბრძანა არცერთს სადილი არ აჭამოთო და იმ დღეს მომღერლები ხახა-მშრალნი თურმე დარჩნენ. ამის მომთხრობმა დასძინა: ყველა მაშინდელ სიმღერებში მთავარს დადიანს მხოლოდ ის სიმღერა მოსწონდაო, საცა არის ნათქვამი:

ვოსა ვორგილ, ვორგილ ვოსა,
ვოო შინა ვოგეგე.

გრიგოლ დადიანმა მიამბო:

ერთხელ დავით დადიანს გულბაათ ჭავჭავაძე ესტუმრა, რომელიც თავის დროზე განთქმული იყო ღვინის სმით.

– აბა, დადიანო, ერთი თქვენი მარანი მაჩვენეთ, – უთხრა მთავარს ცოლის ნათესავმა.

– მიბრძანდით, ბატონო! წიწა, შენ წაყევი გულბაათს, – უთხრა მთავარმა მის ძმას კონსტანტინეს (შინაურობაში წიწას ეძახდნენ) და რამდენი აზარფაშა და ბადიები დაცალოს სახსოვრად მიართვიო.

რომ დალია და დალია გულბაათმა, შეეშინდათ, ე, მანდ რა მეარ დაემართოს-რა სტუმარსაო, მაგრამ გულბაათმა მიირთვა ოთხი-ხუთი დიდი აზარფეშა და ორი-სამი ბადია ოჯალეში და არხეინად ეახლა სასახლეში სიძე-ბატონს.

თავადმა **კონსტანტინე დადიანმა** მიამბო:

თბილისში ყოფნის დროს დავით დადიანს ყვავილი დაემართა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ამბობენ, აცრილი თუმცა იყო, მისთვის სპირტი წაესვათ, გამიზეზებია და რომ აქიმი **პრიბილი** არ მიშველებოდა, მისი მორჩენა შეუძლებელი იყოო. ქართველ მოლექსეს **ლარაძეს** ენახა ახალგაზრდა მთავრის შვილი და ეს ლექსი დაუწერია მისთვის:

ყვავილთ მეფე ყვავილთაგან
ვნახე სრულად დანასებით,
ვკითხე, აგრე რამან შეგქმნა
შენ ხელმწიფე აგრე ვებით.
მან მითხრა თუ ყვავილთ მიმტრეს
შევიქენი ასე ვნებით
პირი სრულად დამილეწეს
ღაწვი ვარდი...

საზოგადოდ ნათქვამია:

დავითი იყო სამეგრელოს პირველი მთავარი, ნანახი და ნაკითხი, შედარებით კარგად განათლებული, რომელსაც ყველაფერი ხელს უწყობდა სამეგრელოს სამთავროს მმართველობას გაძღოლოდა ახალი დროების შესაფერისად. დავითმა ზურგი აქცია მამა მისის ლევან დადიანის ფეოდალურ წეს-წყობილებას. მისთვის არ იყო არც ქორი, არც მიმინო (ბათუ ფაღავას მიმინოს თავი გააგდებია, იმიტომ, რომ ფაღავამ მწყერობის დროს გლეხ-კაცს ღომი გაუთელა), არც კურდღელ-მწევარი, არც გამოულეველი სიმღერა, ლხინი და სროლა ლევან დადიანისა.

რეფორმის გზაზე დამდგარს, დავითს უნდოდა მისი ახალი მმართველობა ყველაფერს დასჩენოდა... თვით მეგრელების ტანისამოსს და პირის სახესაც.

წვერმოშვებული კაცი იმას ძალიან არ უყვარდა. ცაიშის მოურავი **პეხუ ჟორდანია** დაიბარა და ძალაუნებურად წვერები მოაპარსვინა.

არ უყვარდა თავი უკან გადავარცხნილი, ბოხოხი, ჩალმა.

ერთხელ ზუგდიდში წინ შეეგება იმას ჩალმიანი კაცი.

– ვინ არის ეს თათარი? – იკითხა მთავარმა.

– ეს თათარი კი არა, ალექსი ჩიქვანია, ბატონო, ოტიას შვილი, – უპასუხა მხლებელმა.

– მოხადეთ ახლავე იმას თავსახური და გაგზავნეთ მეფურნესთან. აიღოს ლეჩაქი და მის ფასში პური გაუგზავნოს ბაღის მუშებს, ბრძანა მთავარმა.

ლეჩაქი 6 ალაბი გამოდგა და მუშებს ხუთი პური გაუგზავნა.

ღარიბ ქვეყანაში დავითს არც ის მოსწონდა რომ ტანისამოსი ერთობ მდიდრულად კაზმული ყოფილიყო.

ერთ ვიდაც კოხტად ჩაცმულ ქავთარაძეს მესტი ჩაეცვა სირმით გაწყობილი. მთავარი მიუახლოვდა იმას, დაადვა ფეხზე ჯოხი და უთხრა:

– აბა, დახედე ჩემს წაღებს, დაკერებული მაცვია. შენ, ეს რა გიქნია, შე ლუტო, ჰაა! – და ხელი თურმე ჩაუფაჩუნა თავში.

(გაგრძელება იქნება)

რხინიში ბირა

მოძიებული და ჩაწერილია ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებლის ალექსანდრე ცაგარელის მოსწავლისა და საქმის გამგრძელებლის, დიდი ქართველი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის მიერ.

(ხალხური)

გეეშვია, გეეშვია
ახალი დო ჯვეშია!
უჩარდია, უჩა კოჩი,
ვა შუნდი და,
მუშა მორთი
სი გეშუნქ დო მა ვა ფჩანქ,
შურქ მუშა გიჩხონდას?
ჯიმა ჩქიმი გუჯმახანი,
აკა ღვინი ქედმახვამი!
უჩა კოდი ხარკალე
აშო მომიჩაკალე!
ალი კულა რე დო, ალი
კულა რე!
მითი ღვინსი გეშუნსინი
კოჩი თინა რე.
ვარა გეფშვათია-ოდა,
ვარა ობჭკომათი,
ვარა თოლო რხინი-ოდა
მევიძირუათი.
რხინი სუმარემსი-ოდა,
თოლი მეენძელსი,
მუთი უჯგუშ, უჯგუში რენ,
მადილოსანენსი.

ღვინიში გოხვამუა

მარდობა ღორონთს!
კოჩიწკალა ვორექ ხოლოს;
თოფი ქუვოოთი ტორონც.
ღორონთი გოტიბაფუდას
ოსურც დო ქომოლც.
ეშე მათი სიკეთე ქომობძ,
დიდება ღორონთს!
თოფი ვოყოთი ტორონს.
ღორონთქ გუუმორძგვას
დიდი დო ჭიჭეს, სუმარი დო
მეენძერს,
ოსური დო ქომოლს.
დიდებაქ მეეშინი ამუდღარი
ბჟაში ეულას!
ართი სუმარი ინგარდუ
მაჟირაში მეულას.
მეენძელი რაგადანც: "თე
სუმარენქ
ჭკუაშე მუსე გინიილასუ?
ართიანს ვა დუუდოხოდნა
ნდა,
ჟირიხოლოქ გალე
გიმიილასი".

სამორეფო

ბაღჩაშ ვარდი მშვენიერი
ვძირი ახალ გენაფალა,
უბედურქი თიში ცქვაფა,
ვა მიჩქუ, მუჭო შევარგვალა,
ჩქიმ ჩინება ის ვაუღუ,
ვართი ჩქიმი ლექსიშ ნძალა,
უსაშველო ჩოურცხალი
ქემუმოგუ გურსი ჭვალა.

კანადური ტელევიზია ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვის მიზეზებზე ალაპარაკდა

ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვის მიზეზებზე მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ კანადური ტელევიზია ალაპარაკდა. ადგილობრივ ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ სკანდალური მიმოწერა ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებსა და ციგის საერთაშორისო ფედერაციას შორის, სადაც დაფიქსირებულია, რომ საციგაო ტრასა გაუმართავი იყო.

„სი–ბი–სის" ეთერში გასულ გადაცემაში აღნიშნულია, რომ ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექციამ არაერთი კრიტიკული შენიშვნა მიიღო. ოლიმპიადის ერთ-ერთი ორგანიზატორი ჯონ ფურლოგი თამაშების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეშფოთებული იყო იმ სიჩქარით, რომელსაც სპორტსმენები ავითარებდნენ.

ბუშს დაპატიმრების შეეშინდა

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შვეიცარიაში ვიზიტი გააუქმა. ბუში შვეიცარიაში საქველმოქმედო ღონისძიებაზე სიტყვით უნდა გამოსულიყო, მაგრამ უფლებადამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ ბუში შვეიცარიაში დაპატიმრების შიშით არ ჩავიდა. რამდენიმე უფლებადამცველმა ორგანიზაციამ, მათ შორის "Human Rights Watch"-მა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაციამ, თუმცა, როგორც ჩანს, თამაშების ორგანიზატორებმა ყველა გაფრთხილება უყურადღებოდ დატოვეს. კანადური ტელევიზიის ეთერში გასული მასალების დეტალებით დაინტერესდა ქართული მხარეც.

აღსანიშნავია, რომ 12 თებერვალს ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვიდან ერთი წელი შესრულდება.

შვეიცარიის სასამართლოში ბუშის წინააღმდეგ 2500 გვერდიანი სარჩელის შეტანა გადაწყვიტა. ისინი ბუშს გუანტანამოს პატიმრების წამებაში ადანაშაულებენ. გარდა ამისა, მათ მხარდამჭერებს მოუწოდეს, ბუშს მასობრივი საპროტესტო აქციებით შეხვედროდნენ. ადრე ბუშმა აღიარა, რომ გუანტანამოში დატყვევებულ ტერორიზმში ეჭვმიტანილ პატიმრებს "წყლით წამების" წესით მისი ბრძანებით აწამებდნენ.

ისე, სიმართლეს თუ ვიტყვით, რაც ბუშებმა საქართველოს ავნეს, იმდენი ზიანი ჩვენთვის არავის მოუყენებია. ჯერ იყო და, მამა ბუშმა ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება დაამხო და ქვეყანა ავანტურისტ ედუარდ შევარდნაძეს ჩაუგდო ხელში საჯიჯგნად. შვილმა ბუშმა კი სააკაშვილი წამოგვასვა თავზე. ყველაზე მეტად კი ის გვადარდებს, თუ რას უზამენ თბილისში ბუშის ქუჩას მისი დაპატიმრების შემთხვევაში. ალბათ სახელს გადაარქმევენ და "ნაბუშარად" მონათლავენ.

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ბილი ლიდელი

დაიბადა 1922 წლის 10 იანვარს, შოტლანდიაში.

თამაშობდა **"ლივერპულში"** ინგლისი.

უაღრესად ტექნიკურმა და მაღალნაყოფიერმა ფეხბურთელმა ბილი ლიდელმა მთელი თავისი საკმაოდ ხანგრძლივი კარიერა ერთადერთ ინგლისურ საფეხბურთო კლუბში გაატარა, რაც ამ სპორტის ისტორიაში საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლავთ. იგი თავისებური მანერებისა და სტილის მქონე თავდამსხმელი გახლდათ, რომელზეც ინგლისელები ხუმრობით ამბობდნენ: **"თავად არ იცის რას მოიმოქმედებს ერთი წამის შემდეგ და მოწინააღმდეგე გუნდის მცველი როგორ გაიგებსო"**. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მას მაინც მოუწია სხვა **"გუნდში"** გადასვლა – იგი ომში გაიწვიეს და ექვსი წელი იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ღირსებას. ომი რომ დასრულდა, ჯილდოებით მკერდდამშვენებულმა ლიდელმა კვლავ თავისი ადგილი დაიკავა საფეხბურთო მოედანზე. იმ 17 წლის განმავლობაში, რაც ლიდელი **"ლივერპულში"** თამაშობდა, ამ გუნდს რაიმე დიდი გამარჯვებისათვის არ მიუღწევია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1947 წელს ეს გუნდი ინგლისის ჩემპიონი გახდა, სამი წლის შემდეგ კი ქვეყნის თასის გათამაშების ფინალამდე მიაღწია. რაც შეეხება თავად ბილი ლიდელს, მან თავისებური რეკორდი დაამყარა ინგლისურ ფეხბურთში – ითამაშა 492 მატჩში და გაიტანა 216 გოლი. მან 28 მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში, ორჯერ კი ინგლისის ნაკრების მაისურით გამოვიდა მოედანზე. ეს მოხდა მსოფლიო ფეხბურთთან დაკავშირებულ ერთ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, როცა ინგლისის ნაკრები შეხვდა ევროპის საფეხბურთო ნაკრებს და დამაჯერებლად დაამარცხა.

ტომი ჰემელი

დაიბადა 1943 წლის 16 ოქტომბერს, შოტლანდიაში

თამაშობდა კლუბებში **"სელტიკი"** (შოტლანდია) და **"ნოტინგემ ფორესტი"** (ინგლისი).

ფეხბურთის მოედანზე დინჯად მოსიარულე ჰემელის პირველად ხილვა მაყურებელს იმის მტანჯველ ფიქრს უჩენდა, რომ ეს ზანტი ფეხბურთელი დიდ ვერაფერ სარგებლობას მოიტანდა საკუთარ გუნდს.

მაგრამ სწორედ ჰემელის ამგვარ სიზანტეს შეჰყავდა მძიმე შეცდომაში მოწინააღმდეგე.

ჰემელი ქვეითთა ნაღმივით მოულოდნელად აფეთქდებოდა და ვიდრე შეტევაზე გადმოსული გუნდის თავდამსხმელი **"აზრზე მოვიდოდა"**, ჰემელი უკვე მოწინააღმდეგისათვის ართმეული ბურთით მიჰქროდა მისი კარისაკენ.

სწორედ ამგვარმა **"სიურპრიზმა"** აქცია ჰემელი ეროვნულ გმირად – მან რამდენიმე გადამწყვეტი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. ეს მოხდა ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების ტურნირებზე, როცა ჰემელი **"სელტიკის"** შემადგენლობაში გამოდიოდა. ორ ფინალში ამ გუნდმა გამარჯვებას სწორედ ტომი ჰემელის მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლების წყალობით მიაღწია.

ეს მოხდა ჯერ 1967 წელს, როცა **"სელტიკი"** მილანის **"ინტერს"** შეხვდა, და 1970 წელს, როცა შოტლანდიელთა გუნდმა **"ფეინოორდი"** დაამარცხა. ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ჰემელის თამაშის სტილი სრულად იყო შეთანხმებული **"სელტიკის"** თამაშის მანერასთან, რამაც განაპირობა კიდეც ამ გუნდის თითქმის დაუჯერებელი წარმატება 60-70-იან წლებში. ტომი ჰემელმა უამრავ სპორტულ ჯილდოს მოუყარა თავი, შემდეგ კი **"ნოტინგემ ფორესტში"** გადავიდა, სადაც დაასრულა კიდეც ბრწყინვალე სპორტული კარიერა.

ნილს ლიდჰოლმი

დაიბადა 1922 წლის 8 ოქტომბერს, შვეციაში.

თამაშობდა კლუბებში: **"ნორჩეპინგი"**, შვეცია, **"მილანი"**, იტალია.

ის, რომ შვეციამ 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შვეციის საფეხბურთო ნაკრებმა დაუბრკოლებლად გაიკვალა გზა ფინალისაკენ და გახდა ჩემპიონი, ნილს ლიდჰოლმის დიდი დამსახურება გახლდათ. იგი გუნდის გამოკვეთილი ლიდერი იყო და მუდამ წინ მიუძღოდა საკუთარი გუნდის თავდამსხმელებს. ეს გახლდათ შვედური ფეხბურთის აღმავლობის პერიოდი. თავიდან ლიდჰოლმი თავდასხმის გარე მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, შემდეგ კი უკან დაიხია და ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა, რათა თავდასხმის წინა ხაზი საგოლე პასებით მოემარაგებინა. იგი გუნდის კაპიტანი იყო 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის ფინალში ერთმანეთს შეებრძოლენ შვედები და ბრაზილიელები. მაშინ ლიდჰოლმმა მატჩის მე-4 წუთზე პირველი ბრწყინვალე გოლი გაუტანა კიდეც ბრაზილიელებს და შვედ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს გამარჯვების იმედი ჩაუსახა, მაგრამ სკანდინავიელებმა მაინც ვერ გაუძლეს პელეს, გარინჩას, დიდის და ვავას მასიურ შეტევებს, საბოლოო ჯამში მატჩი ანგარიშით 5:2 წააგეს და მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდნენ. 1948 წლის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ნილს ლიდჰოლმი იტალიაში გადავიდა ხელშეკრულებით და **"მილანში"** შექმნა ცნობილი შვედური ტრიო გუნარ გრენთან და გუნარ ნორდალთან ერთად, რაც დიდი წარმატების საწინდარი გამოდგა ამ შესანიშნავი გუნდისათვის. აქ ჩატარებულ 367 მატჩში ლიდჰოლმმა 60 გოლი გაიტანა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– რომელიმე ბავშვობის ოცნება თუ აგხდენია?

– როგორ არა, დედა რომ თმებით დამათრევდა, სულ ენატრობდი, ნეტავი მელოტი ვიყო-მეთქი.

* * *

– დედიკო, მომეცი რა ორი ლარი!

– არ მაქვს.

– მომეცი და მაგარ რამეს გეტყვი.

– მაინც?

– გტყვი, ერთმა ქალმა რა უთხრა მამაჩემს.

– აჰა, შენ, სამი ლარი. რა უთხრა?

– ქეთო მასწავლებელმა ჩემზე უთხრა მამას – შენი შვილი ოროსანიაო!

* * *

ქუჩაში ქალი მიდის, უკან მამაკაცი მიჰყვება. ქალი მობრუნდა და მკაცრად ჰკითხა:

– საინტერესოა, რატომ მომყვებით?

– ახლა, როცა ახლოდან გხედავთ, მეც იგივე მაინტერესებს, ნეტავი, რატომ მოგყვებით? – უპასუხა მამაკაცმა.

* * *

პოლიციაში დაკარგული ბავშვი მიიყვანეს.

– აბა, პატარავ, რა ჰქვია შენს მამიკოს და დედიკოს? – ეკითხება მორიგე.

– მამას ზარმაცი ბეჰემოთი ჰქვია, დედას – სქელი ძროხა.

* * *

– რისთვის ზიხარ ციხეში?

– წარმოგიდგენია?! ერთ მშვენიერ დღეს გაირკვა, რომ სახელმწიფოც ზუსტად ისეთ ფულს უშვებდა, როგორსაც მე!

საქართველოში მკვლელი "ნიანგი" გამოჩნდა

როგორც ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი "ახალი გზა" იუწყება, საქართველოში ახალი ნარკოტიკული საშუალება, ე.წ. ნიანგი გამოჩნდა, რომელიც აფთიაქებში ხელმისაწვდომი პრეპარატებისგან კუსტარულად მზადდება.

ნარკოტიკული საშუალების დამზადებისას, სხვა ნივთიერებებთან ერთად, ტოქსიკური ნარევი "კროტი" გამოიყენება, რომელიც საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში კანალიზაციის გასაწმენდად იხმარება. ადვილი წარმოსადგენია ამ "კოქტეილის" მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მათივე განმარტებით, უამრავ ზიანთან ერთად, "ნიანგი" გაცილებით უფრო ხშირად იწვევს ზედოზირებას, აქამდე გავრცელებული კუსტარული ამფეტამინებისგან ("ვინტი", "ჯეფი") განსხვავებით. დოზის გადაჭარბების ყოველი შემთხვევა შეიძლება სიკვდილით დასრულდეს, რადგან ავადმყოფი და მისი ახლობლები ერიდებიან, მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს, რადგან დახმარებას თან სდევს ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე პოლიციის ინფორმირება. "ნალოქსონი", რომელიც, ზედოზირების შემთხვევაში, სასიცოცხლოდ აუცილებელ პრეპარატს წარმოადგენს, ამჟამად აფთიაქებში არ იშოვება, რადგან, უკვე 8 თვეა, ქვეყანაში აღარ შემოუტანიათ რეგისტრაციის ვადის დამთავრების გამო. ქვეყანაში ამ მედიკამენტის შემოტანის განახლებაზე არავინ ზრუნავს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში ამბობენ, "ნიანგი" შეიძლება პოპულარული გახდეს, რაც სოციალურ კატასტროფამდე მიგვიყვანს.

"ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ქალი მომხმარებლები (რომლებიც, ზოგიერთი ორგანიზაციის მონაცემებით, დამოკიდებული ადამიანების 20% შეადგენენ) პრაქტიკულად არ მონაწილეობენ არსებულ სამკურნალო და პროფილაქტიკურ პროგრამებში, წარმოადგენენ რა მარგინალურ და შეუღწევად სოციალურ ჯგუფს უკიდურესი სტიგმისა და დისკრიმინაციის გამო", - აღნიშნულია არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციაში.

შვიდი შვილის მამა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თვითმკვლელობით იმუქრება

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრები შვიდი შვილის მამა ალექსანდრე მამუკელაშვილი, პროტესტის ნიშნად, სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილებასთან თვითმკვლელობით იმუქრება. ალექსანდრე მამუკელაშვილის თქმით, უკიდურესად მძიმე სოციალურ - ეკონომიკური პირობების მიუხედავად, სააგენტომ, გადამოწმების მიზნით, საარსებო შემწეობა 7 თვის წინ შეუწყვიტა და ოჯახი ამ დრომდე არ გადაუმოწმებია.

ალექსანდრე მამუკელაშვილს 7 შვილი ჰყავს, აქედან 6 მცირეწლოვანია. მათ შორის 3 ბავშვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი აქვს. თავად ალექსანდრე მამუკელაშვილიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. მამუკელაშვილების ოჯახი 2 პატარა ავარიულ ოთახში, რთულ პირობებში ცხოვრობს.

„არაერთხელ მივედი სააგენტოში და ვთხოვე მათ, ყურადღება დროულად მომაქციონ, მაგრამ მხოლოდ ბავშვების გაშვილობილების პროგრამაში ჩართვას მთავაზობენ. ადგილობრივ ხელისუფლებასაც მივმართე, მაგრამ ყურადღება არც მათ მომაქციეს. წამლები რომ ვიყიდო იმის ფულიც არ მაქვს და 5 ბავშვი ავად არის. უნდა მივიდე და სააგენტოსთან თავი მოვიკლა. იქნებ, მერე მაინც დაუნიშნონ ჩემს ოჯახს დახმარება და ბავშვები შიმშილით სიკვდილისგან ვიხსნა“, - განაცხადა ალექსანდრე მამუკელაშვილმა.

P. S. საარსებო შემწეობის გარეშე დარჩენილი მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ფოტორეპორტაჟი 4 თებერვალს მოამზადა. მაშინ სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების ხელმძღვანელმა თამარ ნოღაშვილმა განაცხადა, რომ სოციალური აგენტი ოჯახს დაუყოვნებლივ გადაამოწმებდა, თუმცა უშედეგოდ.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27